

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ISSN 0130 1624

საქართველო

სტამბის
№ 11 1985 წ.



ქართული
ჟურნალისტთა
კავშირი




თბილისის მაუდ-კამვლის
კომბინატის „საბჭოთა საქარ-
თველოს“ მოწინავე მქსოვე-
ლი, კომკავშირელი შორენა
კორტავა.

ფოტო შ. აივაზოვისა



მოსკოვი, ოქტომბრის მოედანი, 6 ნოემბერი, 1985 წ. ვ. ი. ლენინის ძეგლი.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!



დროშა

№ 11 (587) ნოემბერი, 1985

ჟურნალი გამოდის 1923 წლიდან

სოციალ-დემოკრატიული საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიბერალური-სამხატვრო ჟურნალი

ნ ო მ ე რ შ ი ა:

ვარლამ კეზელავა — დამატებითი მარშრუტებით.

ბაბო ხვედელიძე — გამრჯე ხელები. ირაკლი არაბული — ჩანახატი ორი კორტრეტიკოსის.

ნათელა ალადაშვილი — ფუქიმდე-ბელი.

ზაალ ებანოიძე, ბადრი ჭუთათელაძე, ლულუნი წახანაია — ლექსები ვასილ გვებაძე — ესენინის სახლთან (ლექსი).

მეგობრობის მომღერალი.

ვანო ჩხიკვაძე — მოთხრობები. რაფიელ აბლაძე, აკოლონ ავალიანი — სახელოვანი მეცნიერი და მოქალაქე.

სერგი ღურშიაძე — იმ წყეულ დამის...

ენერგეტიკა ჩვენი არსობისა. ალექსანდრე ლლონტი — „თავახდელთა“ ნაკვალევზე.

თარხან არჩვაძე — ჩვენი მეგობარი თენგიზ გიორგაძე.

სილოვან ნარიანიძე — ლექსები. თარხან რაჭველიშვილი — გავაზელი მეზობრის მაღალი ჯილდო.

ხუბა ბერუღავა — სოფლის მუშაკთა პატივსაცემად.

არაბი არაგვი — მოთხრობები. გარუნ აკოვოვი — მოდით, გავიცნეთ!

საგულიხმო, სახლისო.

თამაზ წიკლაური — ისევ კალე...

საქართველოს კავშირის გამომცემლობა

© „დროშა“, 1985 წ.

მთავარი რედაქტორი

ხუბა ბერუღავა

სარედაქციო კოლეგია:

გულნარა ბახტაძე (პ/მგ. მდივანი), ვასილ გვებაძე, ნათელა გიორგობიანი, თენგიზ გომოლაძე (მთ. რედაქტორის მოადგილე), ოთარ დემეტრაშვილი, სერგი ღურშიაძე, ვახტანგ ეხვანდია, ოთარ თურქია, დინარ ნოდია (მხატვარ-რედაქტორი), ლადო სულაბერიძე, ილია ტაბაღაძე, ნუგზარ ფოფხაძე, გიორგი ჩარკვიანი, უჩა ჯაფარიძე.



პრესაში გამოქვეყნდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის ახალი რედაქციის პროექტი, რომელიც ერთსულოვნად მოიწოდებს სპეციალური კომიტეტის ოქტომბრის (1985 წ.) პლენუმის მონაწილეობა. პლენუმის გადაწყვეტილების შესაბამისად პროექტი

გამოტანილია კომუნისტების, სსრ კავშირის ყველა მუროველის ფართო განხილვისათვის. პარტია დარწმუნებულია, რომ საბჭოთა აღმშენებელი სპეც პროგრამას აღიქვამენ როგორც თავის სისხლ-ხორცეულ საქმეს და მთელ ძალებს მოახმარებენ ცხოვრებაში მის გატარებას.



ლენინური პარტიის ყრილობები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ჩვენი საზოგადოების ცხოვრებაში. მათი გადაწყვეტილებები განსაზღვრავენ პარტიის ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარების ძირითად მიმართულებებს. ეს უფრო მეტად ეხება იმ ყრილობებს, რომლებზეც ჩვენი პარტია თავის პროგრამას განიხილავდა და ამტკიცებდა.

საბჭოთა ადამიანები სკკპ XXVII ყრილობისათვის მზადების პერიოდში თავიანთ საქმიანობას ისე წარმართავენ, რომ უზრუნველყონ ხუთწლედის სახალხო-სამეურნეო გეგმების შესრულება და ღირსეულად შეხვდნენ საბჭოთა კომუნისტების მორიგ პარტიულ ფორუმს, რომელიც შედგება 1986 წლის თებერვლის დასასრულს.

სკკპ პროგრამის ახალი რედაქციის პროექტის, მის წესდებაში ცვლილებების, აგრეთვე 1986-1990 წლებისა და 2 000 წლამდე პერიოდისათვის სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითად მიმართულებათა გამოქვეყნებასთან დაკავშირებით ყრილობისათვის სამზადისი ყველაზე საპასუხისმგებლო ეტაპზეა. უდიდესი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე ამ ისტორიულ დოკუმენტებში გადმოცემულია პარტიის გენერალური ხაზი, მისი ეკონომიკური სტრატეგია და სოციალური პოლიტიკა. ამ დოკუმენტების საჯარო განხილვამ ხელი უნდა შეუწყოს ჩვენი ხალხის ნება-სურვილისა და მოთხოვნილებების უფრო სრულად გათვალისწინებას. გარდა იმისა, რომ მილიონობით საბჭოთა ადამიანის მონაწილეობა განხილვაში საშუალებას იძლევა, შემოწმდეს პარტიის სტრატეგიული კურსი, გაღრმავდეს პარტიისა და ხალხის ერთიანობა, იგი, ამავე დროს, გაზრდის მათს შრომითს მიღწევებსაც. კომუნისტური პერსპექტივისაგან გამომდინარე, პარტია თავის XXVII ყრილობას ხვდება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების კონცეფციით შეიარაღებული, რომლის რეალიზაციამაც უნდა უზრუნველყოს სახალხო მეურნეობის გადაყვანა ინტენსიფიკაციის რელსებზე, საბჭოთა ეკონომიკის გადაყვანა ორგანიზაციისა და ეფექტიანობის უმაღლეს დონეზე. „და ეს ყველაფერი კეთდება ადამიანისათვის, ადამიანის კეთილდღეობისათვის“, — აღნიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმზე ამხანაგმა მ. ს. გორბაჩოვმა.

ფართო განხილვისათვის გამოქვეყნებული სამივე დოკუმენტის ლერძი — დაჩქარების კონცეფცია — გამოხატავს საზოგადოებრივი განვითარების ობიექტურ მოთხოვნას, დაჩქარების აუცილებლობას განაპირობებს ზრდა მოთხოვნილებებისა, რომელთა დაკმაყოფილების შედეგად სულ ახალი და ახალი მოთხოვნილებები ჩნდებიან. ასე ხდება მუდამ და შეუჩერებლად. ამასთანავე, ის გარემოება, რომ თანამედროვე წარმოების მატერიალურ ბაზას წარმოადგენს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევები, შეუძლებელს ხდის მის ევოლუციურ განვითარებას და გვი-

პარლამ კეხელავა,

ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ჟურნალ „საქართველოს კომუნისტის“ მთავარი რედაქტორი.

კარნახებს ცხოვრებაში რადიკალური ღონისძიებების გატარებას. მათი გაანგარიშება ითვალისწინებს ინტენსიურობისაგან ძირფესვიან შემობრუნებას და ეკონომიკის ეფექტიანობის მკვეთრად ამაღლებას შრომის ნაყოფიერების მნიშვნელოვანი ზრდის საფუძველზე. დასასრულ, სოციალისტური წყობილების უპირატესობები და მისი პოტენციური შესაძლებლობები ბოლომდე არ იყო გამოყენებული იმის გამო, რომ 70-იან წლებში და 80-იანი წლების დასაწყისში დროულად და სათანადოდ არ იქნა შეფასებული ეკონომიკური სიტუაცია და ყველა სფეროს სერიოზულად გარდაქმნის აუცილებლობა. ახლა გვიხდება დაკარგულის ანაზღაურება. ასეთია დროის მკაცრი მოთხოვნა.

მთავარი მაინც სხვა არის. პარტია მხედველობაში იღებს როგორც საშინაო, ისე საერთაშორისო პირობებს და მიიჩნევს, რომ საბჭოთა საზოგადოების ყოველმხრივი პროგრესი, კომუნისმისაგან მისი წინსვლითი მოძრაობა უნდა განხორციელდეს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების გზით. „ეს არის, — როგორც აღნიშნულია პარტიის პროგრამის პროექტში, — პარტიის სტრატეგიული კურსი, რომლის მიზანია საბჭოთა საზოგადოების ცხოვრების ყველა მხარის თვისებრივი გარდაქმნა: მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ძირფესვიანი განახლება მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მიღწევათა ბაზაზე; საზოგადოებრივი ურთიერთობის და უწინარესად ეკონომიკური ურთიერთობის სრულყოფა. ღრმა ცვლილებანი შრომის შინაარსსა და ხასიათში, ადამიანთა ცხოვრების მატერიალურ და სულიერ პირობებში; პოლიტიკური, საზოგადოებრივი და იდეოლოგიური ინსტიტუტების მთელი სისტემის გააქტიურება“.

ამრიგად, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების აუცილებლობას იწვევს კაპიტალიზმთან სოციალიზმის ეკონომიკური შეჯიბრება. სოციალიზმმა ამ სფეროშიც უნდა დაამტკიცოს თავისი უპირატესობა. შემოთავაზებულ გარდაქმნათა შედეგი უნდა იყოს საბჭოთა საზოგადოების თვისებრივი და ახალი მდგომარეობა — „მთლიანი სოციალიზმი“ (გ. ი. ლენინი), რომელიც საშუალებას მოგვცემს, სრულად გამოვაფინოთ სოციალიზმის უპირატესობანი და ადამიანის შესაძლებლობანი ცხოვრების ყველა სფეროს განვითარების თვალსაზრისით. პროგრამის ახალი რედაქციის პროექტში ამ მიზნის მისაღწევად მითითებულია საშუალებები, რომელთა გამოყენება პრაქტიკულად უზრუნველყოფს დასახული ამოცანების გადაწყვეტას.

ახალ მიჯნებზე გასასვლელად ვათვალისწინებულა ღონისძიებების კომპლექსი. პროგრამის ახალი რედაქცია ემყარება საზოგადოების განვითარებაში ეკონომი-

კის გადაწყვეტ როლს და ითვალისწინებს სახალხო მეურნეობის აღმავლობას პრინციპულად ახალ მეცნიერულ-ტექნიკურ და ორგანიზაციულ-ეკონომიკურ დონეზე. 2 000 წელს ქვეყნის საწარმოო პოტენციული გარკვევები, ხოლო შრომის ნაყოფიერება 2,3 — 2,5-ჯერ გაიზრდება. ამასთან, ორიენტაცია აღებულია მეცნიერებაზე. იგი მთლიანად უნდა იქცეს უშუალო მწარმოებლურ ძალად, რომელიც გამოიყენებს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ეკონომიკურ შესაძლებლობებს. ეს არის დაჩქარების უმნიშვნელოვანესი რეზერვი: ახლა უკვე ეროვნული შემოსავლის ნამატის 70 პროცენტის უზრუნველყოფა ხდება მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა ხარჯზე. ეს რეზერვი ძირითადად დაგვეხმარება მძიმე ფიზიკური შრომის თავიდან აცილებაში, რათა მისგან გავათავისუფლოთ და შემოქმედების პროდუქტიულ შრომაში ჩაებათ 30-40 მილიონი ადამიანი.

პარტიის ეკონომიკური სტრატეგია წარმართულია საზოგადოებრივი წარმოების სტრუქტურული გარდაქმნისაგან, რადგანაც ინტენსიფიკაციის რელსებზე გადასვლა რეალურად ვერ განხორციელდება ეკონომიკაში სტრუქტურული ცვლილებების, შრომის საზოგადოებრივი დაწარმოების შემდგომი გაღრმავების, სოციალისტურ წარმოებით ურთიერთობათა, აგრეთვე მართვის სისტემისა და მეურნეობრიობის მეთოდების სრულყოფის გარეშე.

„ეკონომიკის ხელმძღვანელობის სრულყოფის მთელ მუშაობაში, — ნათქვამია პროგრამის ახალი რედაქციის პროექტში, — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია თანამიმდევრულად გაატარებს იმ გეზს, რომ განავითაროს მშრომელთა შემოქმედებითი ინიციატივა და სულ უფრო სრულად ჩააბას იხინი წარმოების მართვის პროცესში, გააძლიეროს შრომითი კოლექტივების როლი გეგმების შემუშავებასა და სამეურნეო გადაწყვეტილებათა მიღებაში, საწარმოთა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ღონისძიებათა განხორციელებაში, წარმოების შინაგანი რეზერვების გამოვლენასა და მობილიზაციაში“.

საერთოდ, პროგრამის პროექტში ფართოდ აისახა სოციალური პოლიტიკის საკითხები (რომლებიც შეიცავენ საბჭოთა ადამიანების ცხოვრებისა და შრომის პირობების განუხრელი გაუმჯობესების ამოცანას, სოციალური სამართლიანობის პრინციპის სულ უფრო სრულად განხორციელებას, კლასების დაახლოებას, გონებრივსა და ფიზიკურ შრომას, ქალაქსა და სოფელს შორის არსებით განსხვავებათა დაძლევა), ეროვნულ ურთიერთობათა სრულყოფისა და ქვეყნის ყველა ერსა და ხალხებს შორის ძმური მეგობრობის განმტკიცების, აგრეთვე ცხოვრების სოციალისტური წესის განვითარებასთან დაკავშირებული საკითხები.

ის გარემოება, რომ დღეს სოციალურ სფეროს გაცილებით მეტი ყურადღება ეთმობა, ადვილად აიხსნება, თუ მხედვე-

ლობაში მივიღებთ, რომ სოციალისტური ეკონომიკისათვის საუკეთესო ბუნებრივი და კანონზომიერია სოციალური ორიენტაციის განუხრელად გაძლიერება, რადგან მისი უმაღლესი მიზანია ადამიანთა კეთილდღეობის ამაღლება. მ. ს. გორბაჩოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჩვენს პარტიას უნდა ჰქონდეს სოციალურად მძლავრი პოლიტიკა, რომელიც მოიცავს ადამიანის ცხოვრების მთელ სივრცეს.

ეს მოთხოვნა სრულად არის გათვალისწინებული პროგრამის პროექტში. ის ეხება შრომის, ყოფის, კულტურისა და სხვა სოციალური საკითხების გადაწყვეტის გამო შეუსუსტებელი ზრუნვის გამოვლენის აუცილებლობას და ადასტურებს იმას, რომ სოციალური პოლიტიკა არის ქვეყნის განვითარების დაჩქარების, მასების შრომითი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტიურობის ამაღლების, ახალი ადამიანის ფორმირების, ცხოვრების სოციალისტური წესის დამკვიდრების მძლავრი საშუალება. ესე იგი, ძლიერი სოციალური პოლიტიკა არის საზოგადოების პოლიტიკური სტაბილურობის მნიშვნელოვანი ფაქტორი.

პოლიტიკურ სფეროში ერთ-ერთ ახალ მიზნად, რაზეც გეზია აღებული პროგრამაში, დასახულია ხალხის სოციალისტური თვითმმართველობის გაშლა. პარტია ქმნის აღმშენებლობის გრანდიოზულ პროგრამას და ამავე დროს ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ჩვენი გეგმების რეალურობა პირდაპირ ემყარება იმას, თუ როგორ ამოქმედდება საზოგადოების ყველა ძალა, რამდენად აქტიურად და ენერგიულად მოჰკიდებენ ხელს მშრომელთა მასები პარტიის მიზანდასახულობათა შესრულებას, რამდენად ორგანიზებული და შემოქმედებითი იქნება მათი შრომა.

პარტია ნათლად ხედავს, რომ სოციალიზმის ძალისა და ცხოველმომქმედების წყაროა მასების ინიციატივა, ენერჯია, ცოცხალი შემოქმედება, ახალი საზოგადოების მშენებლობისადმი შეგნებული და დაინტერესებული დამოკიდებულება. ამი-

ტომ იგი დაჟინებით მოითხოვს სოციალიზმის დემოკრატიული ბუნების მაქსიმალურად გამოყენებას, მისი სასიცოცხლო მოთხოვნების გამძლიარებას მასების შემოქმედებით.

სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების კონცეფცია ითვალისწინებს აგრეთვე ცხოვრების სულიერი სფეროს სრულყოფას, მასასადამე, საბჭოთა ადამიანების შეგნებაში სოციალისტური იდეოლოგიის შემდგომ განმტკიცებას, კომუნისტური მორალისა და კოლექტივისტური პრინციპების, ამხანაგური ურთიერთდახმარების სულისკვეთების სრულ დამკვიდრებას, რათა ეზიარონ კულტურის უმაღლეს ღირებულებებს, იმ მიღწევებს, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ მრავალმხრივ განვითარებული პიროვნების ფორმირება.

მ. ს. გორბაჩოვმა შეაჯამა ის წინამძღვრები, რომლებიც ერთობლივად ამზადებენ კომუნისმზე გადასვლის პირობებს, და განსაკუთრებით გამაოგო მათი ურღვევი ერთიანობა: „მხოლოდ კარგად მოფიქრებული ეკონომიკური სტრატეგიით, ძლიერი სოციალური პოლიტიკითა და მიზანმიმართული იდეურ-აღმზრდელი მუშაობით, მათი განუყრელი ერთიანობით, შეიძლება გავაქტიუროთ ადამიანის ფაქტორი, ურომლისოდაც ვერ გადაწყდება ვერც ერთი დასახული ამოცანა“.

რა თქმა უნდა, ისტორიაში საერთოდ არაფერი არ ხდებოდა და არ ხდება ადამიანის ფაქტორის გარეშე, ბუნების მოვლენებისა და პროცესებისაგან განსხვავებით, სადაც ადამიანის გავლენა შეიძლება მხედველობაში არ მივიღოთ, ისტორიაში ყველა მოვლენა მხოლოდ და მხოლოდ ადამიანთა საქმიანობის შედეგია. ისტორიის სფეროში პრინციპული განსხვავებაა იმას შორის, თუ როგორ ხორციელდებოდა ადამიანთა საქმიანობა სოციალიზმამდე და როგორ ხორციელდება ახლა, სოციალისტურ საზოგადოებაში. თუ მანამდე ისტორიულ მოძრაობას სტიქიური ხასიათი ჰქონდა და ბრმად ვითარ-

დებოდა ბუნებაში მიმდინარე პროცესების მსგავსად, შემდეგ, თავისი ჩასახვის მომენტიდან, სოციალიზმი, როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა, მცენიერულ კომუნისმს მოითხოვს: სოციალისტური რევოლუცია და სოციალისტური საზოგადოების მშენებლობა თავისი მთავარი მიმართულებებითურთ მარქსიზმ-ლენინისმის რევოლუციურ მოძღვრებას ემყარება. რაც უფრო ღრმავდება სოციალისტური განვითარება, მით უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს თეორია, მთლიანად სუბიექტური ფაქტორი. იზრდება როლი პოლიტიკური პარტიისა, რომლის ხელმძღვანელობითაც გაიმარჯვა დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, მოხდა ექსპლუატატორთა კლასების ლიკვიდაცია, აშენდა მსოფლიოში პირველი მუშებისა და გლეხების სახელმწიფო, მთლიანად და საბოლოოდ გაიმარჯვა სოციალიზმმა.

ჩვენი პარტია მუდამ უპირველეს მნიშვნელობას ანიჭებდა თეორიით შეიარაღებას, თავისი რიგების იდეურ სიწმინდეს. მას საერთაშორისო ავტორიტეტი მოუპოვა მარქსისტულ-ლენინური მეცნიერების ძირითადი დებულებების თანამიმდევრულად და ბოლომდე დაცვამ და, ამავე დროს, თეორიული შემკვიდრებისადმი შემოქმედებითმა დამოკიდებულებამ. ისტორიის მოცემულ გარდამტეხ ეტაპზე იგი კვლავ მარქსიზმ-ლენინისმის პარტიად, რევოლუციური მოქმედების პარტიად რჩება. ჩვენი პარტიის წესდების პროექტში კვლავ დადასტურებულია ის ფაქტი, რომ „მთელ თავის მოღვაწეობაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობს მარქსისტულ-ლენინური მოძღვრებით, თავისი პროგრამით, რომელშიც განსაზღვრულია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების საფუძველზე სოციალიზმის გეგმაზომიერი და ყოველმხრივი სრულყოფის, კომუნისმისაკენ საბჭოთა საზოგადოების შემდგომი წინსვლის ამოცანები“.

გალოზაჰო, კონკრეტული შედეგები!



1985 წელს არჩეული თბილისის საპატო მოქალაქეები (მარჯვნიდან): თბილისის ა. ს. გრიბოედოვის სახელობის რუსული დრამის სახელმწიფო თეატრის მსახიობი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ნატალია ბურმისტროვა, კომპოზიტორი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი, ლენინური პრემიის ლაურეატი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ოთარ თაბთაქიშვილი, თბილისის მთავარი არქიტექტორი, საქართველოს სსრ შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრემიის ლაურეატი შოთა შავლაშვილი და თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო საწარმოო გაერთიანების ხარატთა ბრიგადირი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრი ტრიფონ როსტიშვილი.

ალბათ ყველას უხარია თავის ბავშვობასთან შეხვედრა. არც მე განსაკუთრებით გამონაკლისი. გამოვინახავ თუ არა დროს, მაშინვე ზემო იმერეთის ერთი პატარა, ლამაზი სოფლისაკენ მივიჩქარი, ყვირილას ხეობაში რომ მდებარეობს.

სამანქანო გზა ყვირილას მიუყვება. გზის ორივე მხარეს ნაცნობი აკაციებია ჩამწკრივებული. აგერ ორშარა, ჩემი სოფელი. დედის თბილი ღიმილი. ხელგაშლილი და გულგახსნილი მამიდაჩემი...

მერე ქათმების კრიახი, ცომზე ხელების ტყაპატყუპი, სათონეში ავარდნილი ალი, კამკამა საფერავი, ჭინჭილა, მეზობელთან გადაძახება, შემოსწრებული სტუმრები და ხმა-შეწყობილი „მრავალყამიერი“... რა საოცრად ახლობელი და მშობლიურია ყოველივე ეს ჩემთვის!

მეორე დღით მკლავებგამოლილი კაკლის ხის ქვეშ სამიოთხი დღის გაზეთებს ერთად ვათვალიერებ და აი, თორმეტი მარტის „პრავდა“. პირველ გვერდზე მალაროელის ქუდსა და ნაცნობ სახეს მოვკარი თვალი. ეს ხომ გიორგი ბაქრაძეა, ჩვენი გიგა, ცნობილი გვირაბგამყვანი, უკვე ორი ხუთწლეული რომ შეასრულა...

რა უცხაური დამთხვევაა! მაშინაც მარტი იყო: მცენარეებს კვირტები დაჰპეროდათ. ხეში წყალი ჩამდგარიყო და პაერს გაზაფხულის სუნთქვა შერეოდა, მოსკოვი კი ჭერ ისევ თბილ ქურქში გახვეულიყო. მავზოლუუმის წინ მოედინებოდა ხალხის ტალღა. ძალუმაღ იგრძნობოდა ქალაქის სისხლსავე მაჩისცემა.

წითელ მოედანზე ჩემი ყურადღება წარმოსადგება, სასიამოვნო სახის მქონე მამაკაცმა მიიპყრო. იგი თმაშევერცხლილ კაცს ელაპარაკებოდა. იმ თმაშევერცხლილ კაცს ქუდი ხელში ეჭირა და პალტოს ღილები ბოლომდე გაეხსნა.

— შეხედე, ფიდელ კასტრო, — ერთდროულად წამოიძახეს ჩემმა რუსმა მეგობრებმა.

— დიახ, ფიდელ კასტრო განლაკვთ. მის გვერდით კი ჩემი თანამემამულეა, — ამყად ვთქვი მე.

— ასეა, დაიკო, მოსკოვი საოცნებო შეხვედრათა ქალაქია, — ღიმილით მიპასუხა ერთმა მათგანმა.

თმაშევერცხლილი კაცი ახალი ითხვისის მალაროთა სამმართველოს კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირი, საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, საქვეყნოდ სახელგანთქმული ნოვატორი გვირაბგამყვანი გიგა ბაქრაძე იყო. ის დღე და ის დღე. მერე სულ ვფიქრობდი ამ ადამიანზე, მინდოდა, რაიმე დამეწერა მის შესახებ.

ახლა, აგერ, ეს გაზეთიც. შუბლგახსნილი, მოღიბარი გიგა — ჯანიერი, ხალისიანი ვაჟკაცი. გაზეთის პირველ გვერდზეა დაბეჭდილი მისი სურათი. ეს დიდი, ძალიან დიდი საქმეა. მთელი ჩვენი დიდი ქვეყანა გაეცნობა ახლა მის საქმიანობას.

● რამდენი მშვენიერი ადგილია იმერეთში, როგორი საკალმახია ხახვიეთის ყინულივით ცივ წყალში. ზამთარი კი რანაირი იცის.

მთის მკაცრ ბუნებაში ამტანი, ფიზიკურად ძლიერი ადამიანები იზრდებიან. გზებიც რაღაც სხვანაირია — მიხვეულ-მოხვეული, ხან ვაზივით დაგრენილი, ხან ფრიალოზე შეკიდებული.

უყვარს ამ გზაზე სიარული გიგას. აქ, ჭვრის ხიდს გადაღმა, გაატარა ბავშვობა. ახლა საკუთარი „უიგულის“ საჭეს მისჯდომია და მიდის.

გზაში ნაცნობი კოლმეურნეები ღიმილით ესალმებიან. ხიდიდან მწვანეში ჩაფლული სამსართულიანი შენობა ჩანს. სოფლის თვალი — ასე შეარქვეს აქაურებმა ახალ სკოლას. გიგამ სამი ათეული წლის წინ აქ, თავის მშობლიურ სოფელში, დაამთავრა შვიდკლასიანი სასწავლებელი.

ჭიათურის პროფტექნიკურ სასწავლებელში მბურღავის პროფესიას დაეუფლა. შრომითი ნათლობა ლენინის სახელობის მალაროში მიიღო. აქვე იმუშავა ათი წელი. მერე კი, იმ დროისთვის ჩამორჩენილ ახალი ითხვისის მალაროთა სამ-

მართველოში გადაიყვანეს მბურღავად. მალე კომპლექსური ბრიგადა შექმნა და სათავეში ჩაუდგა. საქვეყნოდ ცნობილი მალაროელი ყველაზე „მოუსავლიანად“ იმ თვეს თვლის, გეგმა 146 პროცენტით რომ შეასრულა. ყოველდღიურად ოცდაათ-ორმოც ტონა მარგანეცს აძლევს სამშობლოს, ხშირად მეტსაც. აგერ ახლახან ორას ტონაზე მეტი მანგანუმის მადანი მარტო თვიური გემის ზევით მოანგრია და ხელფასიც ხვავიანად ერგო — 710 მანეთი.

ამას მრავალი ფულადი ჯილდოც ემატება და აღარ გიკვირთ, პატიოსანი შრომით აგებულ, თანამედროვე ავეჯით გაწყობილ, თავის კოხტა ორსართულიან სახლში თავმოყვრილ რომ შეგიძლებათ.

ეზო-კარში რომ მიგატარო მოგატარებთ, თავის „სახელოსნოსაც“ განახვებთ. თავისუფალ დროს უქმად რა გამაჩერებს, ჩემთვის ვირთობ თავსაო, — იტყვის და თავის ნახელავს გამოალავებს. რა არ გაუკეთებია მის ხელებს.

დიახ, ხელებს! საოცარია... ახლა, ამ წუთში, პირველად დავფიქრდი იმაზე, რომ ხელები მრავალგვარია. არის ხელები დედისა, ესოდენ თბილი და ახლობელი. არის ხელები ექიმისა, ქირურგიულ მაგიდაზე მწოლიარეს იმედის სხივს რომ აუნთებს გულში. ხელები მასწავლებლისა, ყოველდღიურად ათეულობით წყვილი თვალი სიყვარულით რომ მისჩერებია. ხელები კეთილი მესიტყვე კაცისა, თავისი ნაწერებით სულს რომ გვისუფთავებს...

ეს ხელები კი არც ერთ მათგანს არა ჰგავს. არა ჰგავს იმიტომ, რომ ისინი ძარღვიანია, დაკოჟირილი, დაშაშრული, მკვრივი და ხენეში. ეს ხელები ებრძვიან მიწის გულს და იქედან სიმწრით ამოაქვთ ქვეყნის სიმდიდრე, სიკეთე, სიბოძო, სინაზე. ადამიანობა

და კაცურაცობა გამოსჭვივის ამ ხელებიდან. უღრმესი პატივისცემით იმსჯელები ამ ხელების მიმართ და გიხარია, როცა მათ ხედავ.

დიახ, სწორედ ამ ხელებმა განადგინა გიგა ბაქრაძე საქვეყნოდ ცნობილი კაცი. პირველი ჯილდო შრომითი მამაცობისათვის — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობა. ლენინის ორდენი მკერდზე. ოქტომბრის რევოლუციის, შრომის წითელი დროშის ორგზის ორდენოსნობა... განა მცირეა ყოველივე ეს?

კომუნისტ კაცს საზოგადოებრივ დავალებებს რა გამოუღევს. ახალი ითხვისის მალაროთა სამმართველოს პარტიბიუროს წევრია, მაგრამ ყველაზე მეტად ახალგაზრდებთან მუშაობა უყვარს. ვინ მოთვლის, ამ ორმოცი წლის მანძილზე რამდენი ჭაბუკი დაუფრთიანებია, რამდენისათვის გაუწევია დამრიგებლობა. თავად კი შეუდარებელი ოსტატობით ფლობს სამთოელის ყველა პროფესიას.

ცოტა ხნის წინათ პენსიაზე გავიდა. იქნებ დასვენება არჩიოს-მეთქი, გუნებაში გავიფიქრე. მაგრამ ეჭვი არ გამომართლდა და ეს ნამაგარი კაცი ისევ იქ მოხვდა, ლენინის სახელობის მალაროში. სწორედ იქ, საიდანაც დაიწყო მისი შრომითი ბიოგრაფია.

ამჟამად ზურაბ პატარიძის სახელობის მალაროში მუშაობს გვირაბგამყვანად. მეთერთმეტე ხუთწლეული შარშანდელი იანვრისათვის შეასრულა: 14.732 ტონა მანგანუმის მადნის ნაცვლად, 18.368 ტონა მადნის მისცა სამშობლოს.

ახლა იგი პარტიის XXVII ყრილობის შრომითს ვახტზე დგას. ყრილობის გახსნის დღისათვის 5.480 ტონა მადნის ამოღება იკისრა. ეს ასეც იქნება. მალაროელის სიტყვა და საქმე ხომ ერთია.

გაგო ხვედელიძე





ხანსაჲი ოხი პოხსურეჭისსვილ

ბორჯომის სახელგანთქმული ხეობა მართლაც რომ ზღაპრულ პანორამას ქმნის; განსაკუთრებით — მისი სატყეო მეურნეობისა და სახელმწიფო ნაკრძალის წარმტაცი ხედები, ასე საგულდაგულოდ რომაა მოვლილი, რაღაც უსაზღვრო ნეტარებას განიჭებს ადამიანს, თითქოს სულ სხვა, ჯერ ამოუცნობ სამყაროში შეჰყავხარ... სწორედ აქ, ამ არემარეში, რწმუნდები კაცი, ტყე არა მარტო შენი კეთილდღეობისა და ჯანმრთელობის საწინდარია, არამედ უპირველესად, მეგობარი, სულის ერთი ნაწილია, სიცოცხლესა და ხალისს რომ განიჭებს, შთაგაცონებს, ბიძგს გაძლევს — მის შრიალსა და სურნელებში, მის ღვთიურ მღუმარებაში ეძებო ახალ-ახალი პოეტური საღებავები, ჯადოქრული ხელით, თვით ბუნების მეოხებით შექმნილი წარმტაცი ფერები შენად იგულო, გონების ხილულ ხატებად აქციო...

დიახ, ასეთია „ტყის საიდუმლო ზღაპარი“, თავად ფოთოლთა შრიალითა და ალვის ხეთა რხევით მოთხრობილი — ხან ჩუმი და სევდიანი, ხან ათასი ხმისა და ფერის გამომცემი, ფესვგაგარი მურყნების ძირზე გაწოლილი ხავსივით ძბილი და ხავერდივით ალაღანებულნი.

ასეთია ჩვენი მთა-ბარის მაცოცხლებელი ტყე, მშობლიური მიწის წიაღს ჩრდილით რომ უგრილებს მხურვალე მკერდს და ფესვებით ამაგრებს, სინოტივსა და სინოყვირეს არ აკლებს. მაგრამ ორმაგად წარმტაცი ხდება იგი, როცა ადამიანის მზრუნველი ხელი და თვალი მთელ თავის სიყვარულსა და სულის სითბოს დაანათლავს ზედ.

ასეთი ადამიანები კი დიხაც გვეყვანან, გვეყვანან ვაჟკაცები, რომელთა მეოხებითაც ჩვენი ტყეები ხალხის სამსახურშია ჩამდგარი, ამ მხრივ ერთ-ერთი პირველი ადგილი, უთუოდ, ბორჯომის სახელმწიფო ნაკრძალისა და სატყეო მეურნეობის სახელოვან კოლექტივებს უჭირავთ.

თხუთმეტი წელია ამ კეთილშობილურ საქმეს ერთგულად ემსახურება ბორჯომის სახელმწიფო ნაკრძალის დირექტორი, სატყეო დარგის ერთ-ერთი ძველი მუშაკი ლევან გოცირიძე. საკმარისია ნახოთ იგი და მასთან ერთად დაიაროთ ნაკრძალის უზარმაზარი ტერიტორია, რომ დარწმუნდეთ, რა სიყვარულით, საქმის ცოდნით, პროფესიული ალღოთი განსჯის ყველა იმ პრობლემას, ტყის მოვლა-პატრონობასთან, გაზრდა-გახარებასთან, საერთოდ, ტყის სახელმწიფოებრივ დანიშნულებასთან რომ არის დაკავშირებული.

ნაკრძალის ხელმძღვანელობის წინაშე წლების მანძილზე, მრავალი სირთულე ყოფილა, მაგრამ პროფესიული ერთგულებით, ერთად, კოლექტიურად დაუძლევიათ იგი. ახლაც ბევრი სახლე გვაქვსო, — ამბობს ლევანი, — ნაწილი დავნერგეთ, ნაწილიც უახლოესა მომავლის საქმეა. ერთი რამ კი აშკარაა: ყოველი პრობლემის გადაჭრა ძალიან მაღალ მეცნიერულ დონეს მოითხოვს. არ შეეცოდავ, თუ ვიტყვი, რომ ჩვენი საქმიანობა, საერთოდ, მეტად შრომატევადი და მომქანცველია; მაგრამ ჩვენი კოლექტივი ძირითადად ახალგაზრდულია, ახალგაზრდულიც და გამოცდილიც. იგი ძალსა და ენერჯიას არ დაიმურებს სახელოვანი ტრადიციების გასაგრძელებლად. მარტო ის რად ღირს, ლაფნიჭამიას რომ შევეებით და დავჯაბნეთ... — აქ უეცრად ჩუმდება, თითქოს ერიდება, კვებნაში არ ჩამომართვანო ნათქვამი.

ტრადიცია კი მართლაც დიდი აქვთ: გოცირიძეთა გვარს პროფესიულ მეტყევე-ინჟინერთა მთელი დინასტია აღუზრდია; შორეულ წარსულზე რომ აღარაფერი ვთქვათ, თავად ლევანის მამა, აპოლონი, სახელგანთქმული მეტყევე ყოფილა, რომელმაც ამ პროფესიის სიყვარული ლევანსა და მის ვაჟს — ზვიადსაც ჩაუნერგა. ზვიად გოცირიძე უკვე მოწინავე მეტყევეა და მამა-

პაპათა სახელოვან გზას აგრძელებს...

საუბარში ჩემთვის ჩუმი ვიმახსოვრებ გმირის ორიოდე შტრიხით მოხაზულ პორტრეტს:

„ლევანი საოცრად თბილი და მიმზიდველი კაცია, უმაღლესი მონახავს ადამიანთან საერთო ენას, დაინტერესდება მისი ბედით და ყველაფერი გულთან ახლოს მიაქვს; იგი მკვირცხლია როგორც აზროვნებით, ასევე ლაპარაკით; რაღაცნაირი ფიქრიანი შთაგონებით ვაკვირდება, თითქოს ნაბიჯ-ნაბიჯ ვიანლოვდებო. მიუხედავად სისხარტისა, ათჯერ გაზომავს და ერთხელ იტყვის, ამიტომაცაა მისი ნათქვამი აწონილ-დაწონილი, დამაჯერებელი. მისი სიტყვა საქმეს არ შორდება...“

საუბარში შემოგვესწრო ლევანის კოლეგა და ძველი მეგობარი, ბორჯომის სატყეო მეურნეობის დირექტორი ამირან მახარაძე — დიდი გამოცდილების მქონე ადამიანი, ვინც მეტყევე-ინჟინერთა მრავალი თაობა აღზარდა.

ლევანი მეგობარს მიხასიათებს: — ამირანი ყველა საქმის ბურჯი და მოთავე ადამიანია; თოთხმეტი წელია ემსახურება ბორჯომის სატყეო მეურნეობას. მიყვება, რა დაურავათ, რით მოუწონებიათ თავი. განსაკუთრებით ტყის გამაჯანსაღებელ, სანიტარიულ ღონისძიებებზე ამასილვებს ყურადღებას. დამუშავებული ხე-ტყის მიწოდებაც ხომ მისი კოლექტივის მოქნილ მუშაობაზეა დამოკიდებული. როგორც ჩანს, სატყეოს მუშაკები მონდომებით ეკიდებიან ტყის მოვლა-პატრონობას — ამ მეტად საპასუხისმგებლო საქმეს...

ამირანი დინჯი და სიტყვაძუნწია. უმეტესად იმ სიძნელეებს მაცნობს, მათ საქმიანობას რომ სდევს თან; ეს განსაკუთრებით ბორჯომის ხეობის იმ მონაკვეთზე ითქმის, სადაც ამირანის კოლექტივს უხდება ყოველდღიური საქმიანობა; რელიეფი აქ ძალზე რთულ პირობებს ქმნის ხე-ტყის დამუშავება-

ირაკლი არაბული


გამოზიდვისათვის; მდინარის კლდოვანი, მიუდგომელი ნაპირი, ტყეში ციცაბო ადგილები, ვიწრო ბილიკები, საიდანაც მხოლოდ ცალუღელი ხარით შეიძლება მორების გამოზიდვა, მართლაც რომ მძიმე მდგომარეობაში აყენებს სატყეო მეურნეობის მუშაკებს. აი სად არის საჭირო ვერტმფრენების გამოყენება. იქნება, ალბათ, ესეც იქნება, ჯერჯერობით კი თავს არ ირცხვენენ ბიჭები.

სატყეო მეურნეობის სახერხის ტერიტორია, რომელიც ბორჯომიდან მეთვრამეტე კილომეტრზე, სოფელ ღვირთანა, დიდ სამშენებლო მოედანს მოგაგონებთ; მერქნის დახერხვა-დამუშავებაში გაწაფულები არიან ამირან მახარაძის მკლავმოულღელი თანამოსაქმენი.

ყველანი მკობნის მკობნი არიან — დაუზარელნი, გამოცდილნი, შრომისმოყვარენი, მუყაითნი, საქმის ზედმოწევისით მკოდნენი, ამასთანავე თავის თავისადმი მომთხოვნნი. შეხედეთ, — მათ ნახელავზე მითითებს ამირანი, — ამ ვეება მორებიდან ჩამოკოპიტებულ ათასგვარ მასალაზე, ფიცარი იქნება ეს თუ კარ-ფანჯრის ჩარჩოები, საკოჭეები თუ სხვა რამ.

...მერე თითქოს საღდაც მიღის ეს ცისფერთალეობა, დინჯი, ერთობ სანდომიანი კაცი, ერთხელ კიდეც ხელახლა გადაავლებს თვალს შვილივით მოვლილი ტყის უძირო სილურჯეს და მწვანე სიჩუმეში ფიქრებთან განმარტოვდება...

და ასე, ყოველდღე, დილის ქამს თუ მიმწუნრისას, ყველგან შეხვდებით ორ ვაჟკაცს, დამამერალსა და მუნღრაუნრელს, ბორჯომის სატყეო მეურნეობისა და სახელმწიფო ნაკრძალის ამაგდარ თავკაცებს — ლევანსა და ამირანს... დაე დიდხანს იდგნენ ისინი ერის სიჯანსაღის სადარაჯოზე. თითოეული მათგანი ხომ საქმემან თვისმან წარმოაჩინა და კვლავაც წარმოაჩენს...



ფუქარაქალი

ქართული
ბიზნისორთქვა

საქართველოს საზოგადოებრიობა ღრმა პატივისცემით აღნიშნავს სახელოვანი მამულიშვილის, დიდი მეცნიერის, აკადემიკოს გიორგი ჩუბინაშვილის დაბადების 100 წლის თავს. თითქმის 60 წლის მანძილზე იგი დაუღალავად ემსახურებოდა ქართული კულტურის საქმეს.

უღარესად მრავალმხრივია გიორგი ჩუბინაშვილის მოღვაწეობა. მან საფუძველი ჩაუყარა ქართული ხელოვნების ისტორიას, როგორც მეცნიერულ დისციპლინას. იგი იყო საქართველოში მატერიალური კულტურის ძეგლთა შეგროვებისა და მათი დაცვის ორგანიზაციის, მუზეუმებისა და გამოფენების მოწყობის ხელმძღვანელი და აქტიური მონაწილე, ხელოვნებათმცოდნეთა და მხატვართა არაერთი თაობის აღმზრდელი.

გიორგი ჩუბინაშვილი დაიბადა 1885 წელს, პეტერბურგში. მისი პაპა გამოჩენილი ქართველოლოგი და ლექსიკოგრაფი დავით ჩუბინაშვილია. მაღალი კულტურის ატმოსფერო, რაც ჩუბინაშვილების ოჯახში სუფევდა, ხელს უწყობდა პატარა გიორგის პიროვნების ჩამოყალიბებას. ბავშვობაშივე ჩაისახა მისი ინტერესი საქართველოს ისტორიისა და კულტურისადმი.

თავდაპირველად გიორგი ჩუბინაშვილი ლაიფციგის უნივერსიტეტში სწავლობდა, სადაც ფილოსოფიისა და ხალხთა ფსიქოლოგიის ეუფლებოდა. პარალელურად მოისმინა ხელოვნების ისტორიის ლექციების სრული კურსი, ხლო პეტერბურგს დაბრუნებულმა, საბოლოოდ გაიხადა თავისი კვლევის საგნად ქართული ხელოვნების ისტორია. ამ მიზნით გიორგი ჩუბინაშვილმა განაგრძო სწავლა პეტერბურგის ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტში პროფესორ დ. აინალოვთან და უნივერსიტეტის აღმოსავლური ფაკულტეტის ქართულ-სომხურ-სპარსულ განყოფილებაზე, რომელსაც სა-

ხელოვნებათმცოდნეობის ნიკო მაჩხაქიანი ხელმძღვანელობდა.

პეტერბურგში ცხოვრების წლებში გიორგი ჩუბინაშვილი ბევრს მოგზაურობს საქართველოში, ადგილზე ეცნობა ხელოვნების ძეგლებს. პირველი მისი ნაშრომი ქართული არქიტექტურის ძეგლის — საორბისის 1152 წლის ეკლესიის შესახებ, 1915 წელს გამოქვეყნდა.

1917 წლიდან გიორგი ჩუბინაშვილი საქართველოშია. 1918 წელს იგი ახალდაარსებულ თბილისის უნივერსიტეტში მოიწვია ივანე ჯავახიშვილმა. გ. ჩუბინაშვილი ხელმძღვანელობს ხელოვნების ისტორიის კათედრას, რომელთანაც შეიქმნა ხელოვნების მეცნიერების კაბინეტი, პირველი კვლევითი ცენტრი. იქ წარმოებდა ხელოვნების ნიმუშთა შეგროვება და მათი დამუშავება. მომდევნო წლებში გიორგი ჩუბინაშვილი იყო საქართველოს მუზეუმის არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის განყოფილების გამგე და დირექტორის მოადგილე, ხელოვნების მუზეუმის „მეცხის“ ხუროთმოძღვრების განყოფილების გამგე.

1941 წელს, როდესაც საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია დაარსდა, მის სისტემაში შეიქმნა ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი (თავდაპირველი სექტორი). გიორგი ჩუბინაშვილი იყო ინსტიტუტის უცვლელი ხელმძღვანელი 1973 წლამდე, გარდაცვალებამდე.

დიდი დამსახურება მიუძღვის გიორგი ჩუბინაშვილს მხატვართა ეროვნული კადრების მომზადებაში. 1922 წელს საქართველოში საფუძველი ჩაეყარა სამხატვრო აკადემიას, რომლის პირველ რექტორად იწვევენ გიორგი ჩუბინაშვილს. აკადემიაში სასწავლო პროცესი მაღალ პროფესიულ დონეზე იდგა; ამ დროს აქ პედაგოგები იყვნენ საყოველთაოდ ცნობილი მხატვრები: ე. ლანსერე, ი. შარლემანი, ე. თათევისიანი, დ. კაკაბაძე, ი. ნიკოლაძე... გ. ჩუბინაშვილი დიდ ყურადღებას აქცევდა მხატვრებისათვის საქართველოს ძველი ხელოვნების სწავლებას, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თანამედროვე ხელოვნებაში ეროვნული ფორმის ძიების

თვალსაზრისით. საერთოდ მეცნიერი ყოველთვის აქტიურად ენაშურებოდა თანამედროვე საბჭოთა ხელოვნების მნიშვნელოვან საკითხებს.

გიორგი ჩუბინაშვილმა შთამომავლობას უმდიდრესი მეცნიერული მემკვიდრეობა დაუტოვა. მან ტიტანური შრომა გასწია, რადგან ფაქტობრივად ძველი ქართული ხელოვნების შესწავლა თავიდან დაიწყო.

გიორგი ჩუბინაშვილმა თავიდანვე მიზნად დაისახა ქართული ხელოვნების განვითარების ისტორიული პროცესის დადგენა და მისი ეროვნული თვითმყოფადობის ჩვენება. ამრიგად, მან ახალი თვალსაზრისი დაუპირისპირა იმ დროს, ძირითადად უცხოელ მეცნიერთა შორის, გავრცელებულ მცდარ შეხედულებებს, რომელთა მიხედვითაც შუა საუკუნეების ქართული ხელოვნება მოკლებულია დამოუკიდებლობას და მხოლოდ უცხო ქვეყნების (ბიზანტია, სომხეთი) ხელოვნების განშტოებას წარმოადგენს.

პირველ ამოცანად მეცნიერმა მიიჩნია არქიტექტურის კვლევა, რომელსაც შუა საუკუნეების ხანაში წამყვანი ადგილი უჭირავს.

შეისწავლა ადრეფეოდალური ხანის (IV-VII სს.) როგორც უგუმბათო ეკლესიები — ბაზილიკები (ბოლნისის სიონი), ისე გუმბათიანი ნაგებობანი. სახელოვან, მცხეთის ჯვრის ტაძარი და მისი ტიპის ძეგლები, წრომის ტაძარი და სხვანი განხილულია როგორც ხუროთმოძღვრების განვითარების თანამიმდევრული ეტაპების მაგალითები. მეცნიერის ყურადღებას იპყრობს, აგრეთვე, განვითარებული ფეოდალური ხანის არქიტექტურა, რომლის ბრწყინვალე ნიმუშებია XI საუკუნის ქართული კათედრალური — ბაგრატის ტაძარი ქუთაისში, სვეტიცხოველი მცხეთაში, ალავერდი კახეთში და ე. წ. გარდამავალი პერიოდის (VIII-X სს.) ძეგლები. მან ცალკე წიგნი მიუძღვნა კახეთის არქიტექტურას.

გიორგი ჩუბინაშვილის მოღვაწეობის შედეგად შეაფიქრა წარმოდგენილი ქართული ხუროთმოძღვრების განვითარების სურათი, ქართული არქიტექტურის მკვეთრად გამოკვეთილი ინდივიდუალური

ხასიათი, დაწყებული ადრე შუა საუკუნეებიდან XIX საუკუნემდე.

მეცნიერმა დიდი ადგილი დაუთმო შუა საუკუნეების სკულპტურის პრობლემების კვლევას, პირველ რიგში კი ოქრომჭედლობის შესწავლას; ხელოვნების ამ დარგშიც გვიჩვენა განვითარების საერთო სურათი, გამოავლინა ცალკეული ეტაპების დამახასიათებელი ნიშნები.

შუა საუკუნეების კედლის მხატვრობა, თუმცა გ. ჩუბინაშვილის სპეციალური კვლევის საგანი არ ყოფილა, მაგრამ ხელოვნების ამ დარგშიც მეცნიერმა გამოყო ძირითადი პრობლემები და დასახა კვლევის მიმართულება. ნაშრომში დავით გარეჯის გამოქვაბული მონასტრების შესახებ, სადაც სპეციალური თავი კედლის მხატვრობას ეძღვნება, მან დასვა საკითხი საქართველოში ფერწერული სკოლების არსებობის შესახებ, წარმოადგინა რა გარეჯის სამონასტრო სკოლა მისი განვითარების პროცესში. მანვე აჩვენა, რომ XII-XIII საუკუნეების ქართულ მხატვრობაში მძლავრად აისახა შუა საუკუნეების ხელოვნების პროგრესული ტენდენციები.

მეცნიერისათვის დამახასიათებელია ხელოვნების საკითხების კვლევის ფართო მასშტაბი, ქართული ძეგლები განხილულია სხვა ქვეყნების ხელოვნებასთან მჭიდრო კავშირში. ამიტომაც მისი შრომების მნიშვნელობა სცილდება საკუთრივ საქართველოს ხელოვნების შესწავლას. ამ შრომებს ფასდაუდებელი წვლილი შეაქვთ მსოფლიო ხელოვნების ისტორიაში.

გიორგი ჩუბინაშვილის უდიდესი დამსახურებაა ხელოვნებათმცოდნეობის ქართული სკოლის შექმნა, რომელიც საყოველთაოდ აღიარებულია, როგორც საბჭოთა კავშირში, ისე მის საზღვრებს გარეთაც. დღევანდელი მეცნიერის მოწაფეები აგრძელებენ მის მიერ დანერგილ ტრადიციებს.

ნათელა ალადაშვილი



გიორგი ჩუბინაშვილი და აკაკი შანიძე. 1965 წელი.



გიორგი ჩუბინაშვილი სვანეთის ექსპედიციაში. 1954 წელი.

გიორგი ჩუბინაშვილი და ვახტანგ ბერიძე.



დექსები



ქართული
წარწერის
წარწერის
წარწერის

მოედებოდნენ ქალები
ფერდობებს დილა-ადრინ,
ცრემლით მეცხება თვალები,
მათი ხსენება მადლია.

ომი იყო და გვიჭირდა,
სახელით მინდა შევაქო —
სამთავ შეჭამანდს ჭინჭრიდან
გააშაადებდა პელაგო.

სად იყო მაინც ამდენი
ჭიჭილაყა და დანდური,
მოლოქა, ქათანაცარა,
ეკალა ჩამობარდული.

ათას ბალახში იცნობდნენ,
რომელი იყო ვარგისი,
და გრძელდებოდა სიცოცხლე,
ასე მთავარი... ხალხისთვის!

გულში ტკივილად ვინახე, —
მე დამრჩა უნა სამკალი.
სულ ერთი არის, ვინა ხარ,
ლახვარი მაშინ დამკარი,

როცა ნამგალი ავლესე
და გადავხედე შორიდან...
არა და, იმ წელს ჭალებზე
რა მოსავალი მოვიდა!

დღესაც თავნება ქარია —
ცაში ფოთლების ფარფატი.
უკვე მესამე ღამეა
სიზმარშიც ქარებს ხატავდი.

ბუჩქნარებს ეფარებთან
ჩამოცვენელი ფოთლები...
ხეები გებრალბიან —
დამწუხრებული მშობლები!

ჟუთაინი.

ბადრი ჟუთათილაძე

ბაბუჩემი

შენს გამოხედვას,
შენს ყოველ ნაბიჯს,
დროს, მოკლულს შენგან
შრომით და გარჯით,
შენს მოხნულ ველებს,
უტკბილეს ქართულს,
დაკოყრილ ხელებს
სიცოცხლე, ბაბუ!
ესათუთები
ნამუსს და სინდისს,
მას შენ სიკვდილიც
ველარ წაგართმევს.
ფოთლები ცვივა,
დრო-ჟამი მიდის,
კაცურ კაცობის
იცავ ადათებს.
ვერ გადაგტეხა,
გული ვერ დაღრღნა

შიშმა და ძრწოლამ,
სუსხმა და წარღვნამ.
როცა გატყდება
სიცოცხლის კვერი,
აქ დამიტოვე
სიკეთე ბევრი,
ის ცხადი აზრი
და საიდუმლო,
რითაც ცოცხლობ და
რითაც სულდგმულობ,
რომ დავულოცო
ლერწი ბაბილოს...
და ცეცხლი შენი
ჩემში გავივლო.
ღმერთს შევევედრო
უნდა ათასჯერ,
რომ ჩემს მომავალს
მაღალი შენი
შეუბღალავი
სული გადაცე!

დუღუნი წახნაგია

მამულის გზებს

(ხალხურ კილოზე)

სულ იმ ქარებს მოვყვებოდი,
შენ რომ მკერდი აგიყვავა,
არ მიყვარდე, მოვკვდებოდი,
ალალ შენი ნაღდი ყმა ვარ!


სულ იმ წვიმებს მოვყვებოდი,
შენ რომ თვალებს გისველებდა.
უშენობით მოვკვდებოდი,
ლექსი დღეებს მიგრძელებდა.

სულ იმ მთვარეს მოვყვებოდი,
შენ რომ გეცვა თუთარჩელად,

უშენობით მოვკვდებოდი,
ვერ ვუმღერდი გუთანს „ჩელას!“

მარად შენი ავ-კარგია,
ჩემი ყოფის გზა და ხიდი,
ვძებნე, რაც არ დამკარგვია,
შენში ვპოვე სიბრძნე დიდი.

სულ იმ ზარებს მოვყვებოდი,
შენ რომ მზეში გასახლებდა.
უშენობით მოვკვდებოდი
გასაყარ გზის გასახვევთან.



სენიონის სახლთან

ზასილ გვებაძე

ისევ დაადგა სახლს მთვარემ თვალი, ალბათ ეზოში ცქერა მობეზრდა. ჭასთან ფუსფუსებს მოხუცი ქალი და ყმუის ძალი წნევის ღობესთან. აგერ ცაცხვი და არყების უკან გომური ძველი და ისლიანი. ქერა გოგონამ ნაცნობი შუკა გამოიქროლა კაბის ფრიალით. მთვარემ წისქვილებს გადაუარა, წელან რომ თეთრი ალით ბოლავდნენ. ამ დროს ხუტორში, ვინდა თუ არა, გარმონი ტირის ალიონამდე. მღეროდნენ ადრეც, ღამეში გვიან, მღერიან ახლაც მღინარის ახლოს, ოღონდ იმ სახლში, შენი რომ ჰქვია, წინაპართაგან არავინ სახლობს. ბალებში კვამლი რაღამ არია, პურის ყანაში ამდგარ ბოლივით. ქარი კი, შენი ქვეყნის ქარია, ზუზუნით სტეპზე გამოქროლილი. ხანდახან თბილი ქართული ქარიც შემოგვხვდება სამშობლოს გარეთ. პოეტი ყველგან პოეტი არის, ტრამალში იშვა თუ ვაზის მხარეს. მგოსნებს, ახლა რომ მთაზე სახლობენ, ახსოვთ ლამაზი შენი პროფილი. სულით ხორცამდე ასე ახლობლებს, ძმებს უწოდებდი შენ კმაყოფილი. იყო ყიყინა და ღამის თევა, შენ შუა შუქში შენით შემოდი. ქართულ მარანში დაწურულ მტევანს, გრძნობდი რუსული ლექსის გემოთი. გადადიოდა სიტყვა მეხადა, მუხამბაზების ბუქად ამტყდარი, ნიკო ფიროსმანს კი მოეხატა მთელი თბილისი, როგორც საყდარი. აგერ აქამდე მოსტირის ლექსი დედის ვარამს და ჭაბუკის სურვილს, უფრო მძაფრია და უამესი იასამნების საამო სუნიც. მაგრამ ნუ მიწყენ, თუ ვიტყვი მართალს და ძველ ჭრილობებს გადავხსნი დღესაც: შენ, ჩანვით მდგარი სამშობლოს კართან, ვერ ივარგებდი ხბორების მწყემსად. შენ უნდა მარტო ლექსით გეტერა, ტირიდი კიდევ და წერდი, წერდი, ოღონდ დატოვე მრავალწერტილად სიცოცხლის წიგნის სულ ბოლო გვერდი. ისევ ისეა ეს ეზო-კარი, თუმცა წლებმა თვალი ამოუბინდა... მაშ, დაილოცოს ყოველი პქკარი, ამოფრენილი მისი უბიდან!

„აპა, აღსრულდა, აპა, აენთო და მზემ მოგვისწრო ღამის ბინადრებს. გამოიღვიძეთ, ძმებო, კარებთან აწ მარადისი მოდვა სინათლე.“

შენც გაიღვიძებ და ამღერდები, გახარებულო ჩემო მამულო, შენი მთებით და შენი ქედებით იტყვი სიმღერას სასიყვარულოს...“

ეს სტრიქონები გამოჩენილ სომეხ პოეტს ვაჰან ტერიანს ეკუთვნის. პოეტური სიტყვის დიდი ოსტატი ასე მგზნებარედ შეეგება „ავრორას“ ზალსს. ოქტომბრის რევოლუციის დროს მან დაინახა თავისი ქვეყნის მომავალი. ამიტომ ამოიძახა ასეთი მგზნებარებით: „ადექ, სულო, ადექ, რა დროს ძილია... შეშინებული ვარსკვლავების მსგავსად, ძველისძველი გვირგვინები ცვივიან“.

ვაჰან ტერიანი საქართველოში დაიბადა. აქ, ჯავახეთის ძველსა და თბილ მიწაზე, სოფელ განძაში აიღვა ფეხი, დაუაყვაცდა და ფართო ცხოვრების გზაზე გავიდა. შემდეგ წინა ხაზზე, მებრძოლთა მოწინავე რიგებში ჩამდგარი პოეტი, წარუშლელი ფერებით ხატავდა მშობლიურ მხარეს და იგონებდა თბილისს, როგორც თავისი ბავშვობისა და ახალგაზრდობის უსაყვარლეს ქალაქს. ეს გამოჩნდა მის შემოქმედებაშიც, კერძო წერილებშიც.

როგორც გულწრფელი პოეტური აღსარება, მას დარჩა მოგონება აკაკი წერეთელთან შეხვედრაზე მოსკოვში. ეს მოგონება, უაღრესად სათნო და მოკრძალებული ტონით დაწერილი, ნიშნავს იმისა, თუ როგორ უნდა უყვარდეთ ერთმანეთი ორი ეროვნების ადამიანებს.

ამასთან, ვაჰან ტერიანმა სომხურ ენაზე შესანიშნავად თარგმნა აკაკი წერეთლის ლექსები და „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგის ნაწილი, რომელსაც ნიკო მარმა „მზის ნატეხი“ უწოდა. აღსანიშნავია ისიც, რომ ნიკო მარმა პირველმა დაიტერა უნიჭიერესი ახალგაზრდა პოეტი თავის წერილში „ჩემი სტუდენტის ვ. ტერიანის ხსოვნას“.

ნატიფი, დახვეწილი ხელწერითა და ხმით ყველასაგან გამოჩენილი სომეხი პოეტი, სადაც არ უნდა წასულიყო, მუდამ თავის მეორე სამშობლოზე — საქართველოზე ფიქრობდა. საქართველოსაც არასოდეს დაუწყებია თავის კალთაში აღზრდილი შემოქმედი, რომელიც სრულიად ახალგაზრდა, ოცდახუთმეტი წლისა გარდაიცვალა.

მრავალეროვნული საბჭოთა ლიტერატურის ნამდვილ ზეიმად გადაიქცა წელს, ზაფხულში, ვაჰან ტერიანის მშობლიურ მხარეში, მის პატივსაცემად ჩატარებული ტრადიციული დღესასწაული — მოძვე სომეხი ხალხის საამაყო შვილის დაბადების ასი წლისთავი. ეს ზეიმი ორივე ხალხის ისტორიაში შევიდა, როგორც მათი საუკუნოვანი ძმობისა და მეგობრობის თვალსაჩინო და მეტყველი ფაქტი.

მხატვრული სიტყვის შეუღარებელი

ოსტატისადმი სიყვარულისა და პატივისცემის მკაფიო გამოხატულებაა საზეიმო საიუბილეო საღამო, რომელიც 28 ოქტომბერს კოტე მარჯანიშვილის სახელობის აკადემიურ თეატრში გაიმართა. ამ საღამომ ღირსეულად დააგვირგვინა პოეტის იუბილე და ერთხელ კიდევ თვალსაჩინო გახადა ვაჰან ტერიანის შემოქმედების უკვდავება.

საღამოს დაესწრნენ ამხანაგები ჯუმბერ პათიაშვილი, გურამ ენუქიძე, დიმიტრი ქართველიშვილი, სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი კარელ ლალაქიანი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ნოდარ ჯანბერიძე, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი ნელი გურგენიძე. საზეიმო საღამოში მონაწილეობისათვის ჩამოვიდნენ ცნობილი სომეხი მწერლები.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ, პოეტმა შოთა ნიშნიაძემ.

მოხსენება ვაჰან ტერიანის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ გააკეთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა გიორგი ციციშვილმა.

სომხეთის მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ, იუბილეს მომწყობი საქართველოს რესპუბლიკური კომისიის წევრმა ვარდკეს პეტროსიანმა, მადლობა გადაუხადა ქართველ ხალხს, რესპუბლიკის ხელმძღვანელობას იმისათვის, რომ ასე სათუთად ინახავენ სომეხი პოეტის ხსოვნას. სომეხმა პოეტმა ვაჰან დავითიანმა დამსწრე საზოგადოებას გააცნო ვალაკტიონ ტაბიძის „ლურჯა ცხენების“ საკუთარი თარგმანი. საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა, პოეტმა ჯანსუღ ჩარკვიანმა თბილი, მეგობრული სიტყვის შემდეგ, წაიკითხა სომეხი თანამოქალაქეებისადმი მიძღვნილი ახალი ლექსი.

კონცერტში მონაწილეობდნენ საქართველოს ხელოვნების საუკეთესო ოსტატები. ერთიმეორეს ენაცვლებოდა ვაჰან ტერიანისა და ქართველი პოეტების ლექსები, საამო სომხური და ქართული მელოდიები. სსრ კავშირის სახალხო არტისტმა, სოციალისტური შრომის გმირმა ვერიკო ანჯაფარიძემ მისთვის დამახასიათებელი ოსტატობით წაიკითხა საქართველოს სახალხო პოეტის იოსებ გრიშაშვილის ლექსი თბილისზე.

ვაჰან ტერიანის ხანმოკლე, მაგრამ ნათელი პოეზიით განათებული სიცოცხლე, დიდი ოქტომბრის იდეალების უსაზღვრო ერთგულების მაგალითია. აქედან იწყება მისი, როგორც პოეტის უკვდავება. მისი შემოქმედება ღირსეულად განაგრძობს სომხური ლიტერატურის ჰუმანისტურ ტრადიციებს და მომავლის წინაშე დგას მთელი თავისი სრულყოფილებით.

— შარო, საიდან მოდიხარო?

— ნუნუასგანაო!

— ნუნუა ვინ ჩაგაცეცხლოა?..

— ხმა ჩაიწყვიტე, გოგო, თორემ, თუ წამოვდექი!.. — იღრინება საბნიდან ცხვირგამოყოფილი ფილო, მაგრამ შეილმაც იცის და თავადაც კარგად მოეხსენება, რომ ვერ წამოვდება, ეგრება დაღწილი, გვერდზე გადაბრუნება უჭირს, გახურებულ შუბლზე კანი დოლისპირივით ვადასჭიმვია და ჰგონია, სადაცაა გადაუსკდება.

იცის პატარა გოგომ მამის გასაჭირი, საფენივით ვრილ ხელს შუბლზე დაადებს და ისიც ნასიამოვნები აკრუტუნდება:

— ჰოო, კარგია, შენ ვარდა ამ სახლში ჩემი პატრონი არავინ არი, — გული უჩუყდება თვალმილულულ ფილოს, — ეგ უკვე გათბა, ახლა მეორე...

მეორე ხელსაც დააფარებს და ფილო წასთვლემს, — იცის ერთი პირი ძილი გამოაშუშებს, ფეხზე დააყენებს.

— დაგაგვიანდა სკოლაში... ხელი კი არა, საფლავის ქვა უნდა დავადოთ, ქვა უფრო კარგად გააგრილებს! — ცოლის გაკაპასებულ ხმას გამოჰყავს ტუბილი ბურანიდან, ძალით მოათრევს მტანჯველი სიფხიზლისაკენ.

ახლა კი მართლა ადგება, აუჭრელებს გვერდებს და ზოგიც მაშინ არატრატოს ენა. ვინც ქალი მოიგონა... ერთ თარგზე არიან გამოჭრილი, თუ რა ღვინა წყრომა... ღმერთო, რა შესცოლა კაცმა ისეთი, რომ თითო ჯოჯოხეთის მაშხალას ყველას მიუჩენ ხოლმე... უნდა დააბა, გამოკეტო, რომ მზის სინათლე ენატრებოდეთ. ეგრეა, ეგრე, ჯერ მოშუშდეს, მერე თვითონ იცის, დაბამს კი არა, მგონი ფეხისწვერებზე გავლაც ერიდებოდეს.

— დამაცა, დამაცა... ჯერ დამაცა! — ვინ მოთვლის მერამდენედ იმუქრება ფილო და ბალიშზე გრილ ადგილს ეძებს. იმუქრება, ჰგონია, ახლა უმჯველად აუხდენს და წინასწარ კმაყოფილია თავისი საბოლოო, ურყევი გადაწყვეტილებით.

„სხვებიც რომ ასე მოიქცეოდნენ, არ დაწყნარდება ქვეყანა!“

ნუ შევედრებით, ეგებ ცამდე მართალიც იყოს ფილო, მაგრამ იმდენ ჯაჭვსა და თოქს სად იშოვნის, მითუმეტეს, რომ ზოგისთვის ერთი ჯაჭვი არც იკმარებს, დაწყვიტავს და ვარ კაცების ბრალი, — ამაზე არ დაფიქრებულა, მაგრამ, როცა საქმე საქმეზე მივა, გ-

სტუდენტობა

მოსავლსაც მიაგნებს, აკი ანდაზაც ამბობს... თუმცა სჯობს ისევ ფილოს დავებუნდეთ, საბანში რომ მობლუნძულა და ხვედასავით თავი კედლისთვის მიუყუდებია.

ამბობენ, სიფხიზლეში ბაჯალლო ოქროათ, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ამ მდგომარეობაში იშვიათად უნახავთ. როგორც ეტყობა, ფილოს ფხიზელი ღღებები ძირითადად ბავშვობის პერიოდზე მოდის და გარდაშვალ ასაკთან მთავრდება, მაგრამ ამჯერად ეს სულაც არ არის მთავარი... ღმერთმა შეარგოს, დასალევი უნდა დაილიოს, სუფრა თავისებური და სერიოზული ბრძოლის ველია, დიდ გამძლეობას მოითხოვს და სწორედ ეს ლატობს მკადპურათი გამოზრდილ, ადრე დაობლებულ, ორ დედინაცვალგამოცვლილ, დიდი დატვირთვისათვის მოუშნადებელ, ფიზიკურად სუსტ ფილოს.

ამის ბრალია, რომ მეხუთე ჭიქა (ნათალ ჭიქას ვგულისხმობ), ფილოს ტვინში ცოდვის კითხვას ატრიალებს. არადა რა ქნას, ძალიან უყვარს და განა სიყვარული დასაძრახია, მითუმეტეს თავგანწირული, უსაზღვრო სიყვარული?.. თუ დასაძრახია, გავჩუმდები, ხმას აღარ ამოვიღებ, ეს თქვენ და ესეც თქვენი ტუჩებგადმობრუნებული ფილო, როგორც გინდათ მორიგდით, მე ხელეუბი დამიბანია...

მეხუთე ჭიქაზეო, არა, მგონი ასე ვთქვი? მთლად ასე არ უნდა იყოს, იმასაც ზომ გააჩნია, რა ძალის სითხე ასხია. მოკლედ, ცოტა მეტი, ცოტა ნაკლები და... ფილოც მზად არის. იქვე გაჭინჭყლდება, ან დაუყვავებენ, ანდა მსუბუქად წაუთაქებენ და გაჩუმდება, ჩაიგდებს ენას, მაგრამ თავის უბანში როცა მოვა, ა, სწორედ მაშინ გადაირევა, აყვირდება, თანდათან აუწევს და აუწევს, ხოლო უკვე საკუთარ სახლთან ეგრე გაიფცქვანება, რომ თუ დროზე არ შეაჩერებს, ისეთი წარუდგება ქვეყანას, როგორიც მოველინა ამ ორმოცი წლის წინ.

გამოცვივიან ალიაშვილები, ბალიაშვილები, ჭიოკაანი, წუბაკაანი... დაეხვევიან, იჭერენ, ოლონდ რად იჭერენ, არ იციან და ვინზე იწევს — არც ისა.

ცოდვა გამოტეხილი სჯობს

და ამ საკითხში მთლად გარკვეული არც ფილოა, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს, მთავარია, რომ ამდენი ხალხი ეხვევა, ევედრება, გაჩერდი, დაწყნარდი, ცოდვა არ დაატრიალო.

ესეც ბუნაკალნაკებნივით უფრო მეტად გაყრის ტლინკებს, გაარღვევს წრეს, შევარდება შინ და გამთარბენებს ორლულიანს. ატყდება უფრო დიდი წიოკი, მეზობლების ვაი-უშველებელს გაღმა-გამოღმა უბნების ძაღლებიც ხმას უბანებენ, თუმცა კარგად იციან, რომ ეს თოფი უთვალავჯერ გამოუტანია სახეშეშლილ ფილოს, მაგრამ ღღემდე ერთხელაც არ გავარდნილა. ისე კაცმა რომ თქვას, ეშმაკს არ სძინავს და მაინც ფხიზლად არიან ალიაშვილები, ბალიაშვილები, ჭიოკაანი, წუბაკაანი. ხელებს უჭერენ, მუხლებში უვარდებიან, ისე დგანან გამოსასვლელში, ფილო კი არა, ბუზი ვერ გაუძვრებათ.

ხან ცოლ-შვილს შეაბრალებენ, ხან საკუთარ თავს, და ბოლო-ბოლო ჩაცხრება, — შენი ხათრიოთა, დეიდაჩემო, მარტო შენი ხათრიოთა!.. — ხელს გადახვევს ალიაშვილ ბებრს და ცოდვის ჩასადენად აღერდის სულს საწოლზე გაუხდელად მიგდებული მოასვენებს. ლოდინით გულგაწყალებული თოფი კი ისევ საცოდავად ჩამოკონწილდება ქანგიან ლურსმანზე.

ფილო მეორე პირ ძილს გამოაცხობს ვიდრე უბანი დაიშლება. მეზობლები დგანან, მსჯელობენ, მოსწონთ თავის თავი, განსაკუთრებით იმას აქებენ, პირველი ვინც ეცა, მარჯვედ გადაუგრიხა ხელები და გასაქანი არ მისცა.

ნაშუადღევს, როგორც იქნა წამოიზღაზნა. შემოდგომის თბილმა ღღემ ოდნავადაც ვერ გამოუკეთა გუნება, მაგრამ გაახსენდა, რომ ღღესაც შეიძლებოდა გუშინდელი სუფრის ნამცეცობაზე მისვლა და გულში ნათელი ჩაელვარა. ცოლ-შვილი ეზოში ლობიოს არჩევდა. დაავიწყდა თავის დანაქადნი, ანდა, ცოლის დაბმას ვინ ჩიოდა, ნეტა თვითონ შეუმჩნევლად გაესწრო სახლიდან.

ჭიშკრიდან გასვლა რომ არ

ეივარგება, უცებ აწონ-დაწონა, ჭედელ-კედელ მოხრილი გაიპარა, ღობეს გადაევილო და გაქრა.

სადაც მივიდა, ძალიან ენიამოვნათო, ვერ ვიტყვი, მაგრამ სტუმარი ვის გაუგლია.

„ეს რა მოუცილებელი სახალია!“ — გაიფიქრა მასპინძელმა და ისე უგულოდ შეიპატიჟა, თავმოყვარე კაცი... გეთანხმებით ამ შემთხვევაში „თავმოყვარეობა“ სრულიად უადგილოდ ვახსენე, ანდა ვის რაში სჭირდება, გქონდეს და იარე მშობი-მწყურვალმა.

მიუჭდა ფილო სუფრას, ნასიამოვნები და გაბებღვილი, ვითომც კაცი-კაცზე უგზავნეს, მორი, დაგვაფსაეო, ვითომც გუშინ უბოდიშოდ არ გააბანლურეს.

თავს აღარ შეგაწყენთ, ვიტყვი მხოლოდ, რომ შეღამებულზე, ორმა კაცმა ეზოდან გამოიყვანა და გზას დააყენი, მოგვცილდი, ვიდრე მთელი ხარო.

მომთმენი კაცია, ხმა არ გაუღია. ანდა რა ეჩქარებოდა, უბანში მივიდოდა და მერე თვითონ იცოდა.

ბარბაციოთ გადაიარა ბოგირი და როგორც კი თავი სათავისოში დაიგულა, მეხივით დასჭექა, სახელსა და გვარს რომ არ ამბობდა, აი, იმას არავინ დაუტრევა უგინებელი, იქნია მუშტები, შეძრა გნისით ცა და მიწა, მაგრამ გაგიგონია? თუ ძაღლებს არ ჩავთვლით, ადამიანის ჩამიჩუმში არ ისმის. ალიაშვილები, ბალიაშვილები, ჭიოკაანი, წუბაკაანი, ჯანდაბანნი და დოზანანნი, ეგრე გაისუსნენ, ერთმა არ გამოხედა, ერთმა არ შიახრა თავხეხელადებული კაცი.

— დაიხოცნენ, თუ რა მოუვიდათ ამ შობელძაღლებს! — ისევ დასჭექა, უფრო ცივი და გამყინავი ხმით, უფრო მწარე-მწარეებით შეამკო ვილაც, მაგრამ ცხვირი მაინც არავინ გამოყო.

რა ქნას, ასე „უსახელოდ“ როგორ დაიძინოს, ხომ გაუსკდა გული. მეზობლების საქციელით გაკვირებულმა და ნაწყენმა დაშვებული ბურთივით ამოიქმინა, კარი წიხლისკვრით შედო და სახლში ნაცემი ძაღლივით შეიძურწა.

დაწვა, მაგრამ ვერ მოისვენა, შეურაცხყოფილი, შელა-

ხული ღირსება არ ასვენებდა და ბოლო-ბოლო წამოახტუნა კიდევ.

— ფეხებზე დამიკიდეთ, არა? უკ, თქვენი!

ზედითვე იქუხა, ჰაერში თოფისწამლის სუნი დატრიალდა და ფეხზე დადგა შემოფოთებული უბანი, ეგონათ, ახლა კი ნამდვილად რაღაც უბედურება დაატრიალათ და გამორბოდნენ ჩაცმული თუ ჩაუცმელი, საწოლიდან წამო-

ვარდნილი ნახევრადშიშველი ალიაშვილები, ბალიაშვილები, ჭიოკაანი, წუპაკაანი. მობრუნდნენ ყვირილით, შეცხადებით, წიოკით, მოაწვენ, შემოგლიჯეს ჭიშკარი.

— ჰაი, დედასა, როგორ დავაცილეთ, რატომ მარჯვენა არ მომტყდება... გამიშვით, ერთი ახლო ვნახო, რა ბიჭია, გამიშვით, მე მაგის... — ფილო შემოხვეულ მეზობლებში აბლაბუდაში გაბმული ბუ-

ზივით აფართხალდა, ხალხის ტალღა აგორდა ბურთივით და ლობეს მიაწყდა.

რაღა თქმა უნდა, ამჯერადაც არავინ იცოდა, თუ ვის ემუქრებოდა შეიარაღებული უბნის აბეზარი.

თვითონაც რომ მოიღალა და სხვებიც დაქანცა, გაჩერდა.

— შენი ხათრითა, დეიდაჩემო, მარტო შენი ხათრითა, თორე!.. — ალიაანთ გაქანტულ ბებერს სასოებით ჩაა-

ბარა თოფი და, ხალხის წრიდან გამარჯვებული ყოჩივით გამოვიდა...

— ნახე, ცოლმე, ეჭუთე... გამოიხედა?

— რათ გამოიხედავს, რა, მშვენიერ პატრონებს ჩაგვაბარა თავის გადარეული ქმარი.

„პატრონები“ როცა დაიშალნენ, ფილო უკვე გულდაღმა ეგდო და ბალიშს მთელი გულმოდგინებით ჩაბლუოდა.

პიტუნი

თონეზე დაფარებულ ფიცრებზე სხედან, მოკუნტულები, მუხლისთავებზე მკლავშემოხვეულები და ქარის ზუზუნს ყურს უგდებენ.

ჭრიანებს სათონის კარი, პატარა, სათოფურივით სარკმელს სიბნელე აფარებია, სიბნელე და წვიმა, მსხვილი, მამაპაპური, გუბის ზედაპირზე რომ იბუშტება, ისეთი.

ხარბიანზე ჩარიგებული ქათმები უკვებ აფართხლდებიან, თითქოს რომელიმე მთვანემა ძალიან სასაცილო რამე თქვაო. მიაწყდებიან ერთმანეთს კრიახითა და კაკანით, გულებს დაუხეთქავენ პატარა ბიჭებს და ისევ მიყურდებიან, მაგრამ ჩაძინებას ვერ ბედავენ, ჯერ ხომ უნდა გაიგონ, ესენი რათ წამოსკუპულან, რა უდევთ გულში, მტრად მოსულან თუ მოყვრად. განსაკუთრებით მამალი ბრაზობს, დაელმებულნი თვალებიდან სულ ნაპერწკლები სცივია და მართალიც არის, ხუმრობა საქმეა, ამათი დიდები, მამები, ბებიები, პაპები, დიდი თუ პატარა ამის იმედზეა და დროზე თუ არ მოისვენა, ყიცილიყოს დასაძახებლად ძალა არ მოიკრიფა, ამდენ ხალხს ვინ დაადვიებს!

„წადით რა, თქვე მამაცხონებულებო, ან დღე არ იცით, ან ღამე?“ — ფიქრობს და რა იცის, რომ ბიჭებს სულაც არა აქვთ ქათმების ჯავრი, შეციებულებს თავის თავი გასჭირვებით.

კარგად რომ გათბნენ, შეაშრათ სველი ტანსაცმელი, თონის კიდევ დაწყობილი კუთვები დაითითოვეს, სული შეუბერეს, ნაცარი მოაცილეს და გემრიელად შეექცნენ.

ფიცრებშია მოჩანს, როგორ იხველება ცეცხლი, ნაცრისფერში ეხვევიან ნაკვერჩხლები. ხანდახან ნაღვერდული გატაკუნდება და ღველფის ბურთულები ამოცვივა.

თამაზმა კუტი დადო, ფიცარი ასწია და ცეცხლი მოჩხრიკა. ცხელი ჰაერი ახალი ძალით ამოვარდა.

— აფსუს, რა სამწვადე ცე-

ცხლია! — ფიცარი ისევ წააფარა, კუტს გაბრაწული წიბო წაატეხა და დადარდიანებული კაცივით განაგრძო: — თუ დროზე არ გამოიამინდა, არ ვიცი, რა გვეშველება... ჭარხალი ამოსაღებია, სიმიინდი მოსაჭრელი... როდის ლობიო გამოვგლიჯეთ და დერეფანში ჯერაც დასარჩევი გვიყრია... რა ვქნათ, ვერ ავუღივართ ამდენ საქმესა...

ეს ჩემი ძმა კიდევ გინდ ყოფილა, გინდ — არა, გადაპკიდებია აიფხორას გოგოსა და თუ დროზე არ მოვუყვანეთ, ნამდვილად ჭკუაზე გადავა. აქამდეც მოვუყვანდით, მაგრამ დედაჩემია უარზე, — სარივით არი, წელი მაგას არ ეტყობა და თეძო, ვითუ, ბავშვი ვერ გააჩინოს, უშვილო რძალს ვუყურო მთელი სიცოცხლეო? — გაპარტყა ხელები, მოკლედ, მთელი ოჯახი დიდ სადარდელში ვაართ...

— რას ამბობ, რად უნდა გააჩინოს, ვერ იყიდით? — ისეთი ტონით შეაწყვეტინა ნიკამ, ვითომ უშვილობა ვერაფერი მიზეზია აიფხორას გოგოს დასაწუნებლად.

თამაზს სიცილისაგან ნამცეცი გადასცდა ყელში და სული ძლივს მოითქვა:

— ეე, ტუტუც, კიდევ მაგ ზღაპრების გჯერა? კი არ ყიდულობენ, ბავშვი ქალმა უნდა დაბადოს!

ნიკა უნდობლად შეაჩერდა.

— ლამარა ხო იცი? — განაგრძო თამაზმა.

— ვინ ლამარა?

— ბოგირთან რო ცხოვრობს... აბა დააკვირდი, რამხელა მუცელი აქვს!

— მერე რა, ალბათ, გასუქდა.

— გასუქდა კი არა და... — ქეჩოში წამოუშტიალა თამაზმა, — დედაჩემმა თქვა — დღე-ღღეზეაო...

— რახეო? — თვალები დაქაჩა ნიკამ.

— დღე-ღღეზეაო, მალე ბავშვს გააჩენსო.

— შენ გითხრა?

— ღამე მამაჩემს ეჩურჩულებოდა, ალბათ, ეგონა — მე-

ძინა, ყურს კი ვუგდებდი, სუ წვნიკად ავკრიფე... „თანაც ვისგანა პყავს, თუ იცი, ი, ქალაქელსაც ხო კარგა ხანია გასცილდაო?“

მამაჩემმა იუარა: „ანეტა ამბობს, ჩემ სიძეს ეგეთი სამუშაო აქვს, ღამით მოდის და დილაუთენია ქალაქში ბრუნდება, სოფელში იმიტომ არა ჩანსო“.

— „აი, ეგ დასაბრმავებელი, დააბრმავე კიდევ გამჩენმა, ნეტა თვალს ვის უხვევს, მთელმა სოფელმა იცის, რომ ბავშვი ტანტარაანთ შურასია, მაგრამ ეგვეც ძველია, ეგვეცა...“

„გაჩუმიდი, — დაუტია მამაჩემმა, — აბა, ეგ საიდანლა მოუგონეო“.

„რა მოვიგონე, კაცო, ეგეთია შურას ცოლი, დანა რო დაარტყა, წვეთი სისხლი არ დადმოუყვიაო...“

„ცოტა დაუწი! რას მიყვირი, ჩემგან ხო არ არის ისაო... ფეხშიძემეთაო...“

მე ერთ გვერდზე წოლით დავილაღე, ვითმინე, ვითმინე, მაგრამ ვეღარ გავძელი და გადავბრუნდი. კრაოტის ჭრიალზე გაჩუმდნენ, ალარაფერი უთქვამთ.

— ვერაფერი გავიგე, — მხრები აიჩეჩა ნიკამ, — ლამარა თუ ბავშვს აჩენს, შურა რა შუაშია?

— ოო, ღმერთო! — ხელები ალაპყრო მუხლმოკეცილმა თამაზმა, — ნამდვილი შტერი ხარ, შტერი! უკაცოდ ქალი ბავშვს როგორ გააჩენს...

თამაზი რალაცას ვატაცებით ყვებოდა, უხსნიდა, უსურათხატებდა, როგორც მასწავლებელი გაკვეთილების შემდეგ დატოვილ ჩამორჩენილ მოსწავლეს, და თუმცა მისი ცოდნა მხოლოდ და მხოლოდ მწიერი წარმოსახვის ნაყოფი იყო, მაინც ამ „საგანში“ ჭიამჭრილივით წკურავდა თვალებს, ენას აწყლაპუნებდა, განზე დაუდევრად იპურტყებოდა და, ისევ ყვებოდა...

ნიკას გონებაში პირველად შიშვლდებოდა ქალი. ჩამოშლილ თივანზე მორიგეობით ცვიოდა წინსაფარი, თეთრი, სიფრიფანა მოსასხამი, კა-

ბა და ბიჭის თვალწინ ანათებდა მზემიუკარებელი სხეული... ამ სხეულს ლამარა ერქვა, უსირცხვილო, მაკლური ლამარა...

ნიკა ჩამთბარ კატასავით გაიზმორა, ზურგზე გადაწვა და...

— გავიყდი? — თამაზმა ძლივს მოასწრო აცურებული ფიცრის დაჭერა, — ჩვენც ასე გავჩნდით, — დაასკვნა და კალთიდან პურის ნაფშვევები გადაიფერთხა.

— არა, მე მაინც მიყიდეს! — არეული თვალებით შეხედა ნიკამ, მაგრამ იქვე იგრძნო, რომ ამ სიტყვების თვითონვე არ სჯეროდა.

— გიყიდეს კი არა, კომბოსტოს ფოთოლში გახვეული გიპოვეს! — დასცინა ყოვლისმცოდნე მეგობარმა და ხელმეორედ მოჩხრიკა ნაკვერჩხალი.

ნიკას ალარაფერი უთქვამს, თონიდან ჩამოხტა, გამურულ ზედადგარს ფეხი წაჰკრა, ნაცარტუტაში ჩააყირავა და კარს მიღმა ჩამდგარ სიბნელეს შეერიო...


წვიმა სახეში დაუნდობლად უეპუნებდა, აყრიდა და აყრიდა ცივ, მსხვილ-მსხვილ წვეთებს, ბიჭი კი მაინც აუჩქარებლად მიტოპავდა ტალახს. ლანჩამქერალ ფეხსაცმელში თავისუფლად შედიოდა ტლაპო და ფეხის თითებს ეგლისებოდა.

შინ ნაცემი ძალივით შეიძურწა. რას დამსვავსებხარო, — შეიცხადეს მშობლებმა, გახადეს, დაბანეს და ჩააწვინეს.

— ხო მართლა მიყიდეთ? — იკითხა ძილ-ბურანში წასულმა, მაგრამ ძმა არ გასცეს, თუ პასუხი ლამარას გამალიზიანებელ სიცილაქცეულ ქარის ზუზუნში დაიკარგა — ვეღარ გაიგო.

ეძინა თამაზსაც და შეიძლება ორივე ერთნაირ სიზმარს ხედავდა.

რა თქმა უნდა, მამლის იმედად დარჩენილ სოფელსაც ეძინა.



უფეხო გიგო სოფლის თავში ცხოვრობს, მსუქანი, დაბაბდალბული, მოუხეშავი წარბებით და ფოსოებში მყარად ჩამჯდარი, ჭროლა თვალებით. მუხლზემით გადაჭრილი, მსხვილი ბარძაყები მუთაქებით უწყვიდა და ყვირის, იგონება, იცოფება გაუთავებლად. როცა ზის, კიდევ არა უშავს, მყარად შეკრული, ღონიერი მხარბეჭი, დაკუნთული მკლავები ერთგვარი რიდით განაწყობს მნახველს, მაგრამ საცოდაობაა, თანამებით ამოკრულ, საგანგებოდ გამოჭრილ სქელ რეზინებზე რომ შედგება და „გაივლის“, გგონია, ვენებრთელა ჯირკი დაბობლავს, ანდა მუხლამდე გათხრილ ორმოში დგას და იქიდან გელაპარაკება.

ლოლილა, ორადგილიანი ინვალიდების მწვანე მანქანა ჰყავს, ისიც პატრონივით ბეჩავი, უშნოდ გაფაფხული, მაგრამ ამტანი, გიგოს ჯავრისა და სინარულის ერთგული მოზიარე.

ხეიბარი კაცის კვალობაზე, როგორც შეუძლია, უვლის, თავს დაჰკანკალებს, რადგან ეს მანქანა ერთადერთი საშუალებაა, ყელში ამოსულ კედლებს, ეზოს, გადაწოლილ ძემის ღობეს რომ გამოსტაცებს ხოლმე და ხრიგინ-ხრიგინით მიჰყავს, მგელივით დამშეულ, გაბოროტებულ სულს დაუცხრობს, დროებით მაინც დაავიწყებს თავის უსუსურ მდგომარეობას, გაახეხ-გამოახედებს და საღამო ხანზე ისევ სოფლისაკენ იზამს პირს, ოღრო-ოღრო აღმართებზე დაკუთხებულ კაცს პატიოსნად ზიდავს.

შემოგორდება ეზოში, თუთის ქვეშ შემდგარი ერთხელაც ამოიქმინებს, ციებიანივით გააკანკალებს, გაპყრის დამწვარი ბენზინის კვამლს და ჩაქრება, გაინაბება ბებერი ზვლიკივით.

გიგო გადმოსვლას არ ჩქარობს, ვაზეთის ნახევს უსწორმასწორო კიდევებს შეუსწორებს, ქალაღზე თუთუნს დაყრის, გაანაწილებს, ენის წვერს გაუსვამს, აუჩქარებლად გადაახვევს და თუთუნის რომ არ გამოიპნეს, ბოლოს მოუგრებს.

ღონიერი ნაფაზით შუამდე დაჰყავს პაპიროსი, მიყოლებით იწვიან, ქრებიან ასოები, ჩამოსავარდნად კანკალებს დაფერფლილი ქალაღი და თუთუნის. თვალმოჭუტული გიგო თანდათან ტუჩებისკენ უნაცვლებს თითებს და ბოლოს, როცა იმათაც მიატანს ცეცხლი — ერთხელაც მოქაჩავს,

ფანჯრიდან გადაადგებს და ისეთი ზიზლით მიაყოლებს — „მოგიკვდა მამგონო“, თითქოს თავის სიცოცხლეში ხელს აღარ დააკარებს, მაგრამ, როგორც კი მანქანიდან გადმოვა და თავის შეჩვეულ ადგილას მოკალათდება, ისევ დიდი მონდომებით უსწორებს ვაზეთის ნახევს გვერდებს და სათუთუნე ქისაში ისევ შეთქმულივით ძვრება ნიკოტინით გაცივთლებული სამი თითი...

ანდა, სხვა რა უნდა აკეთოს სოფლის საქმისათვის გამოუსადეგარმა, ნაადრევად ჩამოწერილმა კაცმა. დაგუბებულ ენერგიას გასაქანი არა აქვს, თორემ თუკი მოიხელთებს, გაგიყებულ ხარს დააჩოქებს. ოხრად რჩება ამხელა ღონე და წითური ბალნით გაბზინებული მკლავები. მთელი ღღებები ზის და თლის ნაირნაირი ფარმისა და ზომის კოვზებს, ჩამჩებს, როდინს... დროდადრო თავის ნაოსტატარს ჩაყრის ტომარაში და ბაზარზე მიაქვს. ესეც გარკვეული შეღავათია დედაკაცის იმედად დარჩენილი ოჯახისათვის.

ცოლი კარგახანია შეეჩვია გიგოს გაუთავებელ ჯაჯლანსა და საყვედურებს. ადრე თუ უსიტყვოდ იტანდა, ებრალებოდა, უთმობდა, ახლა ეს სიბრალოელიც გაუქრა, გაკაპასებული აღარ ეპუება, დამული ძალივით აყუდებულ ქმარს ხელებს ცხვირწინ უტრიალებს, თვითონაც ლანძლავს; კთმაგად უბრუნებს, ოღონდ დროს ურჩევს, რომ გიგოს ახლო-მახლო სკამი ან წყლის დოქი არ იდგეს. თუმცა ამას წინათ მაინც ვერ მოზომა, გაუფრთხილებლად მოიქცა და საჩამჩე შეშის ნაბობმა ლამის შუბლი გადაუხსნა.

ის ღამე გიგომ თავშეხვეული, საწოლზე აკენსებული ცოლის გვერდით მორთხმულმა გაატარა, სამფეხაზე წყლიანი ჯამი ედგა და შეშუპებულ, ჩაშავებულ სახეზე საფენებს უცვლიდა.

— რა გინდა, უნდა შემქამო? — ვაფითრებული ტუჩები ძლივს შეარხია ქალმა.

გიგომ არ იცოდა, რა უნდოდა, რას ერჩოდა, ამიტომ ვერც ვერაფერი უპასუხა, საფენი გამოწურა, მაგრამ თითები აღარ გაუშლია — თითქოს ვილაკას ანჩირობსო, გამეტებით უჭერდა ჩაკუნჭულ ნაჭერს.

— ჩემ გარდა ვინა გყავს პატრონი, რათა მკლავ, არ უნდა ვიცოდე? — მოესმა ისევ. გიგომ არც ამჯერად უპასუხა, საფენი დაფერთხა, სა-

ხეზე მოუსვა და ჯავრიანად ჯამში ჩაახეთქა...

განსაკუთრებით სიმთვრალის დროს უჭირს: ვაუნურდება საფეთქლები, ქვიშასავით აშრიალდება რალაც, შორიდან, ძლივგასაგონად, მერე იზრდება, ახლოვდება ეს ქშენათუ შრიალი, თანდათან კივილად, სტვენად, ბორბლების დაგაღუვად გადაიქცევა და, მოდის, რომ მოაწყდეს, ვაღაუაროს ქირის ოფლდასმულ გიგოს... მას შემდეგ ვინ მოთვლის, ასე რამდენჯერ განმეორდა, რამდენი სიკვდილი გადაიტანა... ანკი, როგორღაა ცოცხალი, როგორ თხოვენ კარგი გუნების, მხიარული, მშვიდი და გამგები იყოს.

ახლდანიშნულ გიგოს მატარებლის კიბეზე ფეხი აუცდა, ბორბლებში ჩავარდა და ნახევარი ლიანდაგს იქით დარჩა, ნახევარი — აქეთ. არაფერი ესმოდა, მხოლოდ ხედავდა, როგორ ჯიჯვნიდა, დაუნდობლად კეპავდა წასაქცივი კედელივით ატორტმანებული მატარებელი.

ნეტა თავით ჩავვარდნილიყავო, — ამის ვაფიქრება მოასწრო და გონებაც დაკარგა...

თავის მოკვლა უნდოდა, მაგრამ საწოლზე დააკრეს, მერე მწარე სიცოცხლე მაინც ეტკილა და მოდის ასე ღღემდე... ეგებ, როცა ყველას მოაძულა თავი, ახლა უნდა იკლავდეს თავს, ახლა ხომ აღარავინ იჭერს?... ეპ, როგორ არ იჭერს! — გიგომ იმ საწოლისკენ გაიხედა, საბნიდან ამოყოფილი ჩაწული თმის ბოლო რომ მოჩანდა... ეს არის გიგოს ერთადერთი და ალბათ უკანასკნელი სინარული, სიფრიფანა, გამჭვირვალე თალო... თალო... ვინც ასე თუ ისე აგუებს ცხოვრებას. ამხელა ქვეყანაზე მხოლოდ ეს თითისტოლა გოგოა თავისი ხეიბარი მამა რომ ძალიან უყვარს, სულაც არ უკვირს მისი უჩვეულო, შესაზარი მდგომარეობა. შეეჩვია, სხვაგვარი ვერც წარმოუდგენია, იჩხუბოს, იყაყანოს, ქვეყანა დააქციოს, თალოს მაინც არ შეუძლია უიმისოდ. ერთს გაუციანებს, მეჩხერ კბილებს გამოანათებს და გიგოს თვალბეში ნაღველის ნაცვლად მსუბუქი, სინაზით გაყლენთილი ნისლი გუბდება, დნება, აუწონავი სიკეთით ევსება მთელი სხეული, ავიწყდება თავის ხეიბრობა, აქლურტულებულ შვილთან ერთად ლამაზ-ლამაზ ოცნებებში დაფრინავს და სულაც აღარ სძულს საპატიმროსავით მობეზრებული სახლი.

სიმთვრალის ქამს რომ ქშენითა და კივილივით დაიჭრება მატარებელი, როცა ბორბლების ჭრიალი ყურში ბარბანტს უხეთქავს და მზად არის ყველაფერი დაბრღლენას, ოღონდ აუტანელ კოშმარს გაერიდოს, მაშინაც თალო მოდის, როგორც მიწაზე ჩამოსული მსხენელი ანგელოზი, შესცინებს, კისერზე მოეხვევა და... ჩერდება მატარებელი, თოვლივით დნება გიგოს შიში და მირისხანება, ჩალის ღერივით მსუბუქ შვილს მკერდში იხუტებს და უკვე მერამდენედ პირდება, რომ ასე აღარ მოიქცევა, აღარც დედას ეჩხუბება, აღარც მეზობელს, ოღონდ თალო ჰყავდეს კარგად... კარგად... ჯამრთელად... ლულულულებს ათას საალერსო სიტყვას და შვილის ჩუმად ცრემლს იხოცავს სახელოთი, ცხვირსახოცით, ქალაღით... ყველაფრით, რაც ხელში მოხვდება, ოღონდ თალომ არ დაინახოს და გული არ დაეჩაგროს...

● მოიზარდა თალო, ერთბაშად შეავსო მოკლესახელობიანი ჩითის კაბა. ვავლისას ყურებამდე პირგახეული ბიჭების მზერა მიჰყუება და იცის გიგომ, რომ ასლა სჭირდება ასი ყური და ასი თვალი.

„მა მაინც ჰყავდეს! — ბოლიმანად გადახედავს ცოლს და ნივრის თავს შემხმარ ტალახს აცლის.“


თალო შინ არის, ტახტზე მიწოლილი სამიჯნურო რომანს კითხულობს. სახე ხან მოეჭმუნება, ხანაც ნეტარების ღიმილი და სიწითლე გადაუვლის...

უცებ წიგნი პირქვე ჩამახო, გარეთ გავარდა, ნივრის ჭრაში გართულ მამას ქორივით დააცხრა. ზურგიდან მოეხვია, ნიკაბთან ამოუწყყო გრძელი, წვრილი მკლავები და გაუპარსავ ლოყაზე თავმიდებული გაველურსა.

— ოპ, შე ჭინკა, როდის იქნება, გაგათხოვო და თავიდან მოგიცილო! — ეუბნება მოფერებით გულაჩუყებული.

„მა მაინც ჰყავდეს, ახლა უნდა ამას პატრონი... ცოტაც და, ჩემი აბა ვილას მოერიდება... ოხერსა და მუდრეგს ხეიბრის ყვირილი მოიგერიებს?“ — წალღს ჯავრიანად იქნევს გიგო და ჯირკის აქეთიქით გადაჭრილი ნივრის თავი და ფოჩი ცვივა.

თალო ისევ შინ არის, ისევ ის წიგნი უდევს და თავის ოცნების რაინდთან ერთად მიქრის ფათერაკებით სავსე, სიყვარულის ეკლისან გზაზე. მართლაცადა, ამათი დამწევი ხეიბარი გიგო?



სახელმწიფო მეცნიერი და პოეტ-პეტი



ციციშვილთა გვარს არაერთი სასიქაღლო მგელი აღუზრდია სამშობლოსათვის.

მათ რიცხვს მიეკუთვნება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე გიორგი ვლადიმერის ძე ციციშვილი. იუბილარის დაბადების 70-ე და სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 45-ე წლისთავი ფართოდ აღნიშნეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ. იუბილარს მეტად გულთბილად მიესალმნენ ჩვენი ქვეყნისა და უცხოეთის წამყვანი მეცნიერები, სამეცნიერო ცენტრების საუწყებო ორგანიზაციათა და სამრეწველო ობიექტების წარმომადგენლები.

გიორგი ციციშვილი სამართლიანად არის აღიარებული, როგორც გამოჩენილი საბჭოთა სწავლული, მეცნიერი-მკვლევარი ფიზიკური ქიმიის დარგში, ქართული აღსორბციული სკოლის შემქმნელი, მეცნიერების ორგანიზატორი, ახალგაზრდობის არაერთი თაობის აღმზრდელი და მოამაგე, მეტად გულისხმიერი პედაგოგი და ლექტორი, ქიმიკოსთა სამეცნიერო ჟურნალის მოჭირნახულე და საზოგადო მოღვაწე.

გიორგი ციციშვილის სახელი უწინარესად დაკავშირებულია ჩვენი რესპუბლიკის ძვირფასი ნედლეულის — თიხებისა და ცეოლითების შორსგამიზნულ კვლევებთან და მათი, როგორც აღსორბენტების

შემავსებლებისა და კატალიზატორების, სახალხო მეურნეობის მნიშვნელოვან დარგებში გამოყენების ძნელ პრობლემათა გადაწყვეტასთან.

ხელაპირულ მოვლენათა კვლევები მისი ხელმძღვანელობით ჯერ კიდევ ორმოციან წლებში დაიწყო ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტსა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკური ქიმიის კათედრაზე. კვლევის ობიექტს ძირითადად წარმოადგენდა საქართველოს მონტორილონიტური თიხები და ბუნებრივი ცეოლითები, აგრეთვე ახალი, მეტად პერსპექტიული მიკროფოროვანი აღსორბენტები.

ეს თიხები, რომელთა წარმოების საქმეში ჩვენს რესპუბლიკას წამყვანი ადგილი განეკუთვნება, გამოირჩევიან მკვეთრად გამოსახული სორბციული თვისებებით და სხვა სპეციფიკური მახასიათებლებით. სწორედ ამ თვისებათა მრავალსახეობა განაპირობებს მათი გამოყენების უაღრესად ფართო პერსპექტივას სახალხო მეურნეობის მრავალმნიშვნელოვან სფეროში — სოფლის მეურნეობიდან დაწყებული, ნავთობის, კვების, ფარმაცევტული, ქიმიური, მეტალურგიული მრეწველობის დარგებით და ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა მშენებლობით დამთავრებული.

ეს კვლევები მომდევნო წლებში კიდევ უფრო ფართოდ გაღრმავდა და მეცნიერებისა და პრაქტიკისათვის უაღრესად მნიშვნელოვანი შედეგები მოგვცა. ამან აკადემიკოს გიორგი ციციშვილის სკოლის მეცნიერულ ნაღვას ფართო აღიარება მოუპოვა, როგორც ჩვენს ქვეყანაში, ასევე უცხოეთში.

გ. ციციშვილსა და მის თანამშრომლებს სინთეზური მოლეკულური საცრების ფიზიკურ-ქიმიური კვლევის შედეგებისათვის, გამოჩენილი ქართველი ქიმიკოსის პეტრე მელიქიშვილის სახელობის პრემია მიენიჭათ.

ფოროვანი ალუმოსილიკატების თვისებათა გამოკვლევაში შესაძლებელი გახდა მათი

გამოყენება სპეციალური ტექნიკისათვის, ჰაერის გასაწმენდად ნახშირწყალბადების მინარევებისაგან, რეზინის ვულკანიზაციის პროცესისათვის, რეზინოტექნიკურ ნაკეთობათა შემავსებლად და სხვ.

ორი ათეული წლის წინათ გ. ციციშვილის მიერ დაწყებული იყო ბუნებრივი დანალექი ცეოლითების შესწავლა, რის შედეგადაც ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი გახდა ამ ძვირფასი ნედლეულის სამრეწველო გამოყენების მთავარი თაოსანი ჩვენს ქვეყანაში.

ქართველი მეცნიერი არის ხელმძღვანელი კომპლექსური რესპუბლიკური პროგრამისა — „დამუშავდეს მრეწველობაში და სოფლის მეურნეობაში ბუნებრივი ცეოლითების რაციონალური გამოყენების მეცნიერულ-ტექნიკური საფუძვლები“. ყოველივე ამის შედეგად თბილისი იქცა ცეოლითების კვლევისა და გამოყენების სამეცნიერო ცენტრად, ხოლო ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აღსორბციის სამეცნიერო საბჭოს ცეოლითების სექციის საბაზო ორგანიზაციად.

გ. ციციშვილი არის 400-ზე მეტი სამეცნიერო შრომისა და გამოგონების ავტორი და თანავტორი, მათ შორის მონოგრაფიებისა „სორბციული პროცესები“ (1959 წ.) და „ბუნებრივი ცეოლითები“ (1985 წ.), რომელიც სამართლიანად არის აღიარებული მსოფლიოში ამ დარგის ლიტერატურის ერთადერთ ყველაზე ვრცელ და სისტემატიზებულ ნაშრომად.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია გ. ციციშვილის, როგორც მეცნიერების ორგანიზატორის, ნაყოფიერი მოღვაწეობა. იგი არის საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრი, ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიის ვანყოფინების აკადემიკოსი-მდივანი, პ. მელიქიშვილის სახელობის ფიზიკური და ორგანული ქიმიის

ინსტიტუტის უცვლელი დირექტორი 1947 წლიდან და ამავე ინსტიტუტის ფიზიკური ქიმიის ლაბორატორიის ხელმძღვანელი, ჟურნალ „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნეს (ქიმიური სერია)“ რედაქტორი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აღსორბციის სამეცნიერო საბჭოს ეოლითების სექციის თავმჯდომარე, საბჭოთა ქიმიკოსების ნაციონალური კომიტეტისა და ცეოლითების საერთაშორისო ასოციაციის წევრი; აქტიურად მონაწილეობს საკავშირო და საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმების საორგანიზაციო კომიტეტების მუშაობაში...

გ. ციციშვილი, როგორც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ოთხი ათეული წელია, რაც კითხულობს „მოლეკულათა აღნაგობის“, „სორბციული პროცესების“, „კვანტური ქიმიისა“ და სხვ. კურსს.

სამავალითაა გ. ციციშვილის, როგორც ჭეშმარიტი მეცნიერისა და მოქალაქის დიდი მხნეობა და ახალგაზრდული ენერჯია, რასაც იგი ავლენს ამ ნახევარი საუკუნის მანძილზე უაღრესად შრომატევად და ძნელად გადასათვლელ მოვალეობათა შესრულების საქმეში. მისი მრავალმხრივი ნიჭიერება კეთილად არის შეარწყმული საქვეყნო საქმეებზე ზრუნვასთან, მაღალ ინტელექტთან, მინდობილი საქმისადმი პასუხისმგებლობის გრძნობასთან და პრინციპულობასთან, რასაც მხარს უმაგრებს დიდი მომთხოვნელობა თავისთავისადმი და თავმდაბლობა.

გულით ვუსურვებთ ბატონ გიორგის, ახალ შემოქმედებით გამარჯვებებს ჩვენი დიდი სამშობლოს საამაყოლად.

რაფიელ აგლაჟი,
საქართველოს სსრ მმწნირებათა აკადემიის აკადემიკოსი,
აკოლენი ავალიანი,
არაორგანული ქიმიის და ელემენტარული ინსტიტუტის ლაბორატორიის ხელმძღვანელი.



1956 წელი
საქართველოს
ფოტოგრაფია

კახეთის ზვრების ბარაქა.


ფოტო თარხან არჩვაძისა



თბილისობა — 1985

იეთიმ გურჯის ძეგლი თბილისში

მოქანდაკე — საქართველოს
სსრ სახალხო მხატვარი გუან-
შერ მიქაბაძე, არქიტექტო-
რი — შოთა რუსთაველის სა-
ხელობის სახელმწიფო არე-
შიზა და სსრ კავშირის მინის-
ტრია საბჭოს პროექტის ლაორე-
ატი შოთა უჯალაშვილი.





აგრომეცნიერული
გეგლიერითეკე



ქირნახული.

ფოტო თარზან არჩვადისა.



სარკი ღურთიკია,
პაპალიაოცი.

ეჭვოდ უნდა მივიჩნიოთ, ფაქტები უფრო იმას მოწმობენ, რომ თვით ვანო მაჩაბლისათვის მოულოდნელი იყო საბედისწერო დღე“.

ივანე მაჩაბლის ბედი მრავალ ქართველ მოღვაწეს აინტერესებდა და აინტერესებს. ჩემთან ახლოს მყოფთა შორის ამ საკითხზე განსაკუთრებით ხშირად საუბრობდა ხოლმე პოეტი-აკადემიკოსი იოსებ გრიშაშვილი. მასაც სწამდა, რომ ვანო მაჩაბლის დაკარგვა უნებლიე უბედური შემთხვევა იყო.

ერთხელ, როდესაც უნივერსიტეტიდან ერთად მოვდიოდით, ივანე მაჩაბლისეული სახლის წინ გამაჩერა ლენინის ქუჩაზე და მომმართა:

— „სერგი, ივანეს დროს ამ სახლის მოპირდაპირე მხარეს, ქუჩის იქით, მტკვარზე ჩასასვლელი ბილიკი იყო. იმ წყევულ ღამეს ივანე თურმე აივანზე რამდენჯერმე გამოსულა და აი, აქედან არის იგი ჩასული მტკვარზე. ვინ იცის, რა ფიქრები აეშალა მტკვრის პირას, როგორ დაიკვნესა დაყოლილმა გულმა! იმ დღეებში მტკვარიც ხომ უღმერთოდ იყო აღიდებული, რამდენი ადამიანი დაიკარგა უკვალოდ?!“

სოსოს ეს მოსაზრება 1975 წელს ჟურნალ „მნათობში“ გამოვაქვეყნე. გავიდა რამდენიმე წელი და ელენე მაჩაბლისგან 1978 წლის 10 მაისს წერილი* მივიღე:

„დიდად პატივცემულო ბატონო სერგი!

დიდი ხანია მსურდა თქვენთან შეხვედრა, უღრმესი მადლობა რომ მეთქვა თქვენი პატარა წერილის გამო მაჩაბლებზე ივანე მაჩაბელზე. ათასი ჭორი და ყალბი მითქმა-მოთქმა იყო, მაგრამ თქვენს წერილში მოცემული ვერსია უფრო მეტად ჰგავს სიმართლეს. ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მან. ამისათვის გითვლით უდიდეს მადლობას.

დიდი პატივისცემით ელენე მაჩაბელი“.

ქალბატონმა ელენემ კიდევ ერთხელ დაადასტურა „ლიტერატურულ საქართველოში“ 1973 წელს გამოქვეყნებული მოსაზრება, რომ თვით ვანო მაჩაბლისათვის მოულოდნელი იყო საბედისწერო დღე.

იოსებ გრიშაშვილი განსაკუ-

* წერილის დადანი ჩამოთავს ინახება.

თრებულ ყურადღებას აქცევდა იმ გარემოებას, რომ მტკვრის სანაპიროები მრავალ ადგილას იყო იმ დროს ჩანგრეული აღიდებული მდინარის მოქმედებით და, რომ იმ წელს ივნისში უგზოუკვლოდ ოცზე მეტი თბილისელი მოქალაქე დაკარგულა.

როდესაც ფიზიკურად დასუსტებული, საბანკო ასპარეზზე ბრძოლით დაღსებული ივანე მაჩაბელი მტკვრის პირას იდგა, იქნებ უეცრად ფეხქვეშ მიწა გამოეცალა და... ჩარხი ბედისა უკულმა დატრიალდა.

ელენე მაჩაბლის შვილიშვილმა, მარინე ჩერქეზიშვილმა ჩვენს შეკითხვაზე, თუ რა აზრი იყო მათ ოჯახში გაბატონებული ბატონი ივანეს დაკარგვის გამო, გვიპასუხა: „ჩვენს ოჯახში ყველაზე უფრო მისაღებ ვარაუდად მიიჩნდათ, რომ მოხდა რაღაც უბედური შემთხვევა, რასაც მოჰყვა მისი უკვალოდ დაკარგვა. არასოდეს ოჯახში არაფერი ამერძო პირი არ მიუჩნევიათ აქ უბედურების მიზეზად“.

მამის კვალზე ვაზარდა შვილები ივანე მაჩაბლის ქვრივმა ტასო ბაგრატიონმა. ელენე მაჩაბელი ყოველთვის მჭიდროდ იყო დაკავშირებული ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებასთან. ქართულ ლიტერატურულ სინამდვილესთან. ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში არცთუ ისე იშვიათად გამოჩნდებოდა ხოლმე მისი მშვენიერი წერილები და მოგონებები. დილია რესპუბლიკის დამსახურებული ბიბლიოთეკარის ქალბატონ ელენეს ღვაწლი აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის ბიბლიოთეკის შექმნასა და მისი წიგნადი ფონდის გამდიდრებაში. მრავალი ათეული წელი თვით განაგებდა ამ ბიბლიოთეკას.

მეც მქონდა ბედნიერება რამდენჯერმე შეხვედროდი ქალბატონ ელენეს და უშუალოდ მეგრძნო მისი ფაქიზი ბუნებისა და მაღალი სულის გამოვლენა, სამშობლოს უსაზღვრო სიყვარული.

ელენე მაჩაბელი ყოველთვის მწარე გულსტიკივლით ივანებდა თავისი ოჯახის ტრაველიას. ივანე მაჩაბლის ღირსეული ქალიშვილის მოსაზრებები მამის დაკარგვის გამო უჩველად ყურადღასღებია.

ივანე მაჩაბლის ცხოვრებასა და მოღვაწეობას მწერალმა და მეცნიერმა ვახტანგ ჭელბემ შესანიშნავი მონოგრაფია მიუძღვნა*. გამოჩენილი ქართველი მოღვაწის ამაღლელებელი ცხოვრების ამბავი ბრწყინვალედ გადაგვიშალა თვალწინ. დიდი ადამიანური ტაქტიკა და გულისტკივილით არის აღწერილი ივანე მაჩაბლის უკანასკნელი დღეც...

გავიხსენოთ იგი ვახტანგ ჭელიძისეულ ტექსტში მოთხრობილი ფაქტობრივი მასალის მიხედვით.

1898 წლის 25 ივნისს ივანე მაჩაბელი ბანკიდან შინ რომ დაბრუნდა, ქუთაისიდან ახალჩამოსული აკაკი დახვდა. მძიმე ავადმყოფობაგამოვილილმა ორმა მეგობარმა ეს დღე ერთად გაატარა. ჯერ ბაღში იყვნენ, შემდეგ სახლში შევიდნენ, ნარდი ითამაშეს, ისაუბრეს, დაპურდნენ. ღამის სიწყნარე იყო გამეფებული, როდესაც ივანე აივანიდან პოლიციელს გამოელაპარაკა.

ისინი გვიან ღამით დაშორდნენ ერთმანეთს. ივანე თავის ოთახში გავიდა. ნარდის თამაში ივანეს მეუღლემ ტასო ბაგრატიონმა და აკაკიმ გააგრძელეს. მალე ესეც შეწყდა და აკაკიმ თავის ოთახს მიაშურა. ერთხანს ტასოს ოთახიდან საკერავი მანქანის ხმა ისმოდა. ბოლოს ისიც მიწყნარდა. ნაშუალამევი იქნებოდა, როდესაც ვანოს ოთახში შუქი ჩაქრა. ყველაფერი წყვილიაღმა შთანთქა... იმ ღამის შემდეგ ივანე მაჩაბელი არავის უხანავს. თბილისში ათასი ლეგენდა და მითქმა-მოთქმა შეიქმნა. კვირაობით ეძებდნენ ივანეს გვამს მტკვარში დამხრჩველთა შორისაც...

ვის არ აწუხებდა საქართვე-

* ვახტანგ ჭელიძე — ივანე მაჩაბელი, „ნაპაფული“, თბილისი, 1968 წ.

ლოში ივანე მაჩაბლის ტრაგიკული ბედი, მაგრამ მისი ოჯახის განცდები მეუღლისა და მამის უგზოუკვლოდ დაკარგვის გამო ხომ განსაკუთრებით მიმიე იყო!

ფრიად საგულისხმოა ამ საბედისწერო შემთხვევისადმი ივანე მაჩაბლის ქალიშვილის — ელენე მაჩაბლის დამოკიდებულება.

1973 წლის 22 ივნისს „ლიტერატურულ საქართველოში“ დაიბეჭდა იოველ ასათიანის წერილი. ავტორი იხილავდა ივანე მაჩაბლის დუხობობებთან ერთად ინგლისში გამგზავრების ვერსიას. იმავე გაზეთში, ერთი თვის შემდეგ ელენე მაჩაბელმა გამოაქვეყნა „წერილი რედაქციას“, რომელშიაც ვკითხულობთ: „მართალია, მაჩაბლის დაკარგვის დროს მე ძალიან პატარა ვიყავი და უშუალო მოგონებები არა მაქვს, მაგრამ შემდეგში დიდხანს არ შეწყვეტილა შეფგო-

თებულ საზოგადოებაში იმ ფაქტების გახსენება, რომელიც დაკარგვის დღეებში მომხდარა, მათი მრავალგზისი დაპირისპირება, ისევ და ისევ „მიხვედრები“, ეჭვები და სხვა. ამის გამოა, რომ ზოგი რამ, რაც მსმენია, უთუოდ გასათვალისწინებლად მიმაჩნია“. „...მაჩაბელი ძალიან გულისხმიერი და ყურადღებიანი ყოფილა მეუღლისადმი, ძალიან მოსიყვარულე მამა იყო და ძნელი წარმოსადგენია, რომ ასე დაუნდობლად მოპყრობოდა ოჯახს — ცოლს და ორ პატარა ბავშვს: მას ხომ ესმოდა, რომ უგზოუკვლოდ დაკარგვა უფრო ძნელი ასატანია ჭირისუფლისათვის, უფრო მოუშუშებელი ჭრილობაა, ვიდრე სიკვდილი თვალწინ“. ქალბატონ ელენეს მოჰყავს მოსაზრებები, რომელთა საფუძველზე ასკვნის, რომ „დუხობობების ვერსია სა-



ჩვენი მეგობარი თენგიზ გიორგაძე

საჭადრაკო ჟურნალისტა საერთაშორისო ასოციაციის (აიპე) წევრს, რესპუბლიკის დამსახურებულ ჟურნალისტს, ქართული ჭადრაკის ქომავს თენგიზ გიორგაძეს დაბადების 60 წელი შეუსრულდა.

— პატივცემილი თენგიზ, თქვენი 26 წინა ბაზმისთვის. რომელი მათგანი თქვენთვის ყველაზე ძვირფასი?

— ყოველი მათგანი ჩემთვის თანაბრად ძვირფასია. ვანა შეიძლება საქართველოში ჭადრაკის ისტორიისა და მისი აწმყო-მომავლის ერთმანეთისაგან გამორჩევა?

— ჩვენს ტელევიზიაში რამდენჯერმე გადაცემა საპარტიალო შუბნალი „სამორაფი“, რომლის ერთ-ერთი დამაარსებელი და ხელმძღვანელი თქვენ ბრძანდებით. მიზანმიმართულად თუ არა ეს თქვენს ძირითად საპროგრამაა?

— ოცდაათ წელზე მეტია, რაც ტელევიზიით გამოვლა აუცილებელ მოთხოვნებად მექცა. დღემდე 100-მდე გადაცემა მექცეს მომზადებული, რომლებშიც სხვადასხვა დროს მონაწილეობდნენ დიდი მოჭადრაკეები ა. კარპოვი, მ. ბოტვინიკი, მ. ეივე, ს. ფლორი, გ. კასპაროვი, ს. გლიგორიჩი, რომ აღარაფერი ვთქვათ ქართველ მოჭადრაკე ქალთა თანავარსკვავლებზე.

ამასთან, მე ათეული წლების მანძილზე გაზეთ „ლელოში“ ვმუშაობ საჭადრაკო განყოფილების გამგედ. შარშან ახლა ჩემი ოცნება—დაარსდა ქართული საჭადრაკო გაზეთი „მერანი“. ქართველ მოჭადრაკეებსა და თაყვანისმცემლებს უკვე აქვთ საკუთარი ორგანო, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ.

— რას გეგმათ თქვენს უშუალო საპარტიალო მოღვაწეობაში?

— თავის დროზე თბილისის ჩემპიონიკი ვიყავი. ჟურნალისტიკამ და ლიტერატურულმა მოღვაწეობამ, როგორც ჩანს, თავისი გააკეთა, მაგრამ აქტიურ საჭადრაკო საქმიანობას მაინც ვერ ჩამომაშორა. ვარ საქართველოს სსრ საჭადრაკო ფედერაციის პრეზიდიუმის წევრი, ამასთან საერთაშორისო არბიტრიც. ასე რომ, ხშირად მიხდება საკავშირო და საერთაშორისო ტურნირების მთავარი მსაჯობა.

— როგორია თქვენი სამომავლო გეგმა?

— ვმუშაობ სქელტანიან წიგნზე „ქართული ჭადრაკის მატინე“. იგი ენციკლოპედიური ხასიათისაა და გამოიცემა 1987 წელს. ესაა ჩემი უპირველესი საზრუნავი.

— შუბნალ „დროშის“ კომპატივის დაწვლივით სულითა და გულით გილოცავთ სახლოვან იუბილეს, გისურვებთ დიდ წარმატებას თქვენს საპროგრამო საქმიანობაში. იმედოვნებ, ჩვენს შუბნალსაც არ მოალოდებოთ თქვენი შუბნალა.

— დიდი მადლობა მოლოცვისათვის. შევეცდები, თქვენს მკითხველსაც მივაწოდო საინტერესო მასალა ჭადრაკზე.

იუბილარს მსაზღვრავს საპროგრამო სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი
თარხან არჩვაძე.

რე აქ გლახკაცს უჭირდა. აკლდა პურიც, სიმინდიც, ხილიც. ჭაობი სულს უხუთავდა ადამიანს. სიმინდის ყანებში მალარია მძვინვარებდა. ასე იყო წინათ. გავიხსენოთ, თუნდაც, თუ აღრინდელი მძიმე ყოფა რა რეალისტურად ასახა ჩვენი დროის შესანიშნავმა ბელეტრისტმა დემნა შენგელაიამ თავის „სანავარდოში“. სადღაა ახლა წინანდელი სანავარდო და ორპირი. თითქოს ტოპონიმებიც კი წაშლილა ხალხის ხსოვნაში. ადამიანის გარჯამ შეცვალა გარემო, დაახვავა ბარაქა. ორიოდ მაგალითს დავასახელებ მხოლოდ.

ავიღოთ თუნდაც ღანიის სასოფლო საბჭო, ორი ჩვეულებრივი იმერული სოფელი — ღანიი და ჭავანი. ახლა აქ 774 კომლი სახლობს 121 გვარისა (2 100 სული). კაცის გულს ანარებს აყვავებული სოფლების ნახვა. მოსახლეობა წელგამართულია. აქ დაიბადა თაოსნობა: „არც ერთი ოჯახი უბოტნოდ და უფუროდო“. წამოწყებას სათავეში ჩაუდგა გამოცდილი გლახკაცი დავით ქაჯაია. ვაიყოლია თანასოფლელები. დღეს სოფელეთა 98 პროცენტს საკუთარი ფური ჰყავს, ბოსტანმაც იხარა, მოსავლიანობა სარეკორდოდ გაიზარდა. დაინერგა ძვირფასი კულტურების ორმოსავლიანობა. შრომა-გარჯაში თავი გამოიჩინეს ნესტორ შენგელაიამ, ამირან თევზაძემ, ლევან არველაძემ, ჟუჟუნა არველაძემ. მნახველის გულს ანარებს მათი მშვენიერად მოვლილი ნათესები გვაზაურში, კოხებში, ღვანიურებში, ქაჭურეთში, ხურგანეთში, ცხენისწყლის, ჭურთავისა და ჭერეხას სანაპიროებზე. სოფლის გამოცდილება სპეციალურად განიხილა რესპუბლიკის სასურსათო კომისიამ. ხელმძღვანელთა წინაშე თამამად წარსდგა დავით ქაჯაია. მისი სიტყვა და საქმე ერთსულოვნად მოიწონეს.

რაიონის სიამაყეა ვაზისუბნის საბჭოთა მეურნეობა, რომელსაც კარგად უძღვება ზურაბ კობალეიშვილი. საქმეში თავი გამოიჩინა მეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანმა ბორის ახალაძემ. მუყაითი შრომით სახელი გაითქვეს მევენახეებმა ჯუმბერ ძიგუამ და ვალა რუხაძემ, მეჩაიეებმა რომან ძიძიგურმა და გულნარა ლორიამ. მეურნეობას სატეკვიციანო ცოტა როდი აქვს. მაგრამ ყველაფერი კეთდება სიძნელეთა დასაძლევად. მეურნეობის პლანტაციები განლაგებულია იმ ადგილებში, რომელთაც ძველად ეძახდნენ: ნამოყვარს, ნაციხვარს (ტელეფის), ნაქერალას, ჭიფანარას, თხმელნარას, სავანოს, საქორას, რცხილკანჭარას, დიდქვას, ხოროჯინას, ორელას, ანთაბარს, ნარიონალს, ბევას, ნოლას, ქვასიპას, ქვაყუდეს, სატახიას...

ეს ის, რიონის მარცხენა სანაპიროს ადგილებია, რომლებიც ადრე საჯაოხოს ხეობად იწოდებოდა და მუდამ იმერეთის სამეფოსა და გურიის სამთავროს სასაზღვრო დავის სავანს წარმოადგენდა. ამ ადგილებისათვის ბევრჯერ გაჩაღებულია მშათა შორის სისხლისმღვრელი ბრძოლა. დღეს კი ეს სავარგულები და დასახლებული პუნქტები ტოლების სასოფლო საბჭოშია გაერთიანებული.

ტოლები (ვახუშტის ნომენკლატურით ტოლა) ერთი ყველაზე კეთილმოწყობილი და მჭიდროდ დასახლებული სასოფლო საბჭოა. მის შემადგენლობაში შედის საქვეყნოდ განთქმული სოფელი ნოლა, სადაც დაიბადა აკადემიკოსი აკაკი შანიძე.

საუკუნესმიღწეული მსოფიანი მეცნიერი ახლაც ჩვეული ენერგიით განაგრძობს სახუკვარ საქმეს და ყურადღებას არ აკლებს მშობლიურ სოფელს, რომელსაც მისი სახელობის სკოლა ამშვენებს. ტოლებში ამ დღეებში გაიხსნა კულტურის სახლი. აქ ბუდე დაიღო სოფლის მკვიდრის, კომპოზიტორ გომარ სინარულიძის რეღუნების შეღვად გახსნილმა სამუსიკო სკოლამ. ბეგაში კი გასულ წელს პოეტ ალექსანდრე შანიძის თაოსნობით გაიხსნა კულტურისა და რევოლუციის მოღვაწეთა მუზეუმი.


ორიოდ სიტყვა უნდა ვთქვა ქალაქ სამტრედიის შუაგულში აღმართულ ჯანბრთელოზის კერაზე. მხედველობაში მაქვს კურორტი „სამტრედია“. მისი ასავალ-დასავალი ჯერხნობით ცოტა ვინმეს თუ გაუგონია, მაგრამ ის ღირსია იმისა, რომ ქვეყანა იცნობდეს. კურორტს სულ ათიოდ წლის ისტორია აქვს. ამ ადგილას ადრე საშინელი ჭაობი იდგა და ავი კოლოხორთუმს იღესავდა. გეოლოგებმა ნავთობის გუმბანი აიღეს და თავიანთი გრძნეული ბურღი გაუვად ჭაობში ჩაუშვეს. მოულოდნელად, 1450 მეტრის სიღრმიდან, თერმულმა გოგირდოვანმა ცხელმა წყალმა ამოხეთქა. საკვირველმა წყალმა ყველა გააოცა. საქმის შესანიშნავი ენთუზიასტის, ექიმ ზინაიდა ნაცვლიშვილის თაოსნობით აქ გაიძარდა ბალნეოლოგიური კურორტი. უნიკალურ წყალს დიდმნიშვნელოვანი სამკურნალო თვისებები აღმოაჩნდა. სპეციალისტების წინასწარი დასკვნით, იგი შველის ძვლებს, კუნთებს, პერიფერიული ნერვული სისტემის, კანის, საჭმლის მომნელებელი ორგანოების, ჰიპერტონიული დარღვევების მრავალგვარ, სხვადასხვა წარმოშობის ქრონიკულ დაავადებებს. მინერალური წყლის სხვა სამკურნალო ხარისხის შესწავლა გრძელდება. ამჟამად აქ სამკურნალოდ მოდიან როგორც მახლობელი, ისე შორეული რაიონებიდან და შინკმაყოფილი ბრუნდებიან. კურორტი აღჭურვილია თანამედროვე სამედიცინო აპარატებითა და მედიკამენტებით. ექიმთა პერსონალსა და სამკურნალო საქმეს სათავეში უდგას ექიმი გენო გეგუშიძე.

საუცხოო სანაზავია კურორტის ეზოკარი. ყველაფერს ატყვია მთავარი ექიმის მზრუნველი ხელი. მუშაობის უფრო ფართოდ გაშლას აფერხებს სტაციონარის უქონლობა. უკვე დაუწყიათ სტაციონარის მთავარი კორპუსის მშენებლობა, სახსრებიც გამოუყვიათ, მაგრამ მშენებლები რატომღაც არ ჩქარობენ.

● ჩემი მოგზაურობის დრო ამოიწურა. მოკლე ხანში გრძელი გზა გავიარე, აღეწერე ათასობით ტოპონიმი და ანთროპონიმი. ვტოვებ სამტრედიას, დასავლეთ საქართველოს ამ გადახსნილ გულს, დიდებულ საგზაო-სამიმოსვლო კვანძს. მლორედ მოვლავს ჭადრა ფაზის-მდინარე და გულში ალერსით იკრავს ოდესღანდელი არგონავტების მიერ შექმნილი ლეგენდარული აიეტის ნიარევის. ვისაც ძველი ორპირი და სანავარდოს სანახები უხილავს, გაუჭირდება იმის წარმოდგენა, რომ სწორედ იმ ადგილებში ახლა ასე იზრდება და იფურჩქნება ქართველი კაცის გამრჯე ხელით ნასათუთევი, ას ათი წლის სამტრედია.

ბარაქალა ქართველი კაცის მარჯვენას.

სილოვან



დაბადებიდან 60 წელი შემსრულდა ცნობილ ქართველ კომპოზიტორ სილოვან ნარიშკინს. ამ თარიღთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობის დასავლეთი კავშირის განყოფილება იუბილარს გაუზიარა მისი დაბადების 60-ე წლისთავი:

„თქვენ ქართველ პოეტთა იმ თაობას ეკუთვნით, რომელიც სამწიგნობრო ასპარეზზე 60-იანი წლებს დასაწყისში გამოვიდა. 1955 წელს დიდი ქართველი პოეტის გიორგი ლეონიძის რეაბიტორებით გამოცემულ ალმანახში „ახალგაზრდობა“ გამოქვეყნდა თქვენი პირველი ლექსი „ჩვენება მთავრი“. მას შემდეგ ნაყოფიერ შემოქმედებით და საზოგადოებრივ საქმიანობას ეწეებით, თქვენი ფილიური შემოქმედებით დაწერილი ქართული საბჭოთა პოეზიის განვითარებაში“.

ზამთარი, ზღვისპირი, კარლო კალაძის ბუხარი

თეთრი ზამთარი აქაც ჩამოდგა, ისე ვარ, თითქოს მაკლია ვინმე, ზღვა კი ფხიზლობს და ხარივით შეფოთავს და ხმაურობით ტალღებს მოიქნევს...

დასაღამოვდა, ყველა დარაბა ჩაიკეტეს და თვლემას მიეცნენ, სახურავებზე ხარბად დაბარდნა, თოვლი დაიჩინა ღამეს იერზე...

თითქოს მესმოდა ხმა იღუმალი, საღლაც ყორანი ლეშით ძღებოდა, ენას მიყოფდა შავი ბუხარი და მოწყენილად იღველებოდა,

სარკმელთან მდგარი ვუშვებდი ღამეს, ფიქვებს მოსდევდა თითქოს მდევარი, და სანაპირო ითვლიდა წამებს, მირიად წლებს ღამის მთევარი...

მეცამეტე პალატა, აპრილის ცამეტი...

სიკვდილი კართან ღამეს მითევდა და მხრებზე მაწვა იმისი დალი, დაღლილ ნათურის ფერებში თვლემდა უფრო დაღლილი პატარა ბალი...

ათას ხილვებში თვალმოხამხამე, შენზე ოცნებით ძალას ვიკრებდი, შემოდინოდა ფიქრებში ღამეც და ბნელში გზაკვალს ველარ ვიგნებდი.

განათდა სული, შენი შემოსვლით, დავიწყებულის გახსენებებით, იყო, ვით ხეთა-მწვანედ შეფოთვლა, უამით დაღლილ და ჩავლილ ვნებებით.

ჯერ თითქოს დიდხანს ძალას ვიკრებდი და გატანჯული ვგლოვობდი ლოდინს. ამ ღამიანში არასდიდებით, აქ, პალატაში არ მოგელოდი.

ის მეცამეტე პალატა მახსოვს, მაშინ აპრილის იყო ცამეტი. ცამეტი ვარდი საწოლთან ახლოს ენთო, ვით კარგი ლექსის ბჭვარები.

შენი სიწრფელით დამამახსოვრდი, შენი სიმაღლით და თავგანწირვით. ახლაც გეძახი, მოგიხმობ, მოდი, ნუთუ სრულიად გადაგავწყდი?..

მთავსვლელები

ეპა, გამოჩნდა თეთრი მწვერვალი! ნუთუ მოვედით, უკვე სრულდება ჩვენი სურვილი ნაოცნებარი, რომ მოველტვოდით დაუსრულებლად.

მაგრამ მწვერვალთან ნაპრალი ერთი, თოვლდაფენილი, ვით სცენის ფარდა... იქ ავმა სულმა მოუსაველეთი აჩვენა ყველას და გადაკარგა.

დაიხუმდა არე, ქარმა წაშალა ნაფხურები და გარინდება, მაინც რა მოხდა, რა დააშავა, სიცოცხლე ასე რომ იბინდება,

ცის საუფლოში მოსწყდა ვარსკვლავი, საღ ღამის ბინდი მთებთან დაობდა, ავსული ქარი დამურასავით, კლდიდან კლდეებზე დაბურთაობდა.

მუდამ ამაყი ყინვის ქარ-თოში, მარადიულ ძილს ისევ მინებდა, მხოლოდ ღრუბელი შავ-შავი ფოჩით გაფოფრილიყო გულქვა ტინებთან.

შენ იყავ მშვიდი და მოზივი...

ღამით ვიდაცა გაიჭრა ქარში, შენ სტიროდი და სხვები ლხინობდნენ, ან შენი მოსვლით რა მოხდა მაშინ, რა უხაროდათ, ან რად სტიროდი...

დიდხანს გატარეს ბრძოლის ქარ-თოშით, სიტკბოსთან ბევრი ცრემლიც გელოდა იმ მარადიულ ძველ სამეფოში, ისევ ბრუნდები ამ სამზეოდან...

იცხოვრე, წახველ, ჩაქრა შენი მზე, მტერზე ფიქრი რომ არ გაშინებდა. შენ იყავ მშვიდი და მოზივი, ხალხი კი ცრემლით მოგაცილებდა...

გალდა სახალათე ქსოვილზე

ჩემს სახალათეს იმედით ვარჩევ, რაც არის არის, მოსჭერ ნოქარო, ისიც გულდინჯად მაზომებს ნაჭერს, გარეთ კი, წვიმს და, ცა ბობოქარობს...

იქნებ ისა ხარ, ხალათო, მარად, შავი მიწის ქვეშ, მუღმივ სამოსად, მე რომ წამყვები სამარის კარად, შორი და ძნელი გზის დასალოცად...

იცხოვრებ ჩუმად ფიქრებში ლოცვად და მარადიულს შეხვედები წყვილიად, ჩემს სხეულს ბნელი დაფარავს, როცა შენც დაგაცხრება სამარის ჭია...

რადგანაც გერგო ეს მწარე ხვედრი, შენ მირჩევინხარ მილიონ ოქროს, იქაც, სამარის კარად ჩემს გვერდით, დარჩები მარად, რომ მიმეგობრო!

მალრანის ღამე

და იწყებოდა ღამე ოცნების, ფიქრთა აღრვის, ძილის, წვალების, ლაღართა კრთომის, ცვართა მომცვრევის, ღუმელში წვის და აღფრთოვანების...

ის, ვისაც ისე ძლიერ უყვარდი, ან, ვისაც ასე სძაგდი ძალიან, ყველა ისინი აქ ბინადრობენ, ბჭობენ, ომობენ, აქვე არიან.

ის, ვისაც შენი ბედი დასჭირდა და მოგაშურა ბედით ღვენილმა, ყველა წასულთა, უღვთოდ დასჯილთა ნატვრა გულიდან ამოფრენილა.

შემოგვანათეს გრძობისმიერად, შარავზისპირას მდუმარედ მდგარმა, პატარა გოგოს ლურჯმა თვალებმა... რა გითხრეს, მითხარ, იმ ნატყვიარმა წლებმა ბრძოლებით ნახანძრალემა.

იმ მთის პირებმა, იმ კლდის პირებმა, დავიწყება რომ არ შეგიძლია, იმ ნეკერჩხლების დიდმა ჩრდილებმა, იმ ღიდ ღღებზე სთქვან, რა იციან...

აღარც სიჩუმე, აღარც ხმაური, აბა, სად მიხვალ უმთვარო ღამეს. ო, ისე უბრად ნუთარ ჩაუვლი, მიდი, იკითხე, უთხარი რამე!



ალექსი ვარადაშვილი.

კოლა და კეკელა ვარდაშვილებს ოთხი ვაჟი და ერთი ქალიშვილი ჰყავთ. ყველა აქ, ყვარლის რაიონის სოფელ გავაზში, დაიბადა, დაოჯახდა და ყველა კოლმეურნეობაში მუშაობს. ალექსი, ზაური და ომარი ბრიგადირები არიან, ზინა და გიგლო კი რიგითი წევრები.

— ბიჭო, ყველანი შინა ვართ და ეს დეპეშა ნეტა ვისგან უნდა იყოს? უთხრა გაკვირვებულმა ალექსიმ ფოსტალიონს — მისამართი ხომ არ შეგეშალა?

— კოლას ბიჭო! შენ მოდი და მიღებაზე ხელი მომიწერე! — მიუგო ფოსტალიონმა და ალექსის გაზეთებთან ერთად ორად გაკეცილი, წითელზოლიანი სამთავრობო დეპეშა გადააწოდა.

ალექსი ვარდაშვილს სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის მინიჭებას გულთბილად ულოცავდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხანაგი ჯუმბერ პატიაშვილი.

ოქტომბრის დღესასწაულს დიდი სიხარული დაემატა. ალექსიმ შინ შესვლაც კი ვერ მოასწრო, რომ ახლა ტელეფონით პარტიის ყვარლის რაიკომის პირველმა მდივანმა იოსებ მოლაშვილმა მოიკითხა და შემდგომი გამარჯვებები უსურვა გამარჯვებულ ბრიგადირს.

ოცდაროი წელია, მეზვრეთა ბრიგადას ხელმძღვანელობს ალექსი. წარმატებაც ბევრი ახსოვს და ქებაც, მაგრამ წლებიდან დღემდე მიღწევამ მოლოდინს გადააჭარბა — 1120 ტონა ყურძენი 78 ჰექტარი ვენახიდან.

სიტყვაძუნწსა და ხელმადლიან ბრიგადირს მალალი ჯილდო მიენიჭა. იმედი გვაქვს, რომ სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ალექსი ვარდაშვილი თავისი ერთგული შრომით მომავალშიც ასახელებს მშობლიურ სოფელს, ყვარლის რაიონს, დედასაქართველოს.

თარხან რაჭველიშვილი
ფოტო ავტორისა.

სოფლის მეურნეობის მეცნიერების

სუბა პირულავა

ძვირფასო ამხანაგებო! სულითა და გულით მოგესალმებით საქართველოს მწერალთა კავშირის სახელითა და დავალებით. ბუნებრივია, რომ თქვენი სახით მივესალმები ჩვენი სოფლის ყველა მშრომელს, ჩვენი სოფლის ყველა მოამბაგესა და მოჭირნახულეს. ვინაიდან ქართული მწერლობაც სამართლიანად ითვლება სოფლის მეურნეობის მუშაკთა დიდი არმიის თავდადებულ მსახურად, ისიც სიამაყით და სიხარულით ზეიმობს თქვენთან ერთად.

საზეიმო, სასიხარულო და საამაყო კი ბევრი აქვთ, ძალიან ბევრი, ადამიანებს, რომლებიც სოფლად მოღვაწობენ, თავდადებით შრომობენ და თავიანთი კეთილი საქმეებით ამოღებენ რესპუბლიკის სახელსა და დიდებას.

მე აქ არ შეგახსენებთ ქართველი ხალხის გენიალური მესიტყვეების — ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა ფშაველას და სხვა ბრძენკაცთა აზრებს იმის თაობაზე, თუ რას წარმოადგენს სოფელი ერისთვის, მისი დღევანდელი და ხვალისდელი დღისთვის, ვიტყვი მხოლოდ: სოფლის მუშაკებიდან და ბილიკებიდან იწყება გზა მიმავალი — მეცნიერების, ხელოვნების, ლიტერატურის მწვერვალებსკენ; სოფელია უპირველესი ბურჯი ქვეყნისა და ერის მთავარი საუზნის — დედაენის უერთგულესი გუშაგი.

როგორც საყოველთაოდ არის ცნობილი, ბოლო წლებში მრავალი სიახლე და სიკეთე შევიდა ქართულ სოფელში. უსამართლობა იქნება, დავივიწყოთ, რომ ამ სიახლისა და სიკეთისათვის გაჩაღებულ იქნა დაცხრომელი ლაშქრობის მუწინავეთა რიგებში იყვნენ აბაშის რაიონის მშრომელები. გვახარებს, რომ ამ გმირული შრომითი შემართების თაოსანი — ამხანაგი გურამ მგელაძე და აბაშაში მომხდარი მეტად საგულისხმო ამბების პირუთვნელი მემკვიდრე — კონსტანტინე ლორთქიფანიძე, სოციალისტური შრომის გმირები არიან.

სიტყვა წარმოთქმული სოფლის მეურნეობის მუშაკთა დღისადმი მიძღვნილ საზეიმო სემინარზე 1985 წლის 11 თებერვალს

ეს ერთი მაგალითიც მეტყველებს სოფლის მეურნეობის მუშაკებისა და ქართველი მწერლების ტრადიციულ მეგობრობაზე.

მოგახსენებთ, სოფელი მდიდარია გმირებით, ხოლო ქართული მწერლობა — ტალანტებით. ჩვენი თვალსაჩინო მწერლები კარგად იცნობენ სოფლის ყველა საზრუნავსა და სატკივარს.

სოფლის თემებზე რამდენი ამაღლებელი ლექსი, პოემა, პატარა და ვრცელი მოთხრობა, რომანი, მხატვრული ნარკვევი შეიქმნა ბოლო წლებში! როგორი გულწრფელი სიყვარული ჩააქსოვეს ჩემმა ძვირფასმა კოლეგებმა ამ ნაწარმოებებში!

რა ვუყოთ, რომ ყოველივე ის, რაც დაიწერა და გამოქვეყნდა, თანაბარი ძალისა არ აღმოჩნდა მხატვრობისა და იდეური სიმაღლის თვალსაზრისით; ისევე, როგორც ჩვენი სახელოვანი კოლმეურნეების მიერ მოკრეფილი ჩანს ფოთოლი, არ არის მთლად პირველხარისხოვანი, როგორც ლეგენდარული თამარ ყუფუნია ამბობს, სურნელოვანი, არომატული...

ლიტერატურულ მეურნეობასაც სჭირდება პროფესიული, კვალიფიციური შეფასება, ფაქიზი მოვლა და პატრონობა. აქაც, როგორც სოფლის მეურნეობის ფრონტზე, ურიგო არ იქნებოდა ეკონომიკური მართვის შესწავლა და დაუფლება. პატიოსნად და ობიექტურად რომ დახარისხდეს სოფლის ადამიანებისადმი მიძღვნილი ნაწარმოებები (მხატვრული წონის მიხედვით!), ყველანი თვალნათლივ დავინახავთ, რა ძვირფასი სიმდიდრე შეუქმნია ქართულ მწერლობას!

გულზე ხელი დავიდოთ და ისე ვთქვათ, განა ცოტაა შემთხვევა, როცა მეორეხარისხოვან და მესამეხარისხოვან ნაწერებს პრემიებს აძლევენ, ხოლო პირველხარისხოვანი ქმნილებები ჩრდილში რჩებიან. მოკლედ რომ ვთქვათ, ვინც მეტს ხმაურობს, ის მეტსაც აღწევს.

როგორც ჩანს, უტყუარი სასწორები არამართო საკოლმეურნეო მინდვრებზე აკლიათ, თბილისშიც არა გვქონია საკმაო რაოდენობით!

მალღობა ღმერთს, რომ თქვენ

ხართ ამ ქვეყნად, ჩვენი პირუთვნელი შვიტხველები, ჩვენი მეგობრები, ჩვენი შემოქმედებითი შრომის გულმართალი კრიტიკოსებიც და მფარველებიც.

ხუმრობა იქით იყოს და მეც, როგორც სოფლის ადამიანთა მძიმე, საპატიო შრომის თაყვანისმცემელსა და მეხოტბეს, მაღელვებს, რომ პრესის ფურცლებიდან თანდათანობით გაქრა ჩვენი, საბჭოური სიტყვა: კოლმეურნე. არაფერს ვამბობ ძველ სიტყვებზე: გლეხი, გლეხკაცი, მწყემსი, მთიბავი, მეხრე... სამაგიეროდ წამდაუწყუმ გვესმის: მეცხოველე, მეძროხე, მელორე, მეფრინველე, საკვებმომპოვებელი, მწველავი, მეჭარხლე, მებოსტნე და ასე დაუსრულებლად.

ეს სიტყვები მხოლოდ ცალმხრივად ასახავენ იმ მრავალფეროვან შრომით საქმიანობას, რასაც ამ დარგში მომუშავე კოლმეურნე ასრულებს.

მაგალითად, მწველავი მხოლოდ წველის ძროხას?

მელორე მხოლოდ ღორებს დასდევს?

საკვებმომპოვებელი მხოლოდ საკვების პოვნაზე ფიქრობს?

ახლა წარმოიდგინეთ ასეთი დიალოგი: ქოჩორა ჭაბუკი ეკითხება მზეთუნახავ ქალიშვილს, რომელიც მეცხოველეობის ფერმაში მუშაობს და სრულიად არ ეთაყილება ეს საპატიო საქმე:

— გამარჯობათ, ქალიშვილო! თქვენ აქ მეცხოველედ მუშაობთ?

— დიან, მეცხოველეს მეძახიან. თქვენ კი რას აკეთებთ, ჭაბუკო?

— მე საკვებმომპოვებელი გახლავართ.

— ვისთვის პოულობთ საკვებს?

ეს შეკითხვა შეიძლება სხვა-საც დაეხადოს, რადგანაც საკვებმომპოვებელი სრულად ვერ გამოხატავს იმ აზრს, რასაც ჩვენი ჟურნალისტები გულისხმობენ.

თქვენ თვითონ მიბრძანეთ, ძვირფასო მეგობრებო, როგორ აღწეროს პოეტმა კაცმა მეცხოველისა და საკვებმომპოვებლის სიყვარულის ამბავი?

თითქოს ქვეყანა არ იქცევა, მაგრამ უხერხულია ჩვენს შესანიშნავ ადამიანებს მეცხოველე და მელორე უწოდონ. მშობლიური ენის ბუნებას ანგარიში უნდა გაუწიოთ...

ყველაფერს ადამიანის თბილი ხელი და მფეთქავი გული ქმნის. სოფლის მკვიდრმა უნდა იგრძნოს, რომ მის კეთილდღეობაზე ზრუნვა პატრიოტული საქმეა, რომ ყველა დიდი ხელმძღვანელი თუ რიგითი მუშაკი ფიქრობს სოფლის ამაღლებაზე.

სოფელი რომ ამაღლდეს, ამისათვის აუცილებელია, რაიონული ცენტრების კეთილმოწყობა, ისეთი თეატრებისა და კულტურის სასახლეების აშენება, სადაც საგასტროლოდ ჩასვლა შეეძლება ოპერასაც, რუსთაველის თეატრსაც, მარჯანიშვილის კოლექტივსაც. ხომ შეძლო ეს ისეთმა პატარა რაიონმა, როგორიც არის ხობის რაიონი, ასევე შეუძლია ყველა რაიონულ ცენტრს.

თქვენზე უკეთ ვინ იცის, რომ სოფლებსა და რაიონულ ცენტრებში საავადმყოფოების საქმე ვერა გვაქვს რიგთანად. თუ სოფელში კეთილმოწყობილი საავადმყოფოები არ არის, იქ ექიმთა კადრებსაც ვერ შევინარჩუნებთ.

სოფლის ადამიანთა ჯანმრთელობაზე ზრუნვა მე ისე წარმომიდგენია, როგორც საქართველოზე ზრუნვა. კაცნი ვართ, ხან გვიჭირს, ხან გვილხინს. რესპუბლიკის მთავრობის დიდ ღონისძიებებს ამ საქმეში ადგილობრივი თავაკებების თაოსნობა და ენერჯიაც უნდა შეერწყას. სოფელს არაფერი უნდა მოაკლდეს, არც წამალი, არც ღიმბილი, არც სიყვარული და აღერსი.

ჩვენი გაზეთი „სოფლის ცხოვრება“, რომელსაც მომავალში ალბათ სრული ფორმატისას ვინილავთ, თავამოდებით იბრძვის, რომ სასოფლო გზები მართლაც გზებს ჰგვანდნენ, მაგრამ ჭერჭერობით შედეგს ნაკლებად ვხედავთ.

მე რომ სოფსაბჭოს ან კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვიყო, იმ კოლმეურნეებს, რომელთაც მშვენიერი სახლები აქვთ წამოჭიმული, წინ კი ტალახიანი გზა ჩაუდით, საკუთარი ხელით გავაკეთებინებდი ოღრო-ოღრო გზას. არ ვიცი, ეს რამდენად კანონიერი იქნებოდა, მაგრამ ამას რომ გავაკეთებდი, ეს კი ცხადია.

ეს ძნელი საქმე ისევ სოფელმა უნდა გადაწყვიტოს.

სოფლის ზოგიერთ მესვეურს იქნებ ჰგონია, რომ თუ გზებს არ შეაკეთებენ, ახალგაზრდებს გაუჭირდებათ ქალაქში წამოსვლა.

ამ საკითხებზე ბევრს და ხშირად წერს ჩვენი რესპუბლიკური პრესა, მათ შორის ჟურნალი „ღროშაც“, მაგრამ იმდენს არავენ აკეთებს, რამდენსაც ჩვენი რადიო და ტელევიზია. ამ მხრივ ტელევიზიისა და რადიოს მუშაკებს გულწრფელი მადლობა ეკუთვნით.

პატივცემულო ამხანაგებო! ჩემზე უფრო ადრე გამოსულმა ორატორებმა, როგორც იტყვიან ხოლმე, სრულად და ამომწურავად ილაპარაკეს იმ უხმაურო, მაგრამ ნაყოფიერ შემოქმედებით შრომაზე, რაც რესპუბლიკაში არის გაჩაღებული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ოცდამეშვიდე ყრილობის შესახვედრად, საქართველოს კომპარტიის ოცდამეშვიდე ყრილობის შესახვედრად. ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელმა, ამხანაგმა ჯუმბერ პატიაშვილმა თავის ამასწინანდელ მოხსენებაში არავინ და არაფერი დაივიწყა, ღირსეული პატივი მიავაგო აღრიწდელ წარმატებებს და ყველა ჩვენგანის წინაშე დასახა ახალი კონკრეტული საბრძოლო ამოცანები.

ახლა ჩვენი ვალია, ყოველგვარი ფუსფუსის გარეშე, მშვიდად, გონივრულად, რაინდულად განვაგრძოთ ჩვენი საქმე და ჩვენი კეთილი, ღირსეული წვლილი შევიტანოთ იმ დიდ, გარდამქმნელ ნოვატორულ საქმიანობაში, რასაც ამჟამად ჩვენი პარტია ეწევა ამხანაგ მიხეილ ხერგის ძე გორბაჩოვის მეთაურობით.

ვიამაყოთ წარმატებებით, არ დავკარგოთ აღებული სიმამლები და თვალი არ დავხუჭოთ ნაკლოვანებათა წინაშე, — აი დროის ძახილი.

არ მეექვება, რომ სოფლის მეურნეობის მუშაკები ახალ, უფრო დიდ გამარჯვებებს მოუტანენ დედასაქართველოს.

დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ქართული მწერლობაც მუდამ თქვენთან იქნება, ჩვენი სიყვარულისა და ერთგულების იმედი მუდამ გქონდეთ, ძვირფასო ამხანაგებო!



საქართველო საზოგადოებრივი მკვლევარი

გამოძიება იმ კვირას არ მაცადეს. ტელეფონი გადაირია. მე ვიღებდი ყურმილს და ისე, რომ აზრზე არ ვიყავი, ვისთან ვლაპარაკობდი, ყველაფერზე ვთანხმდებოდი. ოღონდ თავი დაენებებინათ და ძილი დავცლიათ. ჩემი აყვანა ახლა შიშველი ხელებითაც შეიძლებოდა. მე იმ დილას ოცდასამი მანეთი ვაღი ვაპატიე. პაემანი დავუნიშნე, არ მახსოვს ვის, სად და როდის. ვიღაცის მეურვეობა ვიკისრე. ვიყიდე ხენბერნარი, გავყიდე სლავური კარადა. ამასთან ამერიკის პრეზიდენტის მკვლელობაშიც დამანაშავედ ვცანი თავი. მაგრამ ეს უკვე დამისწამა. უარესის შემეშინდა, დავავლე ხელი ბალიშს, შევვარდი ვაფის ოთახში და დივანზე დავვადე. აქ არ იყო ტელეფონი. უფრო სწორად იყო, მაგრამ სათამაშო.

— უნდა დაიძინო? — მკითხა ჩემმა სამი წლის ბიჭმა.
— ზო.
— რა, ვერ გამოიძინე?
— ზო.
— მე კი გამოვიძინე.
— მერე და რა დაგეხსენებდა? — ვკითხე მე ავტობატურად.
— ჭერ სახლი და შემდეგ სახურავი.

— ძალიან საინტერესო სიზმარია, — ჩავიბურტყუნე მე და გავითიშე. გონს მოვეგე რაღაც გულისგამაწვრილებელ „ბზრრ“-საგან. გავახილვე თვალი და დავინახე, რომ ამ ხმას ჩემი ბიჭი გამოსცემდა. ის ამას აკეთებდა გულმოდგინედ, მოკლე პაუზებით.

— რატომ აკეთებ ასე? — ვკითხე გაოგნებულმა.
— ეს მე არა ვარ, — მიპასუხა მან, — ეს ტელეფონი რეკავს.

მან აიღო სათამაშო ტელეფონის ყურმილი:
— ვინ ლაპარაკობს, ალიოშა? გამარჯობა, ალიოშა! როგორ გეძინა? მე კარგად. ჭერ სახლი დამესიზმრა, შემდეგ კი სახურავი. მამა შინ არის. სძინავს... ნაქიფარია ალბათ...

— გეყო, რა სისულელეებს ლაპარაკობ! — ჩავიბურტყუნე მე.

— გაიღვიძა, — განაგრძო მან, — ახლავე გადავცემ... მამი! ალიოშა გეძახის ტელეფონზე.

— რომელი ალიოშა? — ვკითხე მე, ისე რომ თვალი არ გამიხელია.

— ჩემი მეგობარი.
— მოგვიანებით დარეკოს. მძინავს.

— მას ისევ სძინავს, ალიოშა. მოგვიანებით დარეკე.
ჩამეძინა.

შემდეგ ისევ მომესმა „ბზრრ!!“

მე წამოვჭექე და გამოთავყანებულმა შევხედე ჩემ ბიჭს.

— ისევ არა?

— „მოგვიანებით“ უკვე დადგა ეს ალბათ ალიოშა რეკავს, — თქვა მან და აიღო ყურმილი. — ალიოშა? გაიღვიძა. ვაძლევ ყურმილს... მამი! შენთან ალიოშას უნდა ლაპარაკი.

მივხვდი, რომ არ შემეშვებოდა. მივადე სათამაშო ტელეფონის ყურმილს ყური.

— ალიოშა? — ვთქვი ბრავმორეულად, — შენ რა გინდა? არაფერი? მაშინ კარგად იყავი, ალიოშა...

— ჰკითხე რა ესიზმრებოდა, — მითხრა ჩემმა ბიჭმა.

— რა გეხსენებოდა, ალიოშა? ჭერ სახლი, მერე კი სახურავი, მშვიდობით, ალიოშა.

და ისევ დავებდი.

— ტყუილებს ნუ ამბობს, რომ ჭერ სახლი და მერე სახურავი დაესიზმრა, ეს მე დამეხსენებდა...

ბავშვის ხელის შეხებისაგან გამეღვიძა.

მას ხელში ეჭირა საბავშვო ტელეფონის ყურმილი.

— ალიოშამ იხუმრა, — თქვა მან. მას თხუნელაობა ესიზმრა.

— რა? — ვიღრიალე მე.

— თხუნელაობა. შინდორი და ბევრი-ბევრი თხუნელა... არ გჭერა? — ჰკითხე.

— ალიოშა, — თავგანწირულად ჩავიყვირე ყურმილში. — შენ რა, თხუნელები გეხსენებოდა? ძალიან მოხარული ვარ შენს გამო... ალო! ალო!..

მე დავდე ყურმილი.

— რა? — მკითხა ჩემმა ბიჭმა.

— ალიოშას დედამ დაუძახა სასაუზმოდ და სთხოვა, მეტი აღარ დარეკა, ვთქვი მე მთქნარებით და ისევ მივეგდე.

მან ყურადღებით შემომხედა:

— ალიოშას დედა ვერ დაუძახებდა სასაუზმოდ, იგი გუშინ ლენინგრადში გაემგზავრა.

— ესე იგი ბებია.

— ალიოშას დედა ბებიათსე წავიდა ლენინგრადში.

— მაშინ, ვიღაც სხვა ქალი იქნებოდა, — წარმოვთქვი მე. ვფიქრობდი, ამით სალაპარაკო თემა ამოიწურებოდა.

— ეს ცუდია, — თქვა მან ჩუმად, შემდეგ კი დაუმატა: — შენ ლენინგრადში უნდა დარეკო ალიოშას დედასთან და უთხრა, რომ მათთან უცხო ქალია.

მე ავიღე სათამაშო ტელეფონის ყურმილი და დავრეკე ლენინგრადში. დავუძახე ალიოშას დედას და

შევატყობინე, რომ უცხო ქალი იყო მათთან, შემდეგ კი დიდხანს ვუსმენდი, რას მეუბნებოდა ალიოშას დედა.

— როგორაა საქმე! — მოუთმენლად მკითხა ჩემმა ბიჭმა, როცა ყურიმილი დავდე.

— მან იცის! — ვთქვი მე, — ეს ქალი ალიოშას მამიდა არის.

— ყველაფერს იტყუები! — მოულოდნელად გაბრაზდა ჩემი ბიჭი, — მამები ერთნაირები ხართ — დედების წინააღმდეგ. მე ახლა თვითონ დავურეკავ.

— ეს სწორია, — შევბით აშლივით მე და დავხუჭე თვალები; თუმცა გავიფიქრე, მამაკაცური სოლიდარობის თვალსაზრისით, ის მთლად სწორი არ უნდა ყოფილიყო. ძალიან მალე გამომაღვიძა ჩემმა ბიჭმა.

— დავუკავშირდი. ალიოშას დედა ჩამოფრინდა ლენინგრადიდან. ალიოშას მამას შეეშინდა და კარადაში დაიმაღა, მაგრამ ალიოშას დედამ

ქროსი

— ხვალ ათ კილომეტრზე წახვალთ? — მითხრა განყოფილების უფროსმა.

— საით? — დავინტერესდი მე.

— არა „საით“, არამედ „როგორ“

— ათი კილომეტრი თხილამურებზე... კროსი.

— კი მაგრამ... მე ხომ ორმოცდაცამეტი წლისა ვარ.

— ამას არა აქვს მნიშვნელობა.

ჩვენ უნდა მასობრიობა უზრუნველყოთ. ბრძანება ბრძანებაა.

— დღიურ ხელფასს როდის მივიღებ? — ვკითხე მე.

განყოფილების უფროსმა საფეთქელთან მიიტანა თითი და აქეთ-იქით გადაატრიალა.

— თქვენ რა, სერიოზულად?

— რა თქმა უნდა. ასე თუ ისე ათი კილომეტრია...

— საკუთარ ხარჯზე წახვალთ, — შემდეგ აგინაზღაურებთ — მითხრა მან და კარზე მიმითითა.

მე და ჩემ დედაკაცს მთელი დამე არ მოგვიხუტავს თვალი, საგზაოდ ვემზადებოდი და დილისათვის, როგორც იქნა, ჩემოდანი ჩავალაგეთ.

— პერანგები არ გაცვიოთ, — მეუბნებოდა ჩემი დედაკაცი, — ხშირად იცვალე.

საოჯახო ჩანთაში საგზალი ჩამილაგა.

— აქ ქათამია, — თქვა მან, — ათიოდე კვირცხი, კატლეტი, როგორც შენ გიყვარს, ბულიონით სავსე თერმოსი, ვაშლიანი ღვეჯელი. — დანარჩენს გზაში იყიდი...

და ჩემი დედაკაცი ცხარედ ატირდა.

იპოვა იგი, და მან თქვა, რომ მეტს აღარ იზამდა.

— მართალი გეტყობ, უკვე მან შემდეგ, რაც წლებმა ჩაიარეს, მე მეჩვენებოდა, რომ მოგონილი ალიოშა სინამდვილეში არსებობდა. ბიჭი დროგამოშვებით მატყობინებდა ხოლმე ალიოშას ცხოვრების წერილობრივებს, თანაც მოითხოვდა თანაგრძობას, მხარდაჭერას, რჩევას.

და აი, ამას წინათ, უკვე ოცდასამი წლის ყაზილარი რომ ვახდა, ჩემმა ბიჭმა მითხრა:

— მამი! გახსოვს ჩემი ძველი მეგობარი ალიოშა?

— მახსოვს, — ვუპასუხე მე, — რა მოუვიდა?

— არაფერი. ცოლი მოიყვანა... ხუთ თუთანს ხომ არ მომცემდი საქორწინო საჩუქრისათვის?

და მან მოჩვენებითი გულგრილობით სადღაც იქით, ფანჯარაში, გაიხედა.

ახლა მხოლოდ ერთი რამისა მემშინია, რომ მე და ჩემს ცოლს ალიოშას შვილების მოვლა არ მოგვხსნის.

— ბოლიში, თუ რამე გაწყენინე, — ვუთხარი გაბზარული ხმით, — ასე თუ ისე, ცუდად არ გვიცხოვრია.

— თავს გაუფრთხილდი, — მითხრა მან, — ჩემზე ნუ იღარღებ და რაც მთავარია, გამარჯვებით დაბრუნდი.

ათ საათზე რეჟოვოს სადგურზე ვიყავი. მკერდზე ნომერი 184 დამკიდეს და ავიღე სტარტი.

სტარტის შემდეგ გონს მოსულმა დავინახე, რომ ჩემ მარჯვნივ, მარცხნივ, წინ და უკან მოდიოდნენ ჩემი თანამშრომლები და კიდევ ბევრი სხვა, რომლებიც ადრე არ შენახა, ყველას თავისი ნომერი ეკიდა.

— არ დაიღალეთ? — ვკითხე მე ნომერ 12-ს, როცა რვა მეტრი გავიარეთ.

— ჭერ ვმაგრდები.

— მე კი ძლივს ვდგავარ ფეხზე.

— ყოჩაღად, ყოჩაღად, შე ძველო, — გამამხნევა ნომერ 12-მა, — ამბობენ მალე მეორე სუნთქვა უნდა გაიხსნას.

— კი, — მივუგე მე, — და მგონი, უკანასკნელიც...

დღის სამი საათისთვის, როცა ტყეში შევედი, ნომერი 200 მოცულობით დაეცა თოვლზე და გვემუდარებოდა, მივგეტოვებინა და გზა უიმისოდ განვეგრძო...

— ჩემს ცოლს გამოსაშვებობელი სიტყვა და ბეჭედი გადაეცით, — სროტინებდა იგი.

ჩვენ წამოვყენეთ, ჩავუტარეთ ხელოვნური სუნთქვა, მივაბით ნომერ 9-ს და განვაგრძეთ გზა.

ერთხელ, განთიადზე, ნომერ 70-მა მოულოდნელი ნახტომი გააკეთა.

— საით? საით? — შევძახებთ ჩვენ.

— პარასკევს აუცილებლად შინ უნდა ვიყო, ცოლს დაბადების დღე აქვს, — მოგვაძახა მან.

საბრალო, ეტყობა, დროს ანგარიში დაეკარგა, რადგან უკვე კვირა იყო. კიდევ სამი კვირა ჩანდა ნომერ 70-ის წელში მოხრილი ფიგურა, რომელიც ერთგვარად ორიენტირის მაგივრობას გვიწვევდა, მაგრამ მალე ხეებს მოეფარა. ჩვენ განვაგრძობდით გზას, არ ვეპუებოდით სიძნელეებს...

— უკანასკნელად როდის მიიღეთ წერილი სახლიდან? — მკითხა ნომერ 50-მა, თან თავგამოდებით უსვამდა ჯოხებს.

— ემ, აღარც კი მახსოვს, — ვუთხარი სევდამორეულმა, — ცოლი მწერს, რომ სახლში ყველაფერი რიგზეა. პენსიაზე გავდივით. შვილი-შვილი სკოლაში წავიდა. ქალაქში მეტრო გაიყვანესო...

— ჰოო! — წარმოთქვა ოცნება-მორეულმა ნომერ 121-მა, ჩვენ-თან კი უკვე ზაფხულია... ცხელა, ჩიტები უიჟივებენ და ცრემლი მოიწმინდა.

ნომერი 42 კროსამდე მათემატიკის პროფესორი ყოფილა და მტკიცე ბერბიჭა, თუმცა ქალების დიდი მოყვარული.

— აჰ, შორიანოს, ქალთა კროსია, — ჩამჩურჩულა მან ერთხელ.

— ხომ არ შეგვექცია თავი, ქარი თუ არ იქნა, შემდეგ დავეწვიოთ.

— სხვების მიმართ ეს არასპორტული საქციელი იქნება, — ვუთხარი მე.

— როგორც გენებოთ, — ჩაიბურტყუნა მან და წვერის პარსვა დაიწყო. მეტი აღარ მინახავს. თუმცა, როგორც ნომერი 18 ირწმუნება, დამე ვიღაცის სასოწარკვეთილი ყვირი-

ლი ისმოდა. ყველაფერი შესაძლებელია, არ არის გამორიცხული, რომ პროფესორი მგლებმა დაგლოჯეს. ჩაიარა წლებმა, როცა კროსის შემდეგ შინ დაბრუნდი, დედაკაცი არ დამხვდა, მაგიდაზე კი ბარათი იდო: „ძვირფასო! ბოხსლებში შეჭიბრში მონაწილეობის მისაღებად წამი-ყვანეს. არავინ არ იცის, რა არის ეს, თუმცა, მგონი, რაიმე საქალებო უნდა იყოს, მშვიდობით!“

რუსულიდან თარგმნა
სულხან ჯორჯანელიძე.

მისილ გაგახანოვი

პირველი პაემანი



არ ვიცი, ვინ რას განიციდის ასეთ დროს, მე კი იმ დღეს ცა ქუდად არ მიმანდა და დედამიწა ქალამნად. სიხარულის მღელვარე ტალღები პაემანზე მიმაქროლებდნენ, პირველ პაემანზე ჩემი ოცნების ქალიშვილთან. მე იგი ძალიან მიყვარდა. დიხს, ძალიან, ძალიან. გონების დაკარგვამდე. სიხარულისაგან დაღლაც კი არ მიგრძნია სამუშაო საათების შემდეგ. შინ გადარეულივით მივეარდი, ტანსაცმელი გამოვიცვალე და გატყორცნილი ისარივით გავფრინდი დანიშნული ადგილისაკენ, თან ბუტერბროდს ვლოლნიდი გზადაგზა.

როგორც იქნა შევეტენე ავტობუსში და საფეხურზე მდგომარემ რომელიღაც მანდილოსნის პალტოს ვტაცე ხელი. ჩემ უკან კარი ძლივს დაიხურა და ცალი ფეხი გარეთ დამრჩა. პატარა ბიჭი ისე წამომჭდომოდა მხრებზე, ვითომც არაფერიო. ჯიბიდან ფული ამოიღო და კონდუქტორს გაუწოდა. „წადი-და ახლა ჰკუა მოჰკითხე ამ შტერს, თავზე მე მაზის და ფულს კი კონდუქტორს უხდის“.

გაჭირვებით ცოტა წინ წავიწიე. მუჭულუგუნებით ლამის ფერღები დამიზილეს. ვერაფრით მოვახერხე გვერდზე შებრუნება. ზედმეტს კი არა, საჭირო მოძრაობასაც ვერ ვაკეთებდი.

კეთებდი. ხელში თავს ზევით აშვერილი ყვავილების თაიგული მეჭირა.

„მომამორეთ ეგ ცოცხი,“ მიყვირის ვიღაც.

„ეს ცოცხი კი არა, თაიგულია“, თავი გამოვიდე მე.

„ეგ თქვენ გგონიათ ეგრე“, განაგრძობს იგივე ხმა.

ისე, კაცმა რომ თქვას, თაიგული მართლაც საცოდავად გამოიყურებოდა.

„ქალიშვილო, ეი, ქალიშვილო, თეთრბანტიანო, აიღეთ ბილეთი... თქვენ, მოქალაქე, ეგ პორტფელი რომ გაგიბერიათ, ბილეთს არ იღებთ?..“ ისმოდა შიგადაშიგ კონდუქტორის შეძახილი.

„კარგით, გეყოფათ ბოლოს და ბოლოს, ეგ თქვენი სობრანო მაინც არ გენანებათ?“ აიმაღლა ხმა ვიღაცამ.

„სუფრიანიც შენა ხარ და არც არა იცი რა: ერთი ამას დამიხედეთ, წაუგლია ენა, და რო შეხედო, კაცი გეგონება...“

„ეს რა ღვთის გარეგან კონდუქტორს გადავეყარეთ. მაგხელა ხმით, შე ქალო, ვედვენაზე უნდა მუშაობდე ექსკურსიების მძღოლად“.

თანდათან ყველა თითქოს მიყუჩდა და მერე ისევ გაისმა კონდუქტორის მკაცრი ხმა: „აბა, ავერ, თეატრალური მოედანიც, საშინლად ველავდი. ეს ხომ პირველი პაემანი იყო ჩემს ცხოვრებაში! ვიყურები აქეთ-იქით, ლამის კისერი მომწყდეს თავის ტრიალით, მაგრამ სად არის ჩემი ოცნების ქალიშვილი! აბა, რა იქნებოდა, ოც წუთს რა გააჩერებდა, რა თქმა უნდა, გაიბუტა და წავიდა.“

ვის მკახე ხმა: „ახალგაზრდაც, შენ გეუბნები, ეგ ახალი ქუდი რომ გაფარია, ბილეთი თუ გაქვს?.. ხომ არ დაყრუვდა ეგ ოხერი; ქალიშვილო, ერთი მაგას წაჰკა...“

ვიგრძენი, ვიღაცამ როგორ მომიტათუნა მხარზე ხელი. მოვიხედე.

„შენ გეუბნები, ლამაზო, გეყურება?“

„არა... კი... როგორ არ მეყურება, მაგრამ...“ ენა დამეხა მოულოდნელობისგან. „ეს ქუდი ახალი არ არის, ძველია, ამ ორი წლის წინათ ვიყიდე „ტაშვაჭრობაში“. აი... ფეხსაცმელები კი ახლები მაცვია...“

„რაში მეკითხება სად, როდის, რა გიყლია, ან მაგ შენს ფეხსაცმელებს მე რას მაგულისჰყირებ... შენ ის მითხარი, ბილეთი გაქვს თუ არა!..“

ჯიბიდან რის ვივიგალახით ამოვადვირინე სამგზავრო ბილეთი და კონდუქტორს დავანახე.

„ეგრე რა, შე კაი კაცო, რო დამღარხარ და ბუზს არ იფრენ, გაგონილა?..“

ორი გაჩერება კიდევ მქონდა გასავლელი, მაგრამ ვეღარ გავუძელი გაუთავებელ ჰახახას, ავტობუსიდან გადმოვედი და ფეხით გავუდექი გზას, თან დიღები შევამოწმე, ყველა ადგილზე მქონდა თუ არა, სულ ორი დიდი ბაკლა, მეტი არა.

ვიღეტი გულდაწყვეტილი და შუროით შევეტეოდი სკვერში მოსეირნე წყვილებს. თაიგული, დიდი ამბით რომ მეჭირა ხელში, ახლა მართლაც ცოცხსა ჰგავდა. ჩემი უცნაური იერი უკვე გამვლელთა ყურადღებას იქცევდა. თაიგული შეუმჩნეველად ურნაში ჩავაგდე და გულდამძიმებულმა გავწიე ავტობუსის გაჩერებისკენ. გზად ოთხი ბოთლი კეფირი ვიყიდე და ავტობუსში ავედი.

„შენ, ეი, კეფირით ხელდამშვენებულ ვაქაცო, შენ მაგივრად ბილეთის ფული მე გადავიხადო?..“ მომგმხა კონდუქტორის ხმა.

მოვიხედე და თავხარი დამეცა. იგივე პირდაფრენილი გველემები რომ დავინახე, გულგახეთქილი კისრისტებით გადმოვვარდი ავტობუსიდან და უკანმოუხედავად მოვუსვი.

რუსულიდან თარგმნა
გიორგი ჯაბაყვილიძე.

მოლიტ. გავიხსენო!

ნილო დუმბაძე და პოლიციელი

დიდი სამამულო ომი ახალი დამთავრებული იყო. ქვეყანა მშვიდობიანი ცხოვრების რელსებზე გადავიდა. განახლდა სხვადასხვა სპორტული შეჯიბრება, საკავშირო ჩემპიონატი, ეწყობოდა საერთაშორისო შეხვედრები.

საბჭოთა მძლეოსნები ევროპის ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად ოსლოში გამგზავრდნენ.

— შეჯიბრების დაწყებიდან ორი დღით ადრე, მე და ნილო დუმბაძემ გადაწყვიტეთ, საწვრთნელი ვარჯიშის შემდეგ, ქალაქში გავგველო და ოსლოს ღირსშესანიშნაობანი დაგვეთვალიერებინა, — იგონებს სახელოვანი სპორტსმენი ელენე გოკიელი. — უცხოეთში პირველად ვიყავით და ყურადღებით ვათვალიერებდით შენობებს, მალაზიებს, ვიტრინებს, სკვერებს...

რომელიღაც მოედანზე ის-ის იყო საჩუქრების მალაზიიდან გამოვედით, რომ მოულოდნელად ნინოს შემოფოთებული ხმა შემომესმა:

— გაიხედე უკან!
გავიხედე.
ჩვენგან რამდენიმე ნაბიჯის დაშორებით, ახმახი პოლიციელი დავინახე.

— რა უნდა?
— არ ვიცი, — ნინომ მხრები აიჩეჩა, — უკან მოგვდექ.

შევედით წიგნების მალაზიაში — პოლიციელი შემოგვევა. გამოვედით — ახმახი გამოგვევა.

და მაშინ, როცა გაზიანი წყლის დასალევად ჯიხურს მივაშურეთ, პოლიციელი შედგა, ბოძს ამოეფარა და იქიდან დაგვიწყო თვალთვალი.

ნინომ ხელი ჩაიჭინა, გამიღიმა და ჯიხურად გაეშურა პოლიციელისაკენ.

— რა გინდათ? — გერმანულად რიხიანად ჰკითხა ათლეტური აღნაგობის ნინო დუმბაძემ სახტად დარჩენილ პოლიციელს და აუკლებში ჩააცქერდა.

პოლიციელმა ჯიბეზე გაიკრა ხელი. შეგვბით.

ახმახი ჩქარობდა. ბოლოს როგორც იქნა, რასაც ეძებდა, მოიძია. წამოდგა ნაბიჯი, ნინოს გადაშლილი უბის ბლოკნოტი გაუწოდა და თქვა:

— მალამ დუმბაძე, გთხოვთ, დამდეთ პატივი და ავტოგრაფი მიწყალობეთ.

უძილო ღამე და ჩემპიონი

1932 წელს მოსკოვი ჩვენი ქვეყნის ტანმოვარჯიშეთა პირველობის ჩასატარებლად ემზადებოდა.

აი რა მიაშო ამ შეჯიბრების შესახებ საბჭოთა კავშირის სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა, ამიერკავკასიის ნაკრები გუნდის მამულებელმა წევრმა, პატივცემულმა გიორგი რცხილაძემ:

— ყველაფერი უცნაურად აეწყო. ჩავე-

დით მოსკოვში. გამოცხადდით, სადაც ჯერ არს და მაშინლა გვითხრეს, შეჯიბრება ლენინგრადშია გადატანილიო. ჩავედით ლენინგრადში. მივდექ-მოვდექით და მაშინ გავიგეთ, თავისუფალი ვარჯიში, რომელიც საგულდაგულოდ გვქონდა მომზადებული, ახალი წესის თანახმად, რთული ვარჯიშით უნდა შეგვეცვალა.

შეჯიბრების გახსნამდე კი ერთი დღე რჩებოდა.

ისლა დაგვრჩენოდა, ჩაგვექნა ხელი, დაგვეხურა ქული, მატარებელში ჩავმსხდარიყავით და შინისკენ გამოგვეტია.

გაწამაწიაში ვიყავით, როცა კარი გაიღო და სპორტულ დარბაზში ლენინგრადელი ცნობილი ტანმოვარჯიშეები ნიკოლაი სერი და მიხეილ კასიანიკი შემოვიდნენ. მათ დახმარება აღგვითქვეს.

— დავიწყეთ! — გვითხრა მიხეილმა.

— დროს ნუ დავკარგავთ! — კვერი დაუქრა ნიკოლაიმ.

ლენინგრადელმა მეგობრებმა ძმურად გამოგვიწოდეს ხელი. ჩვენთან ერთად თეთრად გაათენეს ღამე. დეტალურად გვიხსნიდნენ ახალი რთული ვარჯიშის ილეთებს. გვამხნეებდნენ, გვასწავლიდნენ, გვაეორებინებდნენ.

ისე გვექცოდნენ, თითქოს ჩვენი მწვრთნელები იყვნენ და მეორე დღეს მათი მოწინააღმდეგეები არ უნდა გავმხდარიყავით.

გათენდა.

რამდენიმე საათში შეჯიბრება დაიწყო.

როცა დარბაზში ჩემი გვარი გამოაცხადეს, უძილობა სადღაც გაქრა, მხნედ, გულდაჯერებულად გავედი სავარჯიშოდ.

დარბაზში ტაში გრიალებდა.

მიხეილ კასიანიკი და ნიკოლაი სერი პირველები იყვნენ, რომლებიც მომცვიდნენ, გადამოცნეს და ჩემპიონობა მომილოცეს.

იმასაც გეტყვით: თბილისელმა გიორგი ბაბილოძემ ამ შეჯიბრებაში მესამე საბრზო ადგილი დაიკავა.

ოპერატიულად

სპორტულმა ჟურნალისტებმა კარგად ვიცით კავშირგაბმულობის მუშაკთა ფასი ოპერატიული მასალის გადაცემის დროს. ისინი საიმედოდ გვიდგანან მხარში და ყოველნაირად გვეხმარებიან.

მრავალთაგან მხოლოდ ერთ მაგალითს მოგიყვებით.

1962 წელს ბაკურიანში საბჭოთა კავშირის ხალხთა ზამთრის ოლიმპიადა ტარდებოდა.

მაშინაც გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ საკუთარი კორესპონდენტი ვიყავი. რედაქცია დაბეჯითებით მთხოვდა, ოლიმპიადის მიმდინარეობის შესახებ დაუყოვნებლივ მიმეწოდებინა რეპორტაჟი.

დავალეების შესრულება არცთუ იოლი იყო. მასლის ოპერატიულად გადასაცემად სპორტსმენთა პაექრობის ადგილიდან უნდა გამოქცეულიყავი, რაიონის ცენტრის ფოსტაში ჩავსულიყავი და მოსკოვში იქიდან ვაღამეცა რეპორტაჟი.

— რატომ დელათ? — მითხრა ბორჯომის რაიონის კავშირგაბმულობის მუშაკმა შალვა კალანდაძემ და თოვლით დაფარულ კონტაგორაზე სახელდახელოდ აღმართული ჯიხურისაკენ მიმანიშნა, — შევიდეთ ჯიხურში.

შევედით. ჯიხური სპორტსმენთა დასასვენებლად

იყო გამოხული. სტარტის დაწყებამდე ისინი აუფარებდნენ თავს თოვლსა და ყინვას.

მივიხედ-მოვიხედე და გავვოცდი. ჯიხურის ბოლოში, პატარა მაგიდაზე ტელეფონის ვაჭარბი იდგა.

— რა არის ეს? — უნებურად ვკითხე შალვა კალანდაძეს.

— ტელეფონი.
— მუშაობს?

— კი. კავშირგაბმულობის მუშაკებმა თავიანთი საქმე ამ მთაზეც გააკეთეს. კონტაგორიდან საბჭოთა კავშირის ყველა კუთხეში შეგიძლიათ დარეკოთ.

ოპერატიულად გადაცემული ჩემი რეპორტაჟი მეორე დღესვე გამოქვეყნდა გაზეთში.

კოზა ნაძაძე და დიდთოვლობა

1970 წლის ზამთარი იდგა.

ბაკურიანი საზეიმოდ ემზადებოდა. იხსნებოდა 90-მეტრიანი ახალი, კეთილმოწყობილი ტრამპლინი.

თოვლის სამეფოში უამრავი სტუმარი ჩამოვიდა. ვის არ ნახავდით აქ: სპორტსმენებს, მწვრთნელებს, მსაჯებს, უცხოელ ტურისტებს... თოვლი კი არ ჩანდა.

იმ წელს ბაკურიანში უცნაური ამინდი დაიჭირა. დეკემბრის დასაწყისში მოთოვდა. ეს იყო და ეს. მთელი თვე ისე მიიწურა, ფიფქი აღარ ჩამოვარდნილა. მზემ იძალა. რაც იყო, ის თოვლიც თვალსა და ხელშუა მიილია.

იმსჯელეს, ითათბირეს და ტრამპლინზე დასაყრელად, გაღმა-გამოღმა ტყეებში შემორჩენილი თოვლის ტომრებით მოზიდვა გადაწყვიტეს.

ამ საქმეს სახელოვანი ვეტერანი სპორტსმენი კოზა ნაძაძე ჩაუდგა სათავეში.

მისდგნენ, მუხლი აღარ ჩაუხრიათ. გაიხეიჭენ, დაწყდნენ, ქანცი გაელიათ ბიჭებს.

თოვლით გატენილი ტომრები სპორტსმენებს მთის ძირამდე თვითმცლელი მანქანებით და მარხილებით მიჰქონდათ. საცა ტრანსპორტი აღარ უდგებოდა, ტომრებს ზურგზე იკიდებდნენ, ვაივაგლახით აჰქონდათ, ხორხომელა თოვლს საჭირო ადგილებზე ახვავებდნენ, ასწორებდნენ და გულმოდგინედ ტკეპნიდნენ;

მსაჯთა საგანგებო კოლეგიამ ტრამპლინი დამაკმაყოფილებლად ცნო. ზეიმის გახსნა მეორე დღისთვის დაინიშნა.

კაცი ბჭობდა და ეშმაკი იცინოდაო. ზეიმი არ შედგა.

მთაზე რამდენიმე ათეული ტონა თოვლის აზღვამ აშაოდ ჩაიარა. რატომ?

იმ ღამეს დიდთოვლობა დაიწყო...

თოვდა. ორი დღე შეუჩერებლად თოვდა. ცამ პირი გაიხსნა. ვეება ფანტელებმა ერთიანად გადააენტეს ვარემო.

სხვა ჩარა არ იყო: როცა გამოიღარა, სპორტსმენებმა ნიჩბებს წამოავლეს ხელი, მისდგნენ და ტრამპლინიდან ზედმეტი თოვლის ვადმოყრა, მოსწორება და ხელმეორედ დატკეპნა დაიწყეს.

ახალი ტრამპლინიდან პირველად ვადმოხტომის საპატიო უფლება კოზა ნაძაძეს ებოძა.

ჩვენმა თანამემამულემ კვლავაც გვასახელა.

იგი 107,5 მეტრზე გადახტა და პირველი რეკორდი დაამყარა 90-მეტრიან ახალ ტრამპლინზე.

გარუნ აპოლოვი,

საპარტიველოს სსრ დამსახურებული შურნალისტი.

სამუშაო დღე

ნეილონის თმა

— სიქაჩლე სამუდამოდ დაეპარცხეთ! — ასეთი მყვირალა რეკლამა გაუკეთა ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ პიტსბურგის „იუნაიტედ ლაბორატორიზის“ კლინიკამ ნეილონის თმის გადანერგვის მეთოდს, რომელიც კლინიკის თანამშრომლებმა შეიმუშავეს.

კლინიკის უამრავი მელოტი მიაწვდა. პირველი მსხვერპლი ვინმე სიმოქულ ფიორენზა გახლდათ. ოპერაციის შემდეგ მას თავის ტკივილი დაეწყო და თანდათან დასცივდა ნეილონის თმა. სიმოქულ ფიორენზმა სასამართლოს მიაშურა. მას სხვა დაზარალებულმა პაციენტებმაც აუბეს მხარი.

სასამართლო არ შემდგარა: მომჩივანი მელოტების ჩაჩუმება კლინიკას საკმაოდ დიდი თანხა დაუჯდა.

სიახლე

ინგლისური ფირმა „სიუზელზ მეტლოუ ლიმიტედი“ წლების მანძილზე უშვებს სხვადასხვა სახის ნამცხვრებსა და კონფეტებს.

ფირმამ გადაწყვიტა, მომხმარებლებს სიახლე შესთავაზოს.

არ დაუხანებია. მაღაზიებში უკვე გამოჩნდა კონფეტები, რომლებიც ჩალაგებულია პლასტმასის მინიატიურულ... კუბოებში.

ტკბილ და გემრიელ კონფეტებს, არც მეტი, არც ნაკლები, ადამიანის ჩონჩხის ფორმა აქვს.

მორწმუნეთა რიცხვმა იმატა

ამერიკის ქალაქ პორტლენდის (ორეგონის შტატი) მღვდელმა დევიდ პარმსმა ყოველგვარ ხერხს მიმართა მრევლის მოსამრავლებლად.

ტაძარში მისულ მორწმუნეს, რომელსაც არ სურს ჩამოედგინა მთელი საღამო — ყურთბალიშს სთავაზობენ; ძილის მოყვარულებს ღვთისმსახურების დამთავრების შემდეგ ეზოში გასაშლელ საწოლებს უმარჯვებენ.

ეკლესიის მახლობლად მოწყობილია გოლფის სათამაშო მოედანი. მოშორებით ლივლივებს წყალსატევი, რომელშიც ანკესებით თევზაობენ...

მორწმუნეთა რიცხვმა იმატა. საკვირაო დღის წირვაზე ახლა უამრავი ხალხი მიეშურება. მათ თან მიაქვთ ბურთები, ანკესები, ვედროები, საძინებელი პიჯამოები, ზეწურები, კალათებში ჩაწყობილი საუზმე, გიტარა და ა. შ.

წინდახედული

ცნობილი ამერიკელი მსახიობი ელიზაბეტ ტეილორი და ინგლისელი აქტიორი რიჩარდ ბარტონი ორჯერ დაქორწინდნენ და ორჯერ განქორწინდნენ.

ყოფილი ცოლ-ქმარი კვლავ შეხვდა ერთმანეთს. ამჯამად ისინი კომედია „პირადულ ცხოვრებაში“ ხელმეორედ შერიგებული ცოლისა და ქმრის როლებს ასრულებენ.

კომედია ნიუ-იორკში იდგმება. სცენაზე მოხალდნელი რამდენიმე ინციდენტის შიშით, ელიზაბეტ ტეილორმა თავი 250 ათას დოლარად დაიზღვია.

ლოცვათა კრებული

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში შეიქმნა რელიგიის მსახურთა საგანგებო კომისია, რომელმაც შეადგინა ე. წ. „სამგზავრო წმინდა წიგნი“.

ლოცვათა ეს კრებული, როგორც წმინდა მამები ირწმუნებიან, ავტოავარიებისაგან, საიმედოდ იცავს ყველა იმ მორწმუნეს, რომელიც შეიძენს და ხშირად იკითხავს „სამგზავრო წმინდა წიგნს“.

უზაპტრანსი კანონი

ინგლისის ქალაქ ლიდის ციხის დირექტორმა ცოლებს, საცოლეებს, შვილებსა თუ ახლობლებს, სასტიკად აუკრძალა პატიმრების კონცა.

ეს უმკაცრესი გადაწყვეტილება იმან განაპირობა, რომ კონცის დროს ახლობლები პატიმრებს პირთ გადასცემდნენ... ნარკოტიკებს.

კონცის აკრძალვას ციხეში ძუძუთა ბავშვების შეყვანის აკრძალვა მოჰყვა.

რატომ? მამები, როცა ჩვილებს გულში იხუტებდნენ, თურმე თეთრეულში უტურებდნენ ხელს და იქიდან გამოჰქონდათ ნარკოტიკები.

ნემსი და ტანკი

იტალიამ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან მამასისხლის ფასად შეიძინა 100 უახლესი ტიპის მძიმე ტანკი „ლიტორანი“.

ტანკი, ცხადია, ნემსი არ არის და მინც ნემსივით დაიკარგა. ერთი კი არა — 40.

მოდგნენ, იტალიის მთელი ტერიტორია გადაქექეს, მაგრამ დაკარგული ტანკების ასავალ-დასავალს ვერსად მიაკვლიეს.

გაზეთმა „უნიტამ“ მოსაზრება გამოთქვა: ვილაც გავლენიანმა პირებმა შეიძლება გულკეთილობა გამოიჩინეს, მამასისხლად ნაყიდი ტანკები იტალიაზე გაქირავებულ ქვეყანას უფრო ძვირად მიჰყიდეს და, რაღა ჩარა იყო, ფული ჩააჯიბეს.

რამდენიმე ათასი ტონა

ინგლისის პოლიციამ სამდღიანი ოპერაცია ჩატარა პორნოგრაფიული ლიტერატურისა და ვიდეოფილმების აღმოსაჩენად.

შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა. საგანგებოდ გამოყოფილ ვეება დარბაზში გორებად დახვავდა პორნოგრაფიული ჟურნალები, წიგნები, ვიდეოფილმები...

პორნოგრაფიულმა მკაულატურამ რამდენიმე ათას ტონას გადააჭარბა.

რეპორაჟი, რეპორაჟი...

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მცხოვრებმა ვინმე ადოლფ ვაიხენრიდენმა ახალი რეპორაჟი დაამყარა. კათხა, რომელშიც 2 ლიტრი ლუდი ჩადიოდა, მას შემართული ხელით 14 წუთი და 14 წამი უმოძრაოდ ეჭირა.

პაექრობაში გამარჯვებულ ადოლფ ვაიხენრიდერს „მიუნხენის უძლიერესი მკლავის“ ტიტული მიეკუთვნა.

პელე 44 წლისაა. უკვე 10 წელიწადია ის ბუცებს აღარ ეკარება.

აი როგორია მისი ერთ-ერთი სამუშაო დღე: დილით ურეკავს რომელიღაც პრინცი საულის არაბეთიდან. პრინცს სურს პელებს მეშვეობით შეიძინოს ფორთოხალი, რაკი მსოფლიო ბაზარზე მისი სიმცირე იგრძნობა. პელე ჯერ ტელეფონით უკავშირდება ფორთოხლის მომწოდებლებს სან-პაულოში, ხოლო შემდეგ პასუხს აცნობებს პრინცს — ფორთოხლის საქმე სრულ წესრიგშია.

თუ რამდენს იგებს პელე ამით, იცის მხოლოდ მისმა ძმამ ზოკამ, რომელიც მისი ადვოკატიცაა, მრჩეველიცა და პირადი მდივანიც.

მეორედაც ურეკავს მას პრინცი და ისევ საულის არაბეთიდან. ამჯერად, პელებს წინადადებით მიმართავენ, რომ იგი ფეხბურთს დაუბრუნდეს. ზღაპრულ პირობებს სთავაზობენ, სწორედ ისეთს, როგორც „ათას ერთ ღამეში“. კონტრაქტი ერთ სეზონზე — 6 მილიონი დოლარი, მატჩებში მონაწილეობა მხოლოდ კვირაობით.

შემდეგ პელე კინოკომპანიის საქმეებითაა დაკავებული (კინოკომპანია მან თავის მეგობრებთან ერთად დააარსა). გადის მცირე ხანი და იწყება ჩვეულებრივი საქმეები — ბრაზილიური და საზღვარგარეთული, რომლებსაც მისი ორი კანტორა წარმართავს — ერთი სანტოსში, მეორე ნიუ-იორკში.

და აი, პოლიტიკოსებამდეც აღწევს რიგი. მათ კი უტებად ვერ „მოიშორება“. პელებს სთხოვენ, აუცილებლად მათთან ერთად ისადილოს რესტორანში.

მე ბრაზილიელი ვარ

— ვაღიარებ, მე ძალიან მალეღვებდა ის, თუ როგორ ექცევიან თავის ყოფილ კერპებს ბრაზილიელები. ჩვენ ხომ ასეთი უმწურო მეხსიერება გავვანჩია, — ამბობს პელე — მეშინოდა, რომ მე აქ სწრაფად დამივიწყებდნენ. ამიტომაც ვამბობდი უარს იმ უამრავ წინადადებაზე, რომლებსაც ყველა მხრიდან მთავაზობდნენ. აი ეს განსაზღვრავს ამის ერთადერთი მიზეზი, და არა ფული, როგორც ამას მაშინ ბევრი ფიქრობდა.

რაც შეეხება ბრაზილიურ ფეხბურთს, პელებს აზრით, მისი კრიზისი დაიწყო ქვეყნის საერთო კრიზისთან ერთად.

ჩვენი ფეხბურთის დაცემა დაიწყო 1975 წლიდან. ჩვენ შეეძლოთ ჩამოგვეყალიბებინა ორი კარგი ნაკრები — 1978 წელს არგენტინაში და 1982 წელს ესპანეთში თამაშისთვის. მაგრამ ლიდერების სიმცირე, როგორც მოედანზე, ასევე მის გარეთაც ძალიან იგრძნობოდა. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, — განაგრძობს ყველა დროის უპირველესი ფეხბურთელი, — ფეხბურთში ისეთივე სურათია, როგორც მთლიანად ჩვენს ქვეყანაში... ჩვენ დაეკარგეთ ის სახე, რომელიც გამარჯვებებში ჩამოგვეყალიბდა.

— ჩემი ოცნებაა, — აცხადებს პელე, — გავხდე ბრაზილიის ისტორიაში პირველი ზანგი-პრეზიდენტი. მაგრამ თუ ოდესმე შექმნიან სპორტის სამინისტროს, მე მაშინვე დაუყოვნებლივ შევთავაზებ ჩემს სამსახურს ამ უწყების ხელმძღვანელად. მე ზოხლსა მგვრის კორუფციის ფაქტები უმაღლეს სფეროებში და ეს იმ დროს, როდესაც ხალხი სილბატაკეშია და შიმშილობს. არ დაუჭეროთ იმ ხმებს, ადრე რომ გამივრცელეს, თითქოს მე ვპირებდი გამმხდარიყავი ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქე. ეს არასოდეს მოხდება. მე ბრაზილიელი ვარ!

თამაზ ნიკლაური

ამერიკული ამბავი

ერთი რანჩოს მფლობელი ტეხასელის ცოლი ვილაც კოვბოსთან გაიქცა და სამი წლის ბიჭუნა ქმარს შეატოვა ხელში. კაცმა საბოლოოდ აიყარა გული ქალებზე და გადაწყვიტა ისე აღეზარდა შვილი, მდებარეობითი სქესისა არაფერი სცოდნოდა და ამრიგად განერიდებინა მათი მზაკვრობისაგან.

მამამ შვილს ყველაფერი შეასწავლა, რაც კი რანჩოს მოვლაპატრონობას სჭირდება. რანჩო რამდენიმე ათას აკრზე იყო გადაჭიმული ერთ უდაბურ, ადამიანურ გარემოს მოწყვეტილ ადგილას, ქაბუკი მალე გაიწაფა ცხენებისა და საქონლის მოვლაში, ქალების არსებობის შესახებ კი საერთოდ არაფერი სმენოდა. ოცდაერთი წლისა რომ გახდა, მამას მისი წყაყანა დასჭირდა რამდენიმე მილის დაშორებით მდებარე უახლოეს პატარა ქალაქში რაღაც საბუთების გასაფორმებლად.

მამამ თავისი ძე ქალაქში მზის ამოსვლამდე მიიყვანა, როდესაც ირგვლივ ქალების ბიბური არ იმყოფა; მერე ერთი სალუნის უკანა ოთახში დასვა, სადაც საბუთების გაფორმების საქმე მოავგარა, შებინდებისას შვილი შინსაკენ გამოუყენა გზას და გუნებაში უხაროდა, რომ თავის მემკვიდრეს სული არ შეაბღალავინა დიაცთა ხილვით.

სწორედ მაშინ, სკოლის შენობას რომ ჩაუარეს, კიბეზე ახალგაზრდა მასწავლებელმა ქალმა ჩამოირბინა

და ტანის მსუბუქი რხევით მიჰყვა ქუჩას.

„მამა, მამა! ეს რა არის?“ წამოიძახა ვაჟმა.

„ეგ, შვილო, ქალია. შენთვის საჭირო არ არის.“

„როგორ არა, მამაჩემო, ძალიან კაი რამეა. თუ გიყვარვარ, მამა, ახლავე აქ უნდა მომიყვანო.“

მამამ მძიმედ ამოიხვნეშა. აღარაფერი გაეწყობოდა. მასწავლებელს წამოეწია, ჩემს ვაჟს ერთი ნახვით შეუყვარდით და თქვენი ცოლად შეირთვა სურსო. ქალი თანახმა გახდა და ჯვარიც იქვე დაიწერეს.

რანჩოს რომ მიადწიეს, მამამ გაბედნიერებულ ცოლ-ქმარს უთხრა:

„ახლა ცოტა ხნით უნდა დაგტოვოთ. რანჩო მისახელი მაქვს. ხუთ დღეში დავბრუნდები. თქვენც ამასობაში უკეთ გაიცნობთ ერთმანეთს.“

ხუთი დღის შემდეგ იგი დაბრუნდა და მაშინვე სახლს მიაშურა. შვილი ეზოში კორდზე იყო წამომჯდარი. მამა რომ დინახა, წამოდგა და წინ მიეგება. რძლის შინ ყოფნისა იქაურობას არაფერი ეტყობოდა.

„ჰელოუ, მამა.“


„ჰელოუ, შვილო. ცოლი რა უყავი?“

შვილმა ამოიხრა. „ბარემ ძალიანაც შემეცოდა, მაგრამ რა მექნა. შენ რომ დაგეშორდი, მეორე დღეს წყაროზე წავიდა წყლის ამოსატანად, ქვას ფეხი წამოჰკრა, წაიქცა და ფეხი მოიტეხა.“

„საწყალი ქალი! ახლა სად არის?“
გაოცებულმა შვილმა უძირო ზღვასავით ლურჯი თვალები შეანათა მამას.

„როგორ თუ სად! რომ აღარ დატანჯულიყო, კვარი შუბლში ტყვი და მოკალი.“

კროსვორდი



თარგმანად: 1. ქათმის საკლამო ხარისა; 8. ქართველი ქალის თავსაბურავის ერთ-ერთი ელემენტი XIX საუკუნეში; 9. გოეთეს ტრაგედია; 10. ლარი; 11. ხახლის ზედა ნახევარსართული; 12. მოქმედი ვულკანი ხიცილიაზე; 16. იტალიელი კინომსახიობი; 19. ფაქტის, ამბის ერთ-ერთი ახსნა-გადმოცემა; 20. რკინა-ბეტონის ან ფოლადის სქელკედლებიანი სეიფი ან თავშესაფარი; 21. ქართველი მთარგმნელი; 22. ძველი ქალაქის სახელწოდება მცირე აზიაში; 27. რამდენიმე სართულზედ გამართული თაროები; 29. რომაელი ფილოსოფოსი; 30. ალექსანდრე პუშკინის ლექსი; 33. გაზი; 34. ქართველი კომპოზიტორი; 35. მოუსვენარი, დაუდევარი; 38. ქალაქ ოსლოს სტადიონი; 39. კუთხის ან რკალის საზომი ერთეული; 40. ინგლისის ძველი სახელწოდება.

შვეულად: 1. გარეული მტრედის სახეობა; 2. რუსი საბჭოთა კომპოზიტორი; 3. აფრიკის სახელმწიფო; 4. ზოგი სახეობის წყალმცენარისაგან მიღებული საღებავი ნივთიერება; 5. ბრაზილიელი ფეხბურთელი; 6. ინდოელი კინორეჟისორი; 7. მდგომარეობა საერთაშორისო სამართალში; 10. სპორტული ქილაობა; 13. ნადირი; 14. ერთ-ერთი უძველესი უნივერსალური ენციკლოპედია მსოფლიოში; 15. გერმანელი კომპოზიტორი; 17. მხატვრულად გაფორმებული წიგნაკი; 18. დაჭაობებული ნიადაგის ამოშრობა თხრილების, არხებისა და მიწების საშუალებით; 23. კარჩაკეტილი საზოგადოებრივი ჯგუფი აღმოსავლეთის ზოგ ქვეყანაში; 24. აღმის აღსამართავი ლატანი; 25. სპორტის სახეობა; 26. მატერის ერთ-ერთი ძირითადი თვისება; 28. ამა თუ იმ ენის პოეტთა ერთობლიობა; 31. გრძელი, ფართო წამოსახსამი; 32. სასულიერო პირი შუა საუკუნეების ინგლისსა და საფრანგეთში; 36. ცეცხლის ანადენი; 37. 1975 წ. მსოფლიო ჩემპიონი ნიჩბოსნობაში, გერმანელი სპორტსმენი.

შეადგინა ცილა ამბუპელები.

ბარბანის პირველ გვირგვინზე: გვერავლოს ქორწილები.

ნომოთხე გვირგვინზე: ბათუმის საზღვაო ვაგზალი.

ფოტოები თარხან არჩვაძისა.

კორექტორი ცინანა სიპინავა

მონტაჟი ნანული დანელიანი

„დროშა“ № 10-ში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები

თარგმანად: 6. კართუზი; 7. დიალოგი; 8. არტილერია; 11. კალია; 12. კვანტი; 14. აგაუ; 16. ატლასი; 17. ლაგუნა; 20. ბალი; 21. ილუზია; 23. იგავი; 25. აერომეტრი; 27. აბრაზია; 28. ანადირი.


შვეულად: 1. ცეზურა; 2. აკინი; 3. კანონადა; 4. იტალია; 5. აგრევატი; 9. მინერალოგია; 10. ლარინგოლოგია; 13. იმპულსი; 15. ეპიზოდი; 18. ბაობაბი; 19. შვედური; 22. ზუმერი; 24. არენდა; 26. ეთიკა.

გადაეცა წარმოებას 25.X.85. ხელმოწერილია დასაბეჭდად 26.XI.85. უე 11679. ქალაქ-ლაზ ზომა 70x1681/8. იბეჭდება: გარეკანი და ჩანართი — მაღალი ბეჭდვით, ტექსტი — ოფსეტური წესით. ფიზიკური ფურცელი 8, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 4,2 სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,09. ტირაჟი 48.000. შეკვ. 2498. ფასი 35 კაპ.
880096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, საქართველოს კპ ც-ის გამომცემლობის სტამბა.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» («Знамя»), (на грузинском языке). 380096, Тбилиси, ул. Ленина, 14. Типография издательства ЦК КП Грузии. Адрес редакции: 380008, Тбилиси В. по. Руставели, 42.

რედაქციის მისამართი: 380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42. ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-54-66, მთ. რედაქტორის მოადგილის — 99-82-69, პ/მგ. მდივნის — 99-01-89, განყოფილებათა გამგეების — 99-28-42, რედაქციის სამდივნოსი — 99-54-66.

რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.



რამაზ ჩხიკვაძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
დეპუტატი, სსრკ სახალხო არტისტი

თეატრისაქენ.


„კავკასიური ცარცის წრე“ — აზღაკი.

კინოფესტივალზე

რიჩარდ III.

შინ

ახალი ამბები შოთა რუსთაველის სახე-
ლობის თეატრზე.





ინფორმაცია 76056

საქართველო